ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
31 იანვარი პარასკევი 2014
№019 (14 240) ფასი 80 თეთრი



## ფეხბურთში რთული ვითარებაა, შეიძლება ითქვას, კატასტროფულიც

↳2

1 თებერვალი. 15:00
საქართველო–ბელგია



↳13

## ხეში წყალი რომ ჩადგება, რაგბის დროც დადგება

დავაგემოვნოთ ბელგიური შოკოლადი

## კევინ დურანტმა ლებრონსაც ჩაურბინა

ოკლაჰომელი ზედიზედ 12 მატჩში 30-ზე მეტ ქულას აგროვებს

↳14




ლელო სტუმარი

↳10

## ოლიმპიური იდეების ერთგული ვრჩებით



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი და სახელმწიფო

# კახა კალაძე: რთული ვითარებაა, შეიძლება ითქვას, კატასტროფულიც

ენერგეტიკის მინისტრისა და ვიცე-პრემიერ კახა კალაძის „ფეისბუკის" გვერდზე მოქალაქეების შეკითხვებზე მისი ვიდეოპასუხები გამოქვეყნდა. რამდენიმე კითხვა ეხებოდა სპორტსაც, რაც გულშემატკივართა ყურადღების მიღმა დარჩა. არადა, კალაძემ ძალიან ვრცლად ილაპარაკა გულშემატკივრებისთვის საინტერესო თემებზე...

**- ეღირსება ბათუმს სტადიონი? ტურისტულ ქალაქს სტადიონი სჭირდება...**

- გეთანხმებით, აუცილებელია, ბათუმში იყოს სტადიონი. თუ როდის დაიწყება მშენებლობა, ამაზე ინფორმაცია არ მაქვს. თუმცა, რამდენიმე დღის წინ ველაპარაკე აჭარის მთავრობის ხელმძღვანელ არჩილ ხაბაძეს. სპორტსაც შევეხეთ და მითხრა, რომ სტადიონთან დაკავშირებული ტენდერი თებერვალში დაინიშნა. სტადიონის მშენებლობა ანგისაშია დაგეგმილი და მასში 2,5 მილიონი ლარი ჩაიდება, ყველანაირად რომ მოწესრიგდეს. ადგილობრივ ახალგაზრდობას ფეხბურთის თამაშისა და ვარჯიშის საშუალება უნდა მიეცეს. ამ საკითხს აუცილებლად მოვიკითხავ. თუ არ ვცდები, ადრეც იყო სტადიონის მშენებლობის პროექტი, რომლის განხორციელებაც 45 მილიონი ჯდებოდა. მაგრამ შესაძლებელია უკეთესი, უფრო თანამედროვე და ლამაზი სტადიონის აშენება. აჭარა და ბათუმი ამას ნამდვილად იმსახურებს. მე პირადად კარგად მესმის, თუ რამხელა სიყვარული აქვთ აჭარის მოსახლეობას ფეხბურთის მიმართ. იყავით დარწმუნებულები, რომ მთავრობა ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ქვეყანაში ფეხბურთი განვითარდეს.



კახა კალაძე ამბობს, რომ სახელმწიფო ფეხბურთს დაეხმარება

**- ქუთაისის „ტორპედოს" გულშემატკივრებს ამ გუნდის ბედი გვაინტერესებს. კომპანია „ვისოლის" წასვლის შემდეგ, კლუბი გაურკვევლობაშია. ლაპარაკია გუნდში პრეზიდენტად გიორგი დემეტრაძის მისვლის თაობაზე. ითქვა, რომ სპონსორების მოზიდვაზე აქტიურად მუშაობს ხელისუფლება. ხომ არ ფლობთ კონკრეტულ ინფორმაციას?**

- პირველ რიგში, იმას ვიტყვი, რომ ცუდია სპონსორის წასვლა. და თან, ეს ყველაფერი პირველი წრის შემდეგ, შუა სეზონში მოხდა. რაც შეეხება თანხების მოზიდვას, ჩემი ინფორმაციით, ამაში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და პირადად გუბერნატორიც აქტიურად არიან ჩართულები. „ტორპედომ" სეზონი ღირსეულად უნდა ჩაამთავროს. გიორგი დემეტრაძეს ძალიან დადებითად დავახასიათებ, როგორც პიროვნებას და წარმატებულ ფეხბურთელს. შესაძლოა, სუბიექტური ვიყო, რადგან ჩემი ახლო მეგობარია და ბევრი კარგის თქმა შემიძლია.

**- ეშველება ქართულ ფეხბურთს და საქართველოს ნაკრებს?**

- სპორტში და, კონკრეტულად, ქართულ ფეხბურთში, რთული ვითარებაა, შეიძლება ითქვას - კატასტროფულიც. ძალიან მძიმე მდგომარეობაშია საქართველოს ჩემპიონატი და მასში მონაწილე გუნდებიც. პირველადი ინფრასტრუქტურის პრობლემაა ბავშვთა ფეხბურთშიც. რამდენიმე თვის წინათ, თბილისის „დინამოს" პრეზიდენტ რომან ფიფიასთან ერთად გავხსენით ვიტალი დარასელიას სახელობის „დინამოს" ბავშვთა საფეხბურთო აკადემია. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ეს არის თანამედროვე, ევროპული სტანდარტების სკოლა. რა თქმა უნდა, ასეთი წამოწყება მისასალმებელია. სახელმწიფოსგან მაქსიმალური ხელშეწყობა ექნებათ იმ ბიზნესმენებს, რომლებიც ასეთ მნიშვნელოვან ინვესტიციას განახორციელებენ. რთული იქნება წარმატებების მიღწევა, ბავშვთა ფეხბურთისა და ეროვნული ჩემპიონატის ფეხზე დაყენება, თუ სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული ნაბიჯები არ გადაიდგმება. ამასთან დაკავშირებით, მთავრობაში აუცილებლად გვექნება მსჯელობა იმაზე, თუ როგორ გამოვასწოროთ მდგომარეობა. ვფიქრობ, პირველ ეტაპზე მნიშვნელოვანი იქნება ჩვენ, ხელისუფლებამ, მთავრობამ, მივიღოთ გადაწყვეტილება საწყისი ინვესტიციების განხორციელების შესახებ. ამით უნდა დავაინტერესოთ ადგილობრივი ბიზნესი. ფეხბურთი, სპორტი, უფრო მიმზიდველი რომ გახდეს, პატარებს უნდა მივცემთ საშუალება, ნიჭი სწორად გამოიყენონ, ქართულ ფეხბურთს მოახმარონ და ქვეყანა ასახელონ. დღევანდელი მდგომარეობა ფინანსური პრობლემებითაა გამოწვეული. მეტი ანაზღაურებისთვის 15-16 წლის ნიჭიერი ქართველი ფეხბურთელები აზერბაიჯანში, სომხეთში, უკრაინაში მიდიან. არც ერთი ქვეყნის ჩემპიონატს შეურაცხყოფას არ ვაყენებ, მაგრამ ჩვენს ახალგაზრდებს მინიმალური პირობები მაინც უნდა შევუქმნათ, რამდენიმე წელი საქართველოს ჩემპიონატში რომ ითამაშონ. მათთვის იქნება უკეთესი, ამის მერე წავიდნენ ევროპის ნორმალურ კლუბებში და წარმატებებს იქ მიაღწიონ. ამიტომაა მნიშვნელოვანი, ყველაფერი დავიწყოთ ნულიდან და დარწმუნებული ვარ, ამ ყველაფერში სახელმწიფო და მთავრობა მონაწილეობას მიიღებენ.

**- ფეხბურთის შემდეგ მინისტრობას როგორ შეეგუეთ?**

- ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ გარკვეული პერიოდი გამოვიარე. ძალიან საინტერესო იყო წინასაარჩევნო ბატალიებში გამოცდილ ადამიანებთან და პოლიტიკოსებთან ურთიერთობა. უმოკლეს პერიოდში მათგან ბევრი რამ ვისწავლე და შევიძინე. რომ გითხრათ, გამიჭირდა-თქო, მოგატყუებთ, ასე არ ყოფილა. ყველა სფეროში - სპორტშიც, ბიზნესშიც, სამთავრობო პოსტზეც - ვცდილობდი თავი დამემკვიდრებინა და მაქსიმალურად წარმატებული ვყოფილიყავი. კარგად მაქვს გათვითცნობიერებული, რა საპასუხისმგებლო პოსტზე ვიმყოფები.

**- მაინც რატომ გადაწყვიტეთ სპორტიდან პოლიტიკაში წასვლა?**

- თუ ცხოვრებაში რაიმე წარმატებას მივაღწიე, ეს სპორტის, ფეხბურთის დამსახურებაა. როცა კარიერის დასრულების გადაწყვეტილება მივიღე, ეს ძალიან რთული იყო, ბევრს ვფიქრობდი. მაგრამ ყველაფერი ჩემს ქვეყანაში არსებულმა მძიმე ვითარებამ გადაწონა.

**მერაბ მამულაშვილი**

უცხოური შეკრება

# ახალი მეტალურგი

რუსთაველ გულშემატკივართა გასახარად, „მეტალურგი" კვლავაც რჩება ამბიციურ გუნდად და პირველ ეტაპთან შედარებით მკვეთრად შემცირებული (სამჯერ ნაკლები) ბიუჯეტის მიუხედავად, გუნდს არც სანვრთნელი პროცესი შეუწყვეტია, რამდენიმე ახალწვეულიც დაიმატა და, რაც მთავარია, ხვალიდან უცხოური შეკრებაც დაეწყება!

შეგახსენებთ, რომ პირველი ეტაპის დამთავრების შემდეგ მთავარი მწვრთნელის, **გელა სანაიას** გარდა, „მეტალურგიდან" 15 (!) ფეხბურთელი წავიდა: **ლუკა რაზმაძე, სერგი ორბელაძე, გიორგი ბერიაშვილი, ლევან კორღალიძე, დავით მაისაშვილი, ლევან კაკუბავა, გურამ გურეშიძე, რევაზ გეწაძე, დავით კირკიტაძე, გიორგი გავაშელიშვილი, გოგა ფიფია, ბექა ტუღუში, ირაკლი სიხარულიძე, ლაშა ჯაფარიძე** და **ანზორ სუხიაშვილი**.

არ არის გამორიცხული, რომ ამ სიას კიდევ ერთი ფეხბურთელი დაემატოს: ნახევარმცველის, **გიორგი ვასაძის** საკითხი ჯერჯერობით გაურკვეველია. ასეთი სოლიდური დანაკლისის მიუხედავად, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, „მეტალურგის" დირექტორი **ზაზა დოლიძე** და ახალი მთავარი მწვრთნელი **ვარლამ კილასონია** უიმედოდ მაინც არ არიან და გუნდის ერთგულ ქომაგებს ჰპირდებიან, რომ არც ხელწამოსაკრავი გუნდი ეყოლებათ და ჩემპიონატსა თუ თასზეც მაქსიმალური მიზნებისათვის იბრძოლებენ.

„მეტალურგმა" მზადება 10 იანვარს რუსთავში დაიწყო, „ბენდელას თასზე" ჩატარებულ მატჩებში კი ვარლამ კილასონიას პოტენციურ ახალწვეულთა საქმეში ნახვა უწევდა, ამასობაში რამდენიმე ფეხბურთელმა თვითონ გამოთქვა „მეტალურგში" ასპარეზობის სურვილი და ასე, ნელ-ნელა, გუნდის კონტურებიც გამოჩნდა.

„მეტალურგი" თურქულ შეკრებაზე ხვალ 22 ფეხბურთელით მიემგზავრება: მეკარეები - **გრიგოლ ბედიაშვილი, კოკა სეფიაშვილი**; მცველები - **მიხეილ მახვილაძე, გიორგი სეთურიძე, არჩილ ტვილდიანი, ვარლამ კილასონია (უმცროსი), თედო კაკულია, დავით საჯაია, შალვა ექვთიმიშვილი, დაჩი ცნობილაძე, დავით ლომაია**; ნახევარმცველები - **დენის დობროვოლსკი, გიორგი ქავთარაძე, მერაბ გიგაური, გიორგი მიქაბერიძე, კახაბერ კაკაშვილი, ირაკლი გოგინაშვილი, ივანე ხაბელაშვილი, გიორგი კილასონია**; თავდამსხმელები: **ბესიკ ჩიმაკაძე, გიორგი ჩირგაძე, მამუკა ტორონჯაძე**.



მეტალურგის ახალწვეული მერაბ გიგაური (მარცხნივ)

ამ შემადგენლობიდან მხოლოდ 8 ფეხბურთელია, პირველ ეტაპზეც „მეტალურგში" რომ ასპარეზობდა: **გრიგოლ ბედიაშვილი, კოკა სეფიაშვილი, მიხეილ მახვილაძე, თედო კაკულია, დავით საჯაია, დენის დობროვოლსკი, გიორგი ქავთარაძე, გიორგი ჩირგაძე**.

თუმცა, ამათგან მხოლოდ სამ-ოთხ მოთამაშეს თუ უწევდა მოედანზე ხშირად გამოსვლა. რაც შეეხება ახალწვეულებს, ასეთი „მეტალურგში" 9 ფეხბურთელია: თბილისის „დინამოს" ყოფილი მოთამაშეები, **გიორგი მიქაბერიძე** და **გიორგი სეთურიძე** რუსთავის გუნდს გარკვეული პაუზის მერე დაუბრუნდნენ, ასევე „დინამოდან", ოღონდ, იჯარით გადმოვიდა პერსპექტიული ახალგაზრდა მცველი **არჩილ ტვილდიანი**, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ცენტრალური ნახევარმცველი **მერაბ გიგაური** - „ტორპედოდან", **მამუკა ტორონჯაძე** - „გურიადან", **ბესიკ ჩიმაკაძე** - ბათუმის „დინამოდან", **დავით ლომაია** - თბილისის „სასკოდან", ხოლო **ვარლამ კილასონიამ (უმცროსმა)** და **აკაკი კაკაშვილმა** მშობლიური ქალაქის გუნდს ცხინვალის „სპარტაკიდან" მიაშურეს.

აღსანიშნავია, რომ პირველ ეტაპთან შედარებით, „მეტალურგის" შემადგენლობა მკვეთრად გაახალგაზრდავდა: თურქეთში წამსვლელ ფეხბურთელთა ზუსტად ნახევარი ხომ 21-წლამდელი მოთამაშეები არიან! ისიც უნდა ითქვას, რომ **დავით საჯაია, თედო კაკულია, ირაკლი გოგინაშვილი, შალვა ექვთიმიშვილი** და **ივანე ხაბელაშვილი** „მეტალურგის" დუბლშემადგენლობიდან დაწინაურდნენ, 17 წლის გიორგი კილასონია კი სულაც - ჭაბუკთა ლიგიდან!

სხვათა შორის, ვიდრე „მეტალურგის" ძირითად გუნდს ჩაიბარებდა, ვარლამ კილასონია საკმაოდ წარმატებით მუშაობდა დუბლშემადგენლობასთანაც და ჭაბუკთა ლიგაშიც: მისი ხელმძღვანელობით მოასპარეზე ამ ორივე გუნდმა პირველი ეტაპი პირველ ადგილზე დაასრულა. კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც რუსთაველ გულშემატკივრებს უსათუოდ გაახარებთ: მთავარი მწვრთნელისა და მეკარეების მწვრთნელის (**სანდრო კორომშინაძე**) გარდა, დღესდღეობით „მეტალურგში" ამ ქალაქის საფეხბურთო სკოლების აღზრდილი 5 ფეხბურთელი (გრიგოლ ბედიაშვილი, გიორგი ქავთარაძე, ვარლამ კილასონია (უმცროსი), აკაკი კაკაშვილი, გიორგი კილასონია) ირიცხება.

ამათ გარდა, არ არის გამორიცხული, რომ მეორე ეტაპიდან ეს რიცხვი გაიზარდოს, - ყოველ შემთხვევაში, „მეტალურგის" დუბლშემადგენლობიდან კვლავაც უნდა ველოდოთ პერსპექტიული ახალგაზრდების დაწინაურებას. შეგახსენებთ, რომ პირველი ეტაპის მერე „მეტალურგი" VI ადგილზე იმყოფება და რეალური შანსიც აქვს, ზედა ექვსეულში რომ მოხვდეს: ვარლამ კილასონიას გუნდმა ორ უშუალო კონკურენტს, „ვიტ ჯორჯიასა" და „სიონს" რუსთავში უნდა უმასპინძლოს, სტუმრად კი „მერანთან" და „დინამოსთან" მოუწევს დაპირისპირება.

2014 წლის პირველ ოფიციალურ შეხვედრას კი „მეტალურგი" 22 თებერვალს ჩაატარებს: საქართველოს თასის პირველ მეოთხედფინალურ შეხვედრაში თბილისის „დინამოს" უმასპინძლებს. ჰოდა, სწორედ ამ მატჩისათვის მზადებას ემსახურება გუნდის თურქული შეკრებაც, სადაც რუსთაველთა გუნდი ოთხ საკონტროლო მატჩს ჩაატარებს 6 თებერვალს - რუმინელ „ტარგუ მურეშთან", 9 თებერვალს - თურქმენეთის ნაკრებთან, კიდევ ორი სპარინგ-პარტნიორის ვინაობა (ეს შეხვედრები 3 და 12 თებერვალს არის დაგეგმილი) ადგილზე გაირკვევა.

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

U 17


ნოდარ აკობია (მარცხნივ) და ოთო გოშაძე პრესკონფერენციაზე

# აკობიას მოსკოველი ქართველები მოეწონა

გუშინ, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის მედიაცენტრში 17-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ნოდარ აკობიამ** ჟურნალისტებთან შეხვედრაზე მინსკის საერთაშორისო ტურნირზე გუნდის გამოსვლა შეაფასა. მას თან ახლდა **ოთო გოშაძე**, რომელიც ხსენებული ტურნირის საუკეთესო მეკარედ დაასახელეს.

ნოდარ აკობია: *„ტურნირამდე, ერთი კვირა თბილისში ვემზადებოდით. ჯგუფში ყაზახეთისა და ირანის ნაკრებები იოლად დავამარცხეთ. მეოთხედფინალში კი ლიტვასთან რთული თამაში გვქონდა. მეტოქეს ფეხბურთის თამაშზე არც უფიქრია. საკუთარი კარის სიახლოვეს დადგნენ, ჩვენს კარში საერთოდ არ დაურტყამთ და პირველივე წუთებიდან დროის გაყვანას ცდილობდნენ. სამწუხაროდ, ჩვენ საგოლე მომენტებით ვერ ვისარგებლეთ, რის გამოც ბიჭები ანერვიულდნენ, პენალტების სერიაში კი წავაგეთ. მერე 2:0 დავამარცხეთ ფინეთის ნაკრები, რომელიც, ჩემი აზრით, ტურნირის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი იყო. ბოლო მატჩში მე-5 ადგილისთვის კვლავ ირანს შევხვდით. ამჯერად, დიდი წინააღმდეგობა კი გაგვიწიეს, მაგრამ მინიმალური ანგარიშით მაინც მოვუგეთ. ძალიან კარგად ორგანიზებული ტურნირი იყო და ძლიერი გუნდებიც მონაწილეობდნენ. გამოვარჩევ რუსეთის, უკრაინის, ლატვიისა და ფინეთის ნაკრებებს. სიმართლე გითხრათ, ძალიან გვინდოდა რუსეთთან და უკრაინასთან თამაში. მათი მწვრთნელებიც ამბობდნენ, რომ ჩვენთან თამაში აინტერესებდათ, რადგან გუნდი ყველას მოეწონა. სხვათა შორის, რუსეთის ნაკრებში ორი ქართველი თამაშობდა - მელქაძე და ყიფიანი, რომლებიც აშკარად გამორჩეულები იყვნენ თავის გუნდში. მე ძალიან მომეწონა მელქაძე. ის მოსკოვის „სპარტაკის“ ასაკობრივი გუნდის კაპიტანია. ეჭვიც არ მეპარება, ჩვენს ასაკობრივ ნაკრებებში (უფროსებშიც კი) ის ერთ-ერთი საუკეთესო იქნებოდა. საბოლოოდ, ჩვენ საუკეთესო მეკარის პრიზი გვერგო. ოთო გოშაძემ, როგორც ყოველთვის, სტაბილურად და დამაჯერებლად ითამაშა. 5 გოლი გაიტანა გიორგი ჯობავამ და საუკეთესო ბომბარდირს, რუს თავდამსხმელს, 2 ბურთით ჩამორჩა“.*

აკობიამ სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა: *„ელიტრაუნდისთვის მოსამზადებელ ეტაპს თბილისში დავიწყებთ. აქვე, 13 და 15 თებერვალს, ყაზახეთის 1996 წელს დაბადებულთა ნაკრებს ვეთამაშებით. მართალია, ჩვენი გუნდის ძირითადი ბირთვი არ იქნება, მაგრამ სამაგიეროდ, ნაკრების სხვა კანდიდატებს გამოვცდით და თავის გამოჩენის შანსს მივცემთ. მარტში, ელიტრაუნდზე გამგზავრებამდე, ვფიქრობდით, შეკრება მოგვეწყო ანტალიაში, მაგრამ სპარინგ-პარტნიორების საკითხმა ჩაგვაფიქრა. ამიტომ, დასკვნით შეკრებას სფფ-ის ტექნიკურ ცენტრ „ბასაში“ გავივლით, რადგან იქ იდეალური მოსამზადებელი პირობებია და გარანტირებულად ვეთამაშებით „საბურთალოს“, „ლოკომოტივს“, „დინამოს“... და შემდეგ, თბილისიდან პირდაპირ გავემგზავრებით სერბეთში. მეტოქეთა მატჩების ვიდეოჩანაწერები გვაქვს და ინტენსიურად ვმუშაობთ. ჩემი აზრით, გერმანიის ნაკრები ერთ-ერთი საუკეთესოა ამ ასაკში. ძალიან რთული მატჩები გველის, მაგრამ მეც იმედიანად ვარ განწყობილი და ბიჭებიც. ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ისიც მაიმედებს, რომ თითქმის ყველა ფეხბურთელი პირველ ლიგასა და დუბლების ჩემპიონატში გამოდის. მათ ასაკში კი სათამაშო პრაქტიკა ძალიან მნიშვნელოვანია“.*

შევიტყვეთ, რომ მინსკში საქართველოს ნაკრებს ელიტრაუნდში ჩვენი მეტოქე გერმანიის ნაკრების წარმომადგენელი აკვირდებოდა. გარდა ამისა, ტურნირს ესწრებოდა სანკტ-პეტერბურგის „ზენიტის“ სკაუტიც, რომელსაც უთქვამს, რომ ძალიან მოეწონა საქართველოს ნაკრები და რამდენიმე ფეხბურთელის გვარიც ჩაინიშნა, თუმცა ისინი არ დაუკონკრეტებია.

**მერაბ მამულაშვილი**

სპარტაკი

## ლაშა პარუნაშვილი: უმაღლეს ლიგაში დარჩენა რეალურია

**თბილისის „დინამომ“ ლაშა პარუნაშვილი კვლავ იჯარით გაუშვა. 20 წლის ფეხბურთელი ცხინვალის „სპარტაკში“ გადავიდა ახალი გუნდის მაისურა ყოფილ კლუბ „სიონთან“ საკონტროლო შეხვედრაში მოირგო. პარუნაშვილს მცირე ინტერვიუ ჩამოვართვით...**

**- „დინამომ“ შემადგენლობა გაახალისა და გაჩნდა ვარაუდი, რომ თქვენც დაბრუნდებოდით...**

- „დინამოსთან“ ამ თემაზე არც მილაპარაკია და არც თავად უთქვამთ რამე. ეტყობა, ამ ეტაპზე გუნდს არ ვჭირდები, ან საჭიროდ ჩათვალეს, რომ სათამაშო პრაქტიკის მიზნით სხვა გუნდში ვითამაშო.

**- როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, განიხილებოდა გაცვლის საკითხი - „ტორპედოდან“ „დინამო“ თავდამსხმელ ნიკა საბანაძეს დაიმატებდა, თქვენ კი ქუთაისში ითამაშებდით...**


ლაშა პარუნაშვილი

- „ტორპედო“ სპონსორმა მიატოვა და ეს ტრანსფერიც გამოირიცხა. სხვა ვარიანტებიც განიხილებოდა, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

**- მართალია, თითქოს გია გეგუჩაძე „ზესტაფონში“ გიწვევდათ?**

- დიახ, შემოთავაზება „ზესტაფონიდანაც“ იყო და „დილადანაც“.

**- „სპარტაკს“ ახლა მოკრძალებული მიზანი აქვს - უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება...**

- მთავარი ის არის, რომ კახა კაჭარავამ ნიჭიერი ახალგაზრდები შეკრიბა და დარწმუნებული ვარ, საგაზაფხულო ეტაპზე გაძლიერებულ „სპარტაკს“ იხილავთ. ლიგაში ადგილის შენარჩუნება შეუძლებელი ნამდვილად არ არის.

**- არის კი „სპარტაკში“ ისეთი პირობები, რომ ახალგაზრდული ნაკრების თამაშებს მომზადებული შეხვდეთ?**

- საკმაოდ ნორმალური პირობებია. შეკრებაზე ანთალიაში მივემგზავრებით, რაც მეც და გუნდს ძალიან წაგვადგება.

**მერაბ მამულაშვილი**

ფუტსალი


ბესიკ ზოიძე

# ვინ იქნება ნაკრების მწვრთნელი?

## ასათიანი: კონტრაქტი 2015 წლამდე მაქვს

საქართველოს ფუტსალის ასოციაციამ (სფა) გაავრცელა განცხადება, რომ ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელ **ავთანდილ ასათიანთან** კონტრაქტის გახანგრძლივებას აღარ აპირებს. განცხადებაში ვკითხულობთ:

*„ფუტსალში საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს, ბატონ ავთანდილ ასათიანს ამოეწურა კონტრაქტის ვადა. სფა მადლობას უხდის ავთანდილ ასათიანს საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის რანგში გაწეული სამუშაოსთვის, თუმცა თვლის, რომ მიღწევების გასაუმჯობესებლად ეროვნული გუნდის სამწვრთნელო შტაბში აუცილებელია ცვლილებები. სფა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის კანდიდატურებს უახლოეს მომავალში განიხილავს“.*

კომენტარისთვის ასათიანს დავუკავშირდით: *„სასამართლო განიხილავს საკითხს, არის თუ არა ვახტანგ წერეთელი სფა-ს პრეზიდენტი და ჩემს საკითხზე ამის შემდეგ ვილაპარაკოთ. მაგრამ არ მესმის, როგორ შეიძლება, ნაკრების მწვრთნელს ხსნიდე და მის ახალ კონტრაქტზე არაფერი იცოდე? მე მათთან კი არა, ფეხბურთის ფედერაციასთან გავაფორმე ახალი კონტრაქტი, რომელიც 2015 წლის 1 იანვარს მთავრდება. მას ხელს სფფ-ს პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა აწერს. ესეც არ იციან. მოქმედ ხელშეკრულებას კი უკანონო ორგანიზაცია ვერ გამიბათილებს“.*

საინტერესოა, რომ საქართველოს ფუტსალის ასოციაციის ცნობით, მიმდინარეობს მოლაპარაკება **ბესიკ ზოიძესთან,** რომელსაც ასათიანის შემცვლელად მოიაზრებენ. საქართველოს ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა კარიერა რამდენიმე წლის წინათ დაასრულა და 2007 წლიდან ტიუმენის „გაზპრომ-იუგრას“ მწვრთნელის თანაშემწე იყო, ხოლო შემდეგ მთავარ მწვრთნელად დანიშნეს. 2013 წლიდან კი 40 წლის სპეციალისტს მოსკოვის „სპარტაკი“ ჩააბარეს. ზოიძე ამ კლუბის ღირსებას 1997-2004 წლებში (286 მატჩი) იცავდა.

სფა-ს ცნობით, საჯარო რეესტრმა განიხილა **ლევან ცქიტიშვილის, კახა დევდარიანისა** და **ბექა კვიციანის** საჩივარი, საქართველოს ფუტსალის ასოციაციის 9 ნოემბრის, 5 დეკემბრისა და 15 დეკემბრის კონფერენციების არალეგიტიმურად ცნობის შესახებ და დაადგინა: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეგისტრაციის სამსახურის გადაწყვეტილებები კანონიერია და არ არსებობს მათი ბათილად ცნობის ფაქტობრივი და იურიდიული საფუძვლები. თუმცა, დავა ამით არ დასრულებულა - ცქიტიშვილის მხარემ საქალაქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა.

...ამასობაში, ფუტსალის უმაღლესი ლიგის მეორე წრე დაიწყო. „იბერია სტარმა“ „არმაზი“ 9:2 დაამარცხა. ოთხის ნაცვლად, ჯერ მხოლოდ ეს მატჩი გაიმართა. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე კლუბმა ჩემპიონატს პროტესტი გამოუცხადა. მიზეზი - გათამაშებიდან „დიცის“ მოხსნა გახდა. გუნდებს, რომლებიც ჩემპიონატს ბოიკოტს უცხადებენ, წაგება ჩაეთვლათ.

**მერაბ მამულაშვილი**

ამბობენ, რომ...

# როგორ მოხვდა ჟორდანია მალტაში?..

**მერაბ ჟორდანიამ** ახალი გამოწვევა მიიღო, მალტურ „ვალეტაში“ მივიდა, რითიც გააბათილა ხმები იმის შესახებ, ვითომდა რაიმე რეგალიით აპირებდა ქართულ ფეხბურთში დაბრუნებას.

როგორ მოხვდა ჟორდანია „ვალეტაში“? ამის თაობაზე უკვე დაიწერა ჰოლანდიურ მედიაში, თუმცა მკაფიოდ იქ არაფერი თქმულა. ჟორდანია არ არის ის ფიგურა, უბრალო საქმეს მოჰკიდოს ხელი, ან შემთხვევით გაჩნდეს ამა თუ ადგილზე. „ვიტესში“ მისი მისვლა **რომან აბრამოვიჩს** უკავშირდებოდა. ჰოლანდიურ მედიას თუ დავუჯერებთ, იმ ხნის განმავლობაში, რაც ჟორდანია ხელმძღვანელობდა ამ კლუბს, 100 მილიონი ევრო დაიხარჯა.


მერაბ ჟორდანია

რატომ გაიყო „ვიტესისა“ და ჟორდანია გზები? ჩვენებური მენეჯერის ხელში ეს პერიფერიული გუნდი ჰოლანდიის ერთ-ერთი მოწინავე კლუბად იქცა. ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხი ჯერ კულუარებშიც არ ისმის, სამაგიეროდ, გაჩნდა ვერსია, თუ როგორ მივიდა ჟორდანია „ვალეტაში“.

ჯერ კიდევ 90-იან წლებში ბრიტანეთში გამოჩნდა ქართველი ბიზნესმენი, რომელიც საფეხბურთო წრეებშიც მიღებული კაცი გახლდათ. **მიხეილ სურგულაძეს** ყველა წარმატებულ ადამიანად იცნობს და, როგორც ამბობენ, ჟორდანიასთან მას დიდი ხნის ურთიერთობა და მეგობრობა აკავშირებს.

კონფიდენციალური წყაროს ცნობით, სურგულაძემ ბიზნესსაქმიანობას მალტაშიც მიჰყო ხელი და იმის გამო, რომ მეტი რესპექტაბელურობა მოეპოვებინა, „ვალეტას“ დაფინანსებაც გადაწყვიტა. ცხადია, ასეთ დროს ძალიან მნიშვნელოვანია გამოცდილი, საქმის კარგად მცოდნე და სანდო მენეჯერი და სურგულაძემაც „ვალეტას“ გაძღოლა ჟორდანიას შესთავაზა.

რამდენად მართალია ეს ყველაფერი, მალე გამოჩნდება. ისე კი, არა გვგონია, სურგულაძისა და ჟორდანიას მალტური პარტნიორობა არაფრისგან მოგონილი ამბავი იყოს.

**დავით თავართქილაძე**

ზესტაფონი

# გეგუჩაძის თურქული სია


ომარ მიგინეიშვილის ტრანსფერს იურიდიული დეტალები აფერხებს

3 თებერვალს „ზესტაფონი" თურქეთში გაემგზავრება და სეზონის განახლებისთვის მზადებას ბელეკში გააგრძელებს. **გია გეგუჩაძის** გუნდი თურქეთში ხუთ საკონტროლო შეხვედრას გამართავს. „ზესტაფონი" სამეზობლოში 25 ფეხბურთელით მიდის:

მეკარეები - კახაბერ მეშველიანი, დავით კუპატაძე;

მცველები - თეიმურაზ ლონლაძე, თორნიკე გრიგალაშვილი, თედორე გრიგალაშვილი, მალხაზ გაგოშიძე, რენე ფერეირა დოს სანტოსი, გიორგი გურული, ზაზა ჭელიძე;

ნახევარმცველები - ლევან შარიქაძე, ნაემეკა აჯურუ, ავთანდილ ენდელაძე, გიორგი ჭანკოტაძე, მიხეილ სარდალიშვილი, ვახტანგ ჭანტურიშვილი, იგორ იელიჩი, გრიგოლ დოლიძე, გიორგი კუხიანიძე, რევაზ გენაძე, ბექა კაკუშაძე, გიორგი მაკარიძე;

თავდამსხმელები: დიმიტრი ტატანაშვილი, ნიკა საბანაძე, თორნიკე კაპანაძე, გიორგი ფანცულაია.

შესაძლოა, ამ სიას თბილისის „დინამოდან" წამოსული მეკარე **ომარ მიგინეიშვილიც** დაემატოს. ტრანსფერს იურიდიული დეტალები აფერხებს. ზესტაფონელები სამშობლოში 17 თებერვალს დაბრუნდებიან.

**დავით თავართქილაძე**

გურია

# როგორც იქნა, დაიწყეს!

ლანჩხუთის „გურია" უმაღლესი ლიგის ერთადერთი გუნდი იყო, რომელიც სეზონის განახლებისთვის მზადების დაწყებას ვერ ახერხებდა. კლუბის პრესატაშე **ლევან გიორგაძის** თქმით, პრობლემები მოგვარდა და გუნდიც შეიკრიბა.

*„მართალია, დაგვიანებით, მაგრამ ლანჩხუთის „გურია" შეიკრიბა. მოგეხსენებათ, არსებობდა გასული წლის სახელფასო დავალიანება, რაც კლუბის ხელმძღვანელობამ იანვრის ბოლოს გაისტუმრა. დარჩა მხოლოდ დეკემბრის ხელფასები და რამდენიმე თამაშის პრემია, რომლის გაცემაც უახლოეს მომავალშია დაგეგმილი"*, - ამბობს გიორგაძე.

როგორც შევიტყვეთ, გუნდში დარჩნენ **მინდია ბობღიაშვილი, მიხეილ გოგუაძე, ტარიელ კუკულაძე, ნოდარ გაჩეჩილაძე, ალექსანდრე შენგელია, არნო ჩუენსუ, ვილი ისიანი** და **ერეკლე კილაძე**, ბათუმის „დინამოდან" კი **გიგა კვერენჩხილაძე** დაბრუნდა.

გიორგაძის თქმით, უახლოეს დღეებში უნდა გაირკვეს გუნდის ერთ-ერთი ლიდერის **თენგიზ ჩიკვილაძის** საკითხიც:

*„იმედია, ჩიკვილაძის დარჩენის საკითხი დადებითად გადაწყდება. კლუბი აქტიურად აწარმოებს იმ ახალი ფეხბურთელების შერჩევას, რომლებიც სინჯებზე იმყოფებიან. სამწვრთნელო შტაბს დავით მახარაძე უხელმძღვანელებს".*

**მერაბ მამულაშვილი**

ტორპედო

# ორი მარცხი პირველლიგელებთან

ქუთაისის „ტორპედომ" ბოლო დღეებში ორი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა. **რევაზ ძოძუაშვილის** გუნდმა 29 იანვარს სალორიას საწვრთნელ ბაზაზე პირველი ლიგის A ზონის ლიდერ ფოთის „კოლხეთს" უმასპინძლა და 0:1 წააგო. ეს ერთადერთი გოლი თამაშის 22-ე წუთზე გავიდა. თავი „ტორპედოს" მეკარესთან პირისპირ გასულმა **ლაშა კუკავამ** გამოიჩინა. ქუთაისური კლუბის ვებგვერდის ცნობით, ძოძუაშვილმა რამდენიმე ახალი ფეხბურთელი ათამაშა, მათ შორის - ეროვნული ნაკრებში ნათამაშები **ზაალ ელიავაც**.

ტორპედო: **რ. კვასხვაძე (46. ადამია), თ. ჩადუნელი, ლომიძე (46. ლალაძე), მაჭუტაძე (72. ხურციძე), თვალავაძე (46. ალიბეგაშვილი), ცაბუტაშვილი (46. ჭრელაშვილი), დუდუჩავა (46. კოლუაშვილი), ჯულელი (46. თ. მაჭავარიანი), ელიავა (46. ნაცვლიშვილი), ლორთქიფანიძე (46. ტულუში), ხეცურიანი (46. კვერნაძე).**

კოლხეთი: **მაღრაძე (46. ძაგანია), გ. კილასონია (46. წაბრია), კრასოვსკი, ცხვიტარია, ლ. კაკულია (46. ლორია), ბარამიძე, ხოშტარია, გულუა (60. ბეჩეხია), მოისწრაფიშვილი (46. ქორჩილავა), სიჭინავა (46. სარსანია), კუკავა (60. გ. მახარაძე).**

გუშინ კი „ტორპედო" ქობულეთის „ჩელე არენაზე" კიდევ ერთ პირველლიგელს, A ზონის მეორეადგილოსან „შუქურას" ესტუმრა და აქაც დამარცხდა. **ბესიკ შეროზიას** გუნდმა 3:2 გაიმარჯვა. მასპინძელთაგან გოლები **გიორგი ჩელებაძემ, მერაბ კოპალიანმა** და **ვახტანგ ცენტერაძემ** გაიტანეს, ხოლო ქუთაისელთაგან - **ბექა ტულუშმა** და **თემურ მარკოზაშვილმა**.

**მერაბ მამულაშვილი**


ტორპედო-კოლხეთის საწვრთნელი მატჩი — ფოტო: fctorpedo.ge

ამბები


პაბლო დანიელ ოსვალდო თითქმის იუვენტუსელია

## ოსვალდო იუვენტუსში გადადის

„გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, **პაბლო დანიელ ოსვალდო** „იუვენტუსთან" ერთ ნაბიჯშია. პოპულარული გამოცემა წერს, რომ „საუთჰემპტონმა" იტალიის ნაკრების 28 წლის ფორვარდი ტურინში ივნისის ბოლომდე იჯარით გაუშვა. „წმინდანები" ამ გარიგებაში 400 ათას ევროს მიიღებენ.

„იუვენტუსში" ოსვალდოს გადასვლაზე „სქაი სპორტ იტალიამაც" დაწერა. „გაძეტა" კი დასძენს, რომ „რომას" ყოფილი ფორვარდი დღეს ტურინში სამედიცინო შემოწმებას გაივლის და, შესაძლოა, ახალ თანაგუნდელებთან ერთად ივარჯიშოს კიდეც.

„იუვენტუსი" ახალი თავდამსხმელით მას მერე დაინტერესდა, რაც ცნობილი გახდა, რომ „ბიანკონერიდან" მიდის **მირკო ვუჩინიჩი**. ჩერნოგორიელს რამდენიმე კლუბი ეპატიჟება. ბოლო ინფორმაციით, ის შეიძლება „არსენალში" აღმოჩნდეს.

## რატომ არ შედგა რასინგი-სოსიედადი?

გუშინ ჩაიშალა ესპანეთის სამეფო თასის საპასუხო მეოთხედფინალური მატჩი სანტანდერის „რასინგსა" და „სოსიედადს" შორის. სტუმარ გუნდს სეგუნდა B-ს ბინადართან პირველი მატჩი შინ 3:1 ჰქონდა მოგებული. თუმცა „რასინგის" ფეხბურთელებმა უარი თქვეს თამაშზეც და, შესაბამისად, რევანშზეც. ამ უარით კანტაბრიელებმა გამოხატეს პროტესტი კლუბის ხელმძღვანელობის მხრიდან სახელფასო დავალიანების გამო. არადა, „რასინგის" ფეხბურთელები მოედანზე გავიდნენ, 40 წამიც წაითამაშეს და... თამაშიც მორჩა...

ცხადია, „სოსიედადს" გამარჯვება (3:0) ჩაეთვლება. შეგახსენებთ, რომ ერთ დროს პრიმერა დივიზიონის ბინადარმა „რასინგმა" სამეფო თასიდან ელიტის ორი წარმომადგენელი - „სევილია" და „ალმერია" გააგდო.

## რენმა გროსიცკი დაიმატა

ფრანგულ „რენს" კიდევ ერთი ახალწვეული ჰყავს. პოლონელი **კამილ გროსიცკი** ბრეტონულ გუნდში თურქული „სივასპორიდან" გადავიდა. 25 წლის ფეხბურთელმა თავის ახალ გუნდთან 3,5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. „რენში" ის მე-6 ნომრით ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ აქამდე **ფილიპ მონტანიემ** შემადგენლობა **პოლ-ჟორჟ ნტეპითა** და **ოლა ტოივონენით** გააძლიერა.

## პოცომ პოცოს გაუცვალა

„გრანადას" ნახევარმცველი **ჰასან იებდა** სეზონის ბოლომდე იჯარით „უდინეზეში" ითამაშებს. ცხადია, კლუბებს შორის ტრანსფერი იოლად განხორციელდებოდა, რადგან ორივეს მფლობელი პოცოების ოჯახია, კერძოდ - **ჯამპაოლო პოცო**. ალჟირელ ფეხბურთელს სერია A-ში თამაშის გამოცდილება უკვე აქვს - ადრე ის „ნაპოლიში" ირიცხებოდა.

## ჟუნინიომ კარიერა დაასრულა

**ჟუნინიო პერნამბუკანომ,** რომელიც გუშინ 39 წლის გახდა, კარიერის დასრულება გადაწყვიტა. ბრაზილიის ნაკრებისა და „ლიონის" ყოფილი ნახევარმცველი ბოლოს „ვასკო და გამაში" ირიცხებოდა და მისი გადაწყვეტილება საჯარო სწორედ ამ კლუბის ლეგენდამ და პრეზიდენტმა **რობერტო დინამიტმა** გახადა. როგორც ირკვევა, საჯარიმო დარტყმების ოსტატი გულშემატკივრებს ორშაბათს გამოემშვიდობება სპეციალურ პრესკონფერენციაზე.

## ვერდერი აღარ ხუმრობს

**ლუდოვიკ ობრანიაკი** კარიერას „ვერდერში" გააგრძელებს. „ფრანს ფუტბოლის" ცნობით, 29 წლის პოლონელ-ფრანგი შემტევი ბრემენელებთან 3,5-წლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს, ხოლო „ბორდო" მის სანაცვლოდ 2 მილიონ ევროს მიიღებს. გარდა ამისა, ზაფხულში „ბრემენელი მუსიკოსები" კიდევ ერთი მოთამაშით გაძლიერდებიან - მათ რიგებში **ფინ ბარტელსი** ჩაირიცხება. 26 წლის ნახევარმცველს „ზანკტ პაულისთან" კონტრაქტი უმთავრდება და „ვერდერში" თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავა.

## ზაჰა კარდიფელია

**უილფრიდ ზაჰა,** ბოლოს და ბოლოს, გადაბარგდა „კარდიფში" და საკუთარ „ინსტაგრამაზე" გამოაქვეყნა ფოტო, რომელზეც უელსური კლუბის მაისურაშია გამოწყობილი. კლუბები ჯერჯერობით ტრანსფერს არ ახმაურებენ. დიდი ალბათობით, „მანჩესტერ იუნაიტედმა" ზაჰა „დრაკონებში" იჯარით გაუშვა. შეგახსენებთ, რომ ახალგაზრდა ტალანტს **დევიდ მოიესთან** კონფლიქტი ჰქონდა. მათი ურთიერთობა იმანაც დაძაბა, რომ მოიესის ქალიშვილი ზაჰას „გერლფრენდი" იყო.

## იანგს მართვის მოწმობა ჩამოართვეს

„მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველ **ეშლი იანგს** თითქოს საკლუბო პრობლემები და არასტაბილური თამაში არ ეყოფოდა, რომ ახლა მართვის მოწმობაც ჩამოართვეს - თანაც ნახევარი წლით. 28 წლის ფეხბურთელი სამართალდამცავებმა იმის გამო დასაჯეს, რომ ტრასაზე, რომელზეც 50 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობა მაქსიმალური ზღვარი იყო, 71 კმ/სთ-ით „მიქროდა".

## უმცროსი ინსი არწივი გახდება

„კრისტალ პალასი" **თომას ინსს** ინათხოვრებს. 22 წლის ნახევარმცველით „სანდერლენდი", „ჰალი", „სუონსი", "სტოკი" და... ვინ აღარ იყო დაინტერესებული, მაგრამ ყველას „არწივებმა" აჯობეს. სახელგანთქმული **პოლ ინსის** ვაჟი, რომელიც ამჟამად „ბლექპულში" ირიცხება, **ტონი პულისის** გუნდს პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებაში დაეხმარება. მისი დებიუტი, შესაძლოა, უკვე ამ უქმეებზე, „არსენალთან" დაპირისპირებაში შედგეს.

## რიბერი და ბენზემა გაამართლეს

პარიზის სასამართლომ **ფრანკ რიბერი** და **ქარიმ ბენზემა** გაამართლა. შეგახსენებთ, რომ ეს გაჯანჯლებული სასამართლო პროცესი 2010 წელს დაიწყო და ამ ფეხბურთელების არასრულწლოვან მეძავთან კონტაქტს ეხებოდა. აღსანიშნავია, რომ ბენზემა საერთოდ უარყოფდა იმას, რომ გოგონას იცნობდა, ხოლო რიბერი ამტკიცებდა, რომ მისი არასრულწლოვანების შესახებ არაფერი იცოდა. გოგონა, თურმე, თავს 20 წლისად ასაღებდა...

## ინტერმა დ'ამბროზიო გააბედნიერა

**დანილო დ'ამბროზიო** ძალიან ბედნიერი და ამაყია იმით, რომ „ინტერის" ფეხბურთელი გახდა. მოგეხსენებათ, „ტორინოს" დაცვის აწ უკვე ყოფილი ბურჯი ტურინული გუნდიდან „ნერაძურიში" სულ ახლახან გადაბარგდა. ტრანსფერის ფინანსური დეტალები ჯერჯერობით გასაიდუმლოებულია. სამაგიეროდ, ცნობილია 25 წლის ფეხბურთელის განწყობა:

*„საოცარი შეგრძნებაა. ძალიან ბედნიერი ვარ ჩემს ოჯახთან ერთად. რთული გზა გამოვიარე, მაგრამ საბოლოოდ, „ინტერში" აღმოვჩნდი. ეს მახარებს და მეამაყება. თამაში ორივე ფლანგზე შემიძლია და ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯები, როცა მენდობიან. მზყობრში ვარ და მოუთმენლად ველი მინდორზე გასვლას. ფანებს ვპირდები, რომ „ინტერისთვის" მაქსიმუმს გავიღებ"*, - განაცხადა დ'ამბროზიომ.

მილანელთა ახალწვეულმა არც ის დამალა, რომ სერია A-ში თავის ტყუპისცალ **დარიოსთან** ერთად თამაშზე ოცნებობს.

„ის ახლა „ლეჩეშია". დიდი ბედნიერება იქნებოდა, საკუთარ ძმასთან ერთად, ერთი შემართებითა და ვნებით სერია A-ში თამაში და იმედია, ერთ მშვენიერ დღეს ასეც მოხდება", - დასძინა დ'ამბროზიომ.

**გიორგი პაპაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ესპანეთი. ლა ლიგა. XXII ტურის წინ

# მადრიდელები ბასკების წინააღმდეგ

### 31 იანვარი

**გრანადა-სელტა 00:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** რიკი, იგალო - .

ბოლო 6 მატჩი

+2 =1 -3 (7-8) | +2 =1 -3 (7-11)

ურთიერთშეხვედრები

სულ 7 თამაში: +2 =3 -2 (7:7)

### 1 თებერვალი

**ბარსელონა-ვალენსია 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** ჟოაო პერეირა (ვალენსია)
**ტრავმა:** ნეიმარი, ჯონათან დოს სანტოსი, ალბა - კანალესი.

ბოლო 6 მატჩი

+4 =2 -0 (15-4) | +1 =2 -3 (7-10)

ურთიერთშეხვედრები

სულ 45 თამაში: +23 =12 -10 (88:54)

**ლევანტე-ვალეკანო 21:00**

**დისკვალიფიკაცია:** კარაბელასი - საულ ნიგესი, რაულ ბაენა
**ტრავმა:** - გალვესი, ხოსე კარლოსი, ა. პერეა

ბოლო 6 მატჩი

+3 =1 -2 (9-9) | +1 =0 -5 (6-15)

ურთიერთშეხვედრები

სულ 15 თამაში: +8 =3 -4 (19:18)

**ხეტაფე-ვალიადოლიდი 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ალექსისი, გავილანი - ფ. როსი, მარკ ვალიენტე, რუკავინა, ოსკარი, ხესუს რუედა

ბოლო 6 მატჩი

+0 =1 -5 (4-13) | +2 =1 -3 (8-12)

ურთიერთშეხვედრები

სულ 10 თამაში: +4 =2 -4 (6:8)

**მალაგა-სევილია 01:00**

**დისკვალიფიკაცია:** ხაირო სამპერიო, კარისო, ა. მორენო (სამივე „სევილია")
**ტრავმა:** სამუ, ხესუს გამესი, ველიგტონი - სისინიო, ჩერიშევი

ბოლო 6 მატჩი

+2 =1 -3 (2-5) | +2 =3 -1 (10-7)

ურთიერთშეხვედრები

სულ 27 თამაში: +11 =7 -9 (36:34)

### 2 თებერვალი

**ელჩე-ალმერია 15:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ა. ხიმენესი - როდრი, ნელსონი

ბოლო 6 მატჩი

+1 =1 -4 (4-12) | +3 =1 -2 (6-8)

ურთიერთშეხვედრები

სულ 16 თამაში: +3 =5 -8 (17:24)

**2.02. ბილბაო. სან მამეს ბარია 00:00**

### ბილბაო

ბოლო 6 მატჩი

+4 =1 -1 (18-8) | +5=1-0(16-4)

ურთიერთშეხვედრები

სულ 43 თამაში: +10 =5 -28 (41:100)

### რეალი

სავარაუდო შემადგენლობები

**ბილბაო**

ირაიზოზი
სან ხოსე, ლაპორტი
ირაოლა, ბალენსიაგა
იტურასპე
ანდერი, მ. რიკო
სუსაეტა, მუნიაინი
ადურისი

**რეალი**

ბენზემა
რონალდო, ისკო, დი მარია
მოდრიჩი, ჩაბი ალონსო
მარსელო, კარვახალი
ნაჩო, პეპე
დ. ლოპესი

**დისკვალიფიკაცია:** [illegible]
**ტრავმა:** [illegible]



პირველ წრეში „რეალმა" ისკოს კარგი თამაშის წყალობით იმარჯვა

**ბეტისი-ესპანიოლი 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** სედრიკ მაბვარი (ბეტისი)
**ტრავმა:** პერკისი, ჩული, ხავი ტორესი, ნოსა იგიებორი - .

ბოლო 6 მატჩი

+0 =1 -5 (4-17) | +2 =2 -2 (7-6)

ურთიერთშეხვედრები

სულ 33 თამაში: +6 =14 -13 (35:52)

**ატლეტიკო-სოსიედადი 22:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** მარიო სუარესი, ფილიპე ლუიში - ესტრადა, დე ლა ბელია, გრანერო

ბოლო 6 მატჩი

+4 =2 -0 (12-5) | +4 =1 -1 (17-9)

ურთიერთშეხვედრები

სულ 31 თამაში: +11 =7 -13 (48:43)

### 3 თებერვალი

**ვილიარეალი-ოსასუნა 01:00**

**დისკვალიფიკაცია:** არიბასი (ოსასუნა)
**ტრავმა:** კანი, ფარინოსე - სისი, ნინო

ბოლო 6 მატჩი

+3 =0 -3 (14-8) | +2 =3 -1 (7-9)

ურთიერთშეხვედრები

სულ 31 თამაში: +13 =7 -11 (45:39)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 21 | 17 | 3 | 1 | 57-13 | 54 |
| 2. ატლეტიკო | 21 | 17 | 3 | 1 | 52-14 | 54 |
| 3. რეალი | 21 | 17 | 2 | 2 | 60-21 | 53 |
| 4. ბილბაო | 21 | 13 | 3 | 5 | 41-27 | 42 |
| 5. ვილიარეალი | 21 | 11 | 4 | 6 | 39-22 | 37 |
| 6. სოსიედადი | 21 | 10 | 6 | 5 | 42-30 | 36 |
| 7. სევილია | 21 | 8 | 7 | 6 | 39-34 | 31 |
| 8. ლევანტე | 21 | 7 | 6 | 8 | 22-30 | 27 |
| 9. ესპანიოლი | 21 | 7 | 5 | 9 | 25-27 | 26 |
| 10. ვალენსია | 21 | 7 | 4 | 10 | 28-33 | 25 |
| 11. გრანადა | 21 | 7 | 3 | 11 | 19-27 | 24 |
| 12. ხეტაფე | 21 | 7 | 3 | 11 | 22-34 | 24 |
| 13. სელტა | 21 | 6 | 4 | 11 | 27-34 | 22 |
| 14. ოსასუნა | 21 | 6 | 4 | 11 | 18-34 | 22 |
| 15. ალმერია | 21 | 6 | 4 | 11 | 22-40 | 22 |
| 16. მალაგა | 21 | 5 | 6 | 10 | 19-27 | 21 |
| 17. ელჩე | 21 | 5 | 6 | 10 | 19-32 | 21 |
| 18. ვალიადოლიდი | 21 | 4 | 7 | 10 | 24-37 | 19 |
| 19. ვალეკანო | 21 | 5 | 1 | 15 | 21-51 | 16 |
| 20. ბეტისი | 21 | 2 | 5 | 14 | 18-47 | 11 |

**ბომბარდირები:** 22 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 19 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო); 14 - ანტუან გრიზმანი (სოსიედადი)

**პრიმერას მორიგ ტურში ორი გამორჩეული მატჩი გაიმართება. შაბათს, „ნოუ კამპზე" „ბარსელონა" „ვალენსიას" უმასპინძლებს, კვირას კი „სან მამეს ბარიას" „რეალი" ეწვევა. იოლი მატჩი არც მესამე ლიდერს ელის - „ატლეტიკო" „სოსიედადს" დაუხვდება...**

## გაგრძელდება რეალის მშრალი სერია?

„სან მამეს ბარიაზე" „ბილბაომ" პირველი თამაში ოთხშაბათს, „ატლეტიკოსთან" წააგო და თასიდან გამოვარდა. ზედიზედ მეორე საშინაო მარცხს, თანაც ისევ მადრიდულ გუნდთან, ბასკები ვერ დაუშვებენ. არადა, მათი მეტოქე შესანიშნავ ფორმაშია - „რეალმა" ყველა ტურნირზე ზედიზედ 10 მატჩი მოიგო, თანაც ბოლო 8 შეხვედრაში კარი მშრალად შეინახა. ბოლო გუნდი, ვინც „სამეფო კლუბის" კარი აიღო „ვალენსია" გახლავთ, რომელსაც **კარლო ანჩელოტის** შეგირდები დეკემბრის ბოლოს შეხვდნენ. დიახ, ახალ, 2014 წელს „რეალს" ჯერ გოლი არ გაუშვია.

ბოლო წლებში „ატლეტიკი" დედაქალაქელებს ჯეროვან წინააღმდეგობას ვერ უწევს. ამ გუნდების უკანასკნელი რვა მატჩიდან ყველა „რეალის" გამარჯვებით დასრულდა, ბასკებმა კი ბოლოს 2010 წელს გაიხარეს, როდესაც **ფერნანდო ლორენტეს** მიერ მატჩის დებიუტში გატანილი გოლის წყალობით 1:0 მოიგეს. მართალია, „სამეფო კლუბი" შესანიშნავ ფორმაში შევიდა, მაგრამ „ბილბაო" უშანსოდ ნამდვილად არ უნდა იყოს, ბოლოს და ბოლოს საკუთარ არენაზე ბასკებმა წელს „ბარსელონასაც" მოუგეს და პრიმერას ეგიდით გამართული 10 მატჩიდან (ერთხელ „ანოეტაზე" ითამაშეს) მხოლოდ 2 დაასრულეს ფრედ, დანარჩენში კი იმარჯვეს.

მასპინძლებს ყველა ლიდერი მწყობრში ჰყავთ, სტუმართა რიგებში კი სერიოზული დანაკლისია - ვერ ითამაშებს **სერხიო რამოსი**, რომელმაც წინა ტურში მე-10 ყვითელი ბარათი მიიღო. ასევე, საეჭვოა **გარეთ ბეილის** ასპარეზობა, თუმცა ანჩელოტის უელსელის შემცვლელის პოვნა არ უნდა გაუჭირდეს. პირველ წრეში „სანტიაგო ბერნაბეუს" ბინადრებმა **ისკოს** დუბლის და **კრიშტიანო რონალდოს** ერთი გოლის წყალობით 3:1 იმარჯვეს და როგორც უკვე ალვნიშნეთ, მეტოქესთან ზედიზედ მოგებული მატჩების სერია რვამდე გაზარდეს.

## ღამურები კამპ ნოუზე

„ვალენსიამ" ეს სეზონი უკვე ჩააგდო - ამის თქმა თამამად შეიძლება. **ხუან ანტონიო პიცი** ჯადოქარი არ არის და „ღამურებს" ჩემპიონთა ლიგის საგზურს ნამდვილად ვერ მოაპოვებინებს. ამ ტურნირის გარეშე დარჩენა კი „ვალენსიასთვის" ჩაგდებულ სეზონს ნიშნავს.

მორიგ ტურში პიცი და კომპანია კატალონიაში მიემგზავრება და დიდი შანსია, უკან უქულოდ გამობრუნდეს. **ხერარდო მარტინო** და „ვალენსიას" დამრიგებელი ერთმანეთს არგენტინის ჩემპიონატიდან კარგად იცნობენ, სადაც ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ მუშაობდნენ. აღსანიშნავია, რომ არგენტინის ბოლო ორი ჩემპიონატი სწორედ ამ სპეციალისტებმა მოიგეს. ჩემპიონატში უკანასკნელი გამარჯვება „ვალენსიამ" „ბარსასთან" 2007 წელს, „მესტალიაზე" მოიპოვა, აი, კატალონიაში „ღამურებს" 2003 წლის შემდეგ არ უმარჯვიათ, ქულა კი უკანასკნელად ამ სტადიონზე ვალენსიელებმა 2006 წელს აიღეს. მას შემდეგ გამართული 6 მატჩიდან „ბარსამ" 6-ვე მოიგო.

მასპინძლებს ისევ არ ეყოლებათ **ნეიმარი** და **ჯონათან დოს სანტოსი**. სამაგიეროდ, გამოჯანმრთელდნენ **სონგი, პუიოლი, მონტოია** და **ინიესტა** - ოთხივემ თასზე ითამაშა. სტუმართა რიგებში კი საეჭვოა **სოფიან ფეგულის** თამაში. საინტერესოა, რომ „ვალენსიას" შემადგენლობაში შესაძლოა დებიუტი ჰქონდეს **სეიდუ კეიტას**, რომელიც ხუან ანტონიო პიცის გუნდში გუშინ ღამით უნდა ჩარიცხულიყო.

## სხვა მატჩები

ამ ორი მატჩის გარდა, ინტერესს, პირველ რიგში, „ატლეტიკო"-"სოსიედადის" თამაში იწვევს. ბასკები კარგ სეზონს ატარებენ და „როხიბლანკოს" გამწარებას ეცდებიან, რაშიც მთავარი როლი **ანტუან გრიზმანმა** და **კარლოს ველამ** უნდა შეასრულონ. **დიეგო სიმეონეს** სერიოზული დანაკლისი აქვს - თასის შეხვედრაში დაშავდა **ფილიპე ლუიში**, რომელიც ძირითად შემადგენლობაში **ინსუამ** უნდა შეცვალოს.

14-მატჩიანი მოუგებელი სერიის მქონე „ბეტისი" „ესპანიოლს" უმასპინძლებს, რომელიც სევილიელებისთვის საკმაოდ უხერხული მეტოქეა. მართალია, შარშან „ბეტისმა" კატალონიელთა დამარცხება შეძლო, მაგრამ იქამდე „ვერდიბლანკოსი" „ესპანიოლს" საკუთარ მოედანზე 2002 წლიდან მოყოლებული ვერ ამარცხებდა.

მალაგაში ანდალუსიური დერბი გაიმართება, ტური კი ტრადიციულად ორშაბათს დასრულდება, როდესაც ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლი „ვილიარეალი" „ოსასუნას" მიიღებს.

● ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები

**ბილბაო-ატლეტიკო 1:2 (0:1)**

**გოლები:** 1:0 ადურისი (41), 1:1 რაულ გარსია (55), 1:2 დიეგო კოშტა (86)

**ბილბაო (4-1-4-1):** იაგო - ირაოლა, სან ხოსე, ლაპორტი, ბალენსიაგა - იტურასპე - სუსაეტა (72. კიკე სოლა), ანდერ ერერა (77. ბენიატი), მიკელ რიკო (65. იბაი გომესი), მუნიაინი - ადურისი

**ატლეტიკო (4-4-1-1):** კურტუა - ხუანფრანი, მირანდა, გოდინი, ფილიპე ლუიში (13. ე. ინსუა) - ადრიანი (79. ხ. სოსა), კოკე, გაბი, კ. როდრიგესი - რაულ გარსია - დიეგო კოშტა (88. ალდერვეირელდი)

**ბარსელონა-ლევანტე 5:1 (4:0)**

**გოლები:** 0:1 სერხი რობერტო (9-საკ. კარში), 1:1 ადრიანო (28), 2:1 პუიოლი (44), 3:1 ა. სანჩესი (50), 4:1 ა. სანჩესი (52), 5:1 ფაბრეგასი (68)

**ბარსელონა (4-3-3):** პინტო - მონტოია, ბარტრა, პუიოლი, ადრიანო - ა. სონგი, სერხი რობერტო, ინიესტა (46. პედრო) - ა. სანჩესი (78. მასკერანო), ფაბრეგასი (69. აფელაი), ტელიო

**ლევანტე (4-2-3-1):** ხავი ხიმენესი - ნაგორე, ვინტრა, ხუანფრანი, კარაბელასი - ელ ადუა, კამარასა - პედრო რიოსი, სერჟიუ პინტუ (32. ნონგი), რუბენ გარსია (72. ხორდი ლოპესი) - ანხელი (59. პალიარდო)

# არის მადრიდული დერბი

„კოპა დელ რეის" მეოთხედფინალური ეტაპის ცენტრალური დაპირისპირება „ატლეტიკის" და „ატლეტიკოს" მატჩი იყო, რომელიც მადრიდელთა გამარჯვებით დასრულდა - 2:1. **დიეგო სიმეონეს** სამწყსომ ნახევარფინალის საგზური მოიპოვა, სადაც მისი მეტოქე თანაქალაქელი „რეალი" უნდა იყოს, მეორე წყვილი კი „ბარსელონამ" და „სოსიედადმა" შეადგინეს. მართალია, ამ სტატიის დაწერისას, „რასინგი"-"სოსიედადი" დაწყებულიც კი არ იყო, მაგრამ თამაშის დღეს გავრცელებული ცნობების თანახმად, შეხვედრის გამართვის შანსი მინიმალური გახლდათ. მიზეზზე ადრეც მოგახსენეთ - „რასინგის" ფეხბურთელები თვეების განმავლობაში მიუღებელი ხელფასების გამო პროტესტს გამოთქვამდნენ და იმუქრებოდნენ, თუ კლუბის პრეზიდენტი არ გადადგება, არ ვითამაშებთო. როგორც ჩანს, **ანხელ ლავინი** პოსტის დატოვებას არ აპირებს...

რამდენიმე სიტყვა ოთხშაბათს გამართულ მატჩებზეც ვთქვათ. „ბილბაოს" და „ატლეტიკოს" შეხვედრაში ინტრიგამ 52-ე წუთამდე „გაქაჩა", აღნიშნულ დროს კი სტუმართა მხრიდან გოლი **რაულ გარსიამ** გაიტანა და „ატლეტიკი" მძიმე, თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდო. თამაშის ბოლო თავისი გოლი **დიეგო კოშტამაც** შეაგდო. აღსანიშნავია, რომ „როხიბლანკოს" საუკეთესო ბომბარდირისთვის ეს 2014 წელს გატანილი პირველი ბურთი იყო.

პირველ ტაიმში კი ყველაფერი მასპინძლებისთვის სასიკეთოდ წარიმართა. **ერნესტო ვალვერდეს** შეგირდები კარგად გამოიყურებოდნენ და ტაიმის ბოლოს წინაც გავიდნენ - შესანიშნავ ფორმაში მყოფმა **არიც ადურისმა ბალენსიაგას** გადაცემით ისარგებლა და ანგარიში გახსნა. რაულ გარსიასგან მიღებული ბურთის შემდეგ ბასკები დიდი ძალებით გადავიდნენ შეტევაში და როგორც აღვნიშნეთ, შეხვედრის ბოლოსკენ დაისაჯნენ კიდეც.

„ბარსელონა"-"ლევანტეს" წყვილში ყველაფერი პირველივე შეხვედრაში გაირკვა, ამიტომ **ხერარდო მარტინომ** რამდენიმე ლიდერი არ ათამაშა. სათადარიგოთა სკამზე იყო **ლიონელ მესი,** რომელმაც შეხვედრას თვალი ბოლომდე სკამზე მჯდომმა მიადევნა. კატალონიელთა რიგებიდან კი განსაკუთრებით კარგად **ალექსის სანჩესი** და **ადრიანო** გაისარჯნენ. ბრაზილიელმა ულამაზესი გოლით ანგარიში გაათანაბრა, ჩილელმა კი დუბლი შეასრულა და ზედ ერთი საგოლე პასიც მიამატა.



„სან მამეს ბარია" ისტორიაში პირველად დაეცა

● ლიბერტადორესის თასი. საკვალიფიკაციო ეტაპი. I მატჩები

# ბრაზილიელთა ცუდი დღე

**სპ. კრისტალი-ატლ. პარანაენ. 2:1**

**გოლები:** 1:0 ი. ავილა (30), 1:1 ედერსონი (55-პენ), 2:1 ლობატონი (61-პენ)

**დეპ. კიტო-ბოტაფოგო 1:0**

**გოლი:** 1:0 ესტუპინიანი (19)

სამხრეთ ამერიკაში ლიბერტადორესის თასის შესარჩევი ეტაპის კიდევ ორი შეხვედრა გაიმართა. პერუში, „სპორტინგ კრისტალმა" ბრაზილიის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორს, „ატლეტიკო პარანაენსეს" უმასპინძლა და მინიმალური სხვაობით მოუგო. მასპინძელთა მხრიდან გოლები ეროვნული ნაკრების წევრებმა, **ირვინ ავილამ** და **კარლოს ლობატონმა** გაიტანეს, „ატლეტიკოს" რიგებში კი თავი ბრაზილიის 2013 წლის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა **ედერსონმა** გამოიჩინა.

მეორე შეხვედრაში კი კიტოს „დეპორტივომ" „ბოტაფოგოს" 1:0 მოუგო. მოგეხსენებათ, „ფოგომ" ცოტა ხნის წინ **კლარენს ზეედორფი** დაკარგა, რომელმაც მოთამაშის კარიერა დაასრულა და „მილანის" მთავარი მწვრთნელი გახდა. სამაგიეროდ, გუნდში არგენტინელი **ხუან ფერეირა** მივიდა, ვინც წინა სეზონში პარაგვაის „ოლიმპიას" კარგი თამაშის ერთ-ერთი მიზეზი იყო. ფერეირამ 90 წუთი ითამაშა, თუმცა მხოლოდ ყვითელ ბარათს გამორჩა, მატჩის ერთადერთი გოლი კი მე-19 წუთზე **ვიქტორ ესტუპინიანმა** გაიტანა.

საკვალიფიკაციო ეტაპის დარჩენილი ორი მატჩი დღეს დილით გაიმართა. „უნივერსიდად დე ჩილემ" პარაგვაის „გუარანის" უმასპინძლა, „ლანუსი" კი „კარაკასს" ეწვია.

აქვე გეტყვით, რომ საპასუხო შეხვედრები 5, 6 და 7 თებერვალს გაიმართება.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ტრანსფერები. 28-30 იანვარი

# კაბაი... პარიზელები ფრანგებს საფრანგეთში აბრუნებენ

## ვალენსიამ ბოლოს გამოიღვიძა

**შეუძლებელი იყო, ბოლო სეზონების დიდ მოთამაშეს სატრანსფერო ბაზარზე, „პარი სენ-ჟერმენს" არ „გაესროლა" და აკი გაისროლა კიდევაც - ინგლისური „ნიუკასლიდან" ფრანგი შემტევი ნახევარმცველი იოან კაბაი სამშობლოში დააბრუნა. ეს ოპერაცია არაბული ინვესტიციით გამდიდრებულ კლუბს 19 მილიონი ფუნტი სტერლინგი დაუჯდა.**

თითქოს, ისედაც ძლიერ პსჟ-ს გაძლიერება არ სჭირდებოდა, თუმცა „ახალი სისხლი" არასოდეს არის ზედმეტი. თანაც 28 წლის **იოან კაბაი** მართლაც საოცარ ფორმაშია. კაბაიმ პსჟ-სთან 3,5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. 29 იანვრამდე პსჟ-მ ერთხელ უკვე სცადა კაბაის ხელში ჩაგდება, მაგრამ „ჯორდებმა" შორს დაიჭირეს ფრანგების 14-მილიონიანი წინადადება. სხვათა შორის, „ლილმა" ეს ფეხბურთელი 2011 წელს „ნიუკასლში" სულ რაღაც 4,3 მილიონ ფუნტ სტერლინგად გაყიდა. ასე რომ, „კაჭკაჭებმა" სპორტულადაც იხეირეს და ფინანსურადაც - 79 მატჩში კაბაიმ 17 გოლი გაიტანა „ნიუკასლ იუნაიტედის" მაისურით.

2011 წლიდან, რაც პსჟ-ს აქციების უმრავლესობა ყატარულ „სპორტს ინვესტმენთის" ხელშია, კლუბმა ტრანსფერებში 200 მილიონ ფუნტ სტერლინგზე მეტი დახარჯა!

იანვრის სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ერთი დღეღა დარჩა.

გუშინ ყველაზე აქტიური კლუბი „ვალენსია" იყო, რომელმაც **დორლან პაბონი, ანდრეს გუარდადო** და **ელდერ პოშტიგა** გაასხვისა, სამაგიეროდ კი ჩინეთიდან მიბრუნებული თავისუფალი აგენტი **სეიდუ კეიტა** დაიმატა. გახსოვთ ალბათ ეს აფრიკელი ნახევარმცველი „ბარსელონაში" ასპარეზობიდან.

ტრადიციისამებრ, ბოლო დღეს საკმაოდ ბევრი გარიგება განხორციელდება და, ვინ იცის, იქნებ ძალზე მნიშვნელოვანიც...



ასე დახვდნენ იოან კაბაის პარიზში

### იანვრის მთავარი ტრანსფერები

**28 იანვარი**

პეტერ ოდემვინგიე (კარდიფი-სტოკი), გაცვლა
კენაინ ჯონსი (სტოკი-კარდიფი), გაცვლა
ემირ პიუსი (სიტი-ბირმინგემი), იჯ.
ფაბიო და სილვა (იუნაიტედი-კარდიფი)
ბრიან დაბო (მონპელიე-ბლექბერნი), იჯ.
მაქსი ლოპესი (კატანია-სამპდორია), იჯ.
ბრუმა (გალათასარაი-გაზიანტეპი), იჯ.
ხენერელო (ელჩე-მალიორკა)
მარიანო ანდუხარი (კატანია-ნაპოლი)
მარიანო ანდუხარი (ნაპოლი-კატანია), იჯ.

**29 იანვარი**

იოან კაბაი (ნიუკასლი-პსჟ), 19 მლნ. ფუნტი
ლუუკ დე იონგი (გლადბახი-ნიუკასლი), იჯ.
რაფიკ ჯებური (ოლიმპიაკოსი-ნოტინგემი)
ჯეკ ჰანტი (პალასი-ბარნსლი), იჯ.
დანიელ ტოცერი (ჯენოა-უოტფორდი), იჯ.
მარიო სანტანა (ჯენოა-ოლანენზე), იჯ.
ჰასან იეგდა (გრანადა-უდინეზე), იჯ.
ბორხა ლოპესი (მონაკო-ვალეკანო), იჯ.
არნალდო სანაბრია (ბარსელონა B-სასუოლო)
ანდრეა კოკო (ვერონა-ვეირა მარი), იჯ.
ჯამელ მესბა (პარმა-ლივორნო), იჯ.
ლეანდრო პარედესი (ბოკა-კიევო), იჯ.
მატიას ვეჩინო (ფიორენტინა-კალიარი), იჯ.
კორაი გიუნტერი (დორტმუნდი-გალათასარაი)

**30 იანვარი**

დორლან პაბონი (ვალენსია-სან პაოლო), იჯ.
ელდერ პოშტიგა (ვალენსა-ლაციო), იჯ.
ანდრეს გუარდადო (ვალენსია-ლევერკუზენი), იჯ.
სეიდუ კეიტა (ვალენსია), თავ. აგ.
დანილო დამბროზიო (ტორინო-ინტერი)
მარსელო ესტიგარიბია (კიევო-ატალანტა), იჯ.
კრისტიან მოლინარო (შტუტგარტი-პარმა)
დანიელ ფოქსი (საუთჰემპტონი-ნოტინგემი)
ვილიამ კვისტი (შტუტგარტი-ფულჰემი), იჯ.
ვინისიუსი (ლაციო-პადოვა)იჯ.
რუბენ ოლივეირა (ფიორენტინა-ბრეშა)
იგნასიო სკოკო (ინტერნასიონალი-სანდერლენდი)
აბდულ რეზაკი (ანჟი-ვესტ ჰემი)

*შენიშვნა: იჯ. - იჯარა; თავ. აგ. - თავისუფალი აგენტი*

*შენიშვნა: სატრანსფერო ფანჯარა გაიხსნა 1 იანვარს და დაიხურება 31 იანვარს 23 საათზე გრინვიჩის დროით (1 თებერვალს დილის 3 საათზე საქართველოს დროით).*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● საფრანგეთი. ლიგა 1. XXIII ტურის წინ



პსჟ-ს თავკაც ლორან ბლანს „ბორდოსთან" ბევრი რამ აკავშირებს

# ბლანი VS ბორდო

| | |
|---|---|
| **31 იანვარი** | |
| პსჟ-ბორდო | 23:30 |
| **1 თებერვალი** | |
| ლორიანი-მონაკო | 19:30 |
| ევიანი-აიაჩო | 23:00 |
| ბასტია-გენგამი | 23:00 |
| რეიმსი-მონპელიე | 23:00 |
| სოშო-ნანტი | 23:00 |
| სტ. ეტიენი-ვალანსიენი | 23:00 |
| **2 თებერვალი** | |
| ნიცა-ლილი | 17:00 |
| რენი-ლიონი | 20:00 |
| მარსელი-ტულუზი | 00:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 22 | 15 | 6 | 1 | 52-15 | 51 |
| 2. მონაკო | 22 | 14 | 6 | 2 | 36-14 | 48 |
| 3. ლილი | 22 | 12 | 5 | 5 | 24-13 | 41 |
| 4. სტ. ეტიენი | 22 | 11 | 4 | 7 | 30-22 | 37 |
| 5. მარსელი | 22 | 10 | 5 | 7 | 31-24 | 35 |
| 6. ლიონი | 22 | 9 | 7 | 6 | 35-27 | 34 |
| 7. ბორდო | 22 | 9 | 7 | 6 | 29-23 | 34 |
| 8. ნანტი | 22 | 10 | 3 | 9 | 24-22 | 33 |
| 9. რეიმსი | 22 | 8 | 9 | 5 | 25-24 | 33 |
| 10. ლორიანი | 22 | 9 | 4 | 9 | 29-28 | 31 |
| 11. ტულუზი | 21 | 7 | 7 | 7 | 21-26 | 28 |
| 12. ბასტია | 21 | 7 | 6 | 8 | 24-29 | 27 |
| 13. ნიცა | 22 | 8 | 3 | 11 | 21-28 | 27 |
| 14. გენგამი | 22 | 6 | 8 | 8 | 20-22 | 26 |
| 15. მონპელიე | 22 | 4 | 12 | 6 | 24-26 | 24 |
| 16. რენი | 22 | 5 | 9 | 8 | 23-25 | 24 |
| 17. ევიანი | 22 | 5 | 6 | 11 | 20-37 | 21 |
| 18. ვალანსიენი | 22 | 4 | 6 | 12 | 22-33 | 18 |
| 19. სოშო | 22 | 2 | 6 | 14 | 16-44 | 12 |
| 20. აიაჩო | 22 | 1 | 7 | 14 | 15-39 | 10 |

**ბომბარდირები:** 17 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (პსჟ); 13 - ედინსონ კავანი (პსჟ); 12 - ალექსანდრ ლაკასეტი (ლიონი); 11 - ვენსან აბუბაქარი (ლორიანი); 10 - ანდრე-პიერ ჟინიაკი (მარსელი); 9 - რადამელ ფალკაო (მონაკო), ემანუელ რივიერი (მონაკო); 8 - ფილიპ ჯორჯევიჩი (ნანტი), დარიო ცვიტანიჩი (ნიცა), ბაფეტიმბი გომისი (ლიონი).

## ისევ დაჩაგრავს ბლანი ბორდოს?

„პარი სენ-ჟერმენმა" ისევ სახიფათოდ ახლოს მოუშვა „მონაკო" და ბოლოდროინდელი არადამაჯერებელი თამაშების დასავიწყებლად დედაქალაქელებმა საკუთარ კედლებში „ბორდოზე" უნდა იძალონ. **ლორან ბლანმა** თავისი ყოფილი გუნდი ცოტა ხნის წინ თასზე დაამარცხა, სეზონის სტარტზე სუპერთასიც მოუგო და პირველ წრეში ჟირონდაშიც იმარჯვა. ასე რომ, პარიზელები ამ სეზონში უკვე მეოთხედ შეეცდებიან ჟირონდელების წაქცევას. მით უმეტეს, რომ სტუმრებს კვლავაც არეული პერიოდი ჰქონდათ. ჟირონდელებმა წინა ტურში „სენტ ეტიენის" დამარცხებით ხასიათი ოდნავ კი გამოიკეთეს, მაგრამ „პარკ დე პრენსზე" ძალიან გაუჭირდებათ.

„მონაკო" ვახსენეთ და ბარემ აქვე ვთქვათ, რომ **კლაუდიო რანიერის** გუნდს არც ისე ადვილი თამაში აქვს გასვლაზე „ლორიანთან". **კრისტიან გურკუფის** შეგირდებისგან ყველაფერია მოსალოდნელი, მაგრამ სტუმრები ცხადია, თავისას ეცდებიან და გამოკვეთილ ფავორიტებადაც გვევლინებიან. **რანიერი** კი ალბათ შემადგენლობის როტაციას გააგრძელებს.

ქრონოლოგიურად თუ მივყვებით, შემდეგი „ლილია" და ახლა **რენე ჟირარის** კლუბის თამაშზე უნდა ვთქვათ ორიოდე სიტყვა, რომელიც „ალიანც რივიერაზე" გაიმართება. „ნიცა" მიხვდა, რომ ეს სეზონი წინასავით წარმატებული აღარ გამოუვა და ევროზონაში ვერ მოხვდება და არც გავარდნა დაემუქრება. ამიტომაც, ნიცელები ზედმეტი წნეხის გარეშე, თავისუფლად თამაშობენ და განსაკუთრებულად კარგად **კლოდ პუელის** ბიჭებს ეს საკუთარ კედლებში გამოსდით. ამიტომაც, ჟირარი ფრთხილად უნდა იყოს, რადგან მეტოქეები ისედაც ძალიან მიიახლოვა, არადა ეს ცოტა ხნის წინ თითქმის წარმოუდგენელი ჩანდა. ცოტაც და „ლილმა" შესაძლოა, სამეული დატოვოს. გუნდის მთავარ პრობლემად მწირგოლიანობა და ცოტა სახიფათო მომენტის შექმნა რჩება.

სამეულზე ოცნებობენ „სენტ ეტიენი", „მარსელი" და მოყოჩაღებული „ლიონიც". ეს უკანასკნელი „რენთან" გასვლაზე ითამაშებს და წესით, ადვილი მატჩი არ უნდა გამოუვიდეს. მართალია, **რემი გარდის** გუნდი ჩინებულ ფორმაშია და მისი შემტევები ერთმანეთზე უკეთ გამოიყურებიან, მაგრამ „რენი" ძალიან მძიმე გუნდია, რაზეც ზედიზედ ნათამაშები სამი ფრეც მეტყველებს. თანაც, **ფილიპ მონტანიემ** ორი ახალი თავდამსხმელი დაიმატა. ერთი სიტყვით, „რენს" დიდი სურვილი აქვს ხანგრძლივი მოუგებელი სერია შეწყვიტოს, ხოლო „ლიონს" კიდევ უფრო ხანგრძლივი წაუგებელი სერია შეუწყვიტოს.

„მარსელმა" „ვალანსიენთან" გადადებული მატჩი მძიმე ბრძოლაში მოიგო და მეხუთე ადგილზე აინაცვლა, ახლა კი „ტულუზის" წაქცევას ეცდება. თავისი ყოფილი გუნდის დაჩაგვრაში მარსელელებს **ანდრე-პიერ ჟინიაკიც** უნდა დაეხმაროს.

„ახლა კარგ ფორმაში ვართ და იმედია, ასე გაგრძელებას შევძლებთ. პირადად ჩემი თამაშითაც კმაყოფილი ვარ" - განაცხადა ჟინიაკმა, რომლის ანგარიშზეც უკვე 10 გოლია.

ხსენებული „ვალანსიენი" აშკარად უმატებს და უკეთ გამოიყურება, მაგრამ ეს ჯერ საკმარისი არაა იმისთვის რომ გუნდი გასავარდნი ზონიდან ამოვიდეს. მეტიც, ამ ტურში „ევიანი" წყალწაღებულ „აიაჩოს" მასპინძლობს და მიუხედავად ევიანელთა ღრმა კრიზისისა, ყველა ელოდება რომ ისინი მოიგებენ, რაშიც „ლილიდან" ნათხოვარი ბრაზილიელი თავდამსხმელი **ტულიო დე მელოც** უნდა დაეხმაროთ, ამ შემთხვევაში კი, თუ „ვალანსიენი" უქულოდ დარჩება, უსაფრთხო ზონასთან სხვაობა ისევ საგრძნობი გახდება. არადა, „ჟოფრუა გიშარზე" მეოთხე ადგილზე მყოფ „სენტ ეტიენთან" თუნდაც ქულის იმედად ყოფნა როგორი საქმეა? „მწვანეები" აქეთ იქნებიან დაგეშილნი გამარჯვებაზე, მაგრამ შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ვალანსიენელები ადვილად არაფერს დათმობენ და მატჩი ძალიან დაძაბული უნდა გამოვიდეს.

### შემორჩენილი იმედი

„სოშოს" ფეხბურთელთა გულის სიღრმეში, სულ ფსკერზე, ალბათ კიდევ ღვივის გადარჩენის იმედი. მონბელიარელები „ნანტს" მასპინძლობენ. თუმცა „იადონებს" თავის მხრივ ევროპალიგის საგზურის მოპოვების ამბიცია გაუჩნდათ და ამ შეხვედრასთან დაკავშირებით რადიკალურად განსხვავებული გეგმები აქვთ. ფრე დიდად ხელს არც ერთს არ აძლევს.

„მონპელიე" გარდაისახა და ძალიან კარგად ათამაშდა, მაგრამ საბოლოოდ დაძლეულია თუ არა კრიზისი, ამას „რეიმსთან" შეხვედრაში გავიგებთ, რადგან ეს **როლან კურბისის** გუნდისთვის სერიოზული გამოცდა იქნება. „რეიმსი" მძიმე და ძნელად წასაქცევი გუნდია, რომლისთვისაც გოლის გატანაც რთულია და რომელიც ხუთეულთან ტრიალებს, შესაბამისად, აქეთ ფიქრობს მეტოქის დამარცხებაზე.

„ბასტია"-„გენგამი" სატურნირო თვალსაზრისით შესაძლოა, ბევრის არაფრის შემცველელია, მაგრამ საინტერესოა ის რომ კორსიკელებს საკუთარ სტადიონზე ჩატარებულ 9 მატჩში მხოლოდ 5 გოლი აქვთ გაშვებული და აქედან 3 ერთმა გუნდმა („ლიონმა") გაუტანა, ამ 9 შეხვედრიდან მათ მხოლოდ 3-ში გაუშვეს გოლი. „გენგამი" კი ჩემპიონატში უკვე 7 მატჩია მოუგებელია და თუ ამ სერიის „არმან სეზარიზე" შეწყვეტა მოახერხა, მაშინ ყოჩაღ მას.

**გიორგი კაკაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XIX ტურის წინ

# ნახევარი ბუნდესლიგა ძრწის!

## ამიერიდან გერმანიის ჩემპიონატის მთავარი ინტრიგა გადარჩენისთვის ბრძოლაა



ჰამბურგის მთავარი მწვრთნელი ბერტ ვან მარვეიკი სასოწარკვეთილია

### 31 იანვარი

**ბრაუნშვაიგი–დორტმუნდი 23:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** პერთელი, მ. კალიჯური, ერვიგ-დრიუპელი, ვრანჩიჩი, გ. კორტე, კრუპკე, იორლი - სუბოტიჩი, ბლაშჩიკოვსკი, გიუნდოგანი

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +1=1-4 | +1=2-3 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 35 თამაში: +13=10-12, (56:46)

### 1 თებერვალი

**ლევერკუზენი–შტუტგარტი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ლომბი, კრუსი - დიდავი, გენტნერი, კვისტი

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +3=0-3 | +2=0-4 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 69 თამაში: +29=18-92, (113:92)

**ჰოფენჰაიმი–ჰამბურგი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** თესკერი, ვუკჩევიჩი - ადლერი, ჯურუ, ლამი, დემირბაი, ბაისტერი, ლასოგა

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +1=2-3 | +1=1-4 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 11 თამაში: +4=2-5, (19:13)

**მაინცი–ფრაიბურგი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ფათი, ბაუმგარტლინგერი, დ. შაჰინი - ფრაისი, ტერაცინო

**1.02. გელზენკირხენი აუფ შალკე 18:30**

**შალკე**

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +3=2-1 | +2=3-1 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 33 თამაში: +10=13-10, (46:42)

**ვოლფსბურგი**

სავარაუდო შემადგენლობები




**დისკვალიფიკაცია:** უჩიდა (შალკე)
**ტრავმა:** ჰოგო, კირხჰოფი, კლემენსი, დრაქსლერი, ჰოოგერი, ჯონსი - მედოთიევიჩი, პოლაკი, ვეერინხა

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +3=2-1 | +3=0-3 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 11 თამაში: +6=3-2, (19:8)

**აუგსბურგი–ვერდერი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ამსიფი, ჰიტცი, მორავეკი, აქინი - ფრიტცი

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +3=3-0 | +1=2-3 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 5 თამაში: +2=2-1, (6:4)

**ჰანოვერი–გლადბახი 21:30**

**დისკვალიფიკაცია:** ჰ. საკაი (ჰანოვერი)
**ტრავმა:** ჩერუნდოლო, ფელიპე, პანდერი, ა. ზობიეხი, ია კონანი - ბრუვერსი

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +2=1-3 | +3=2-1 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 47 თამაში: +13=8-26, (66:88)

### 2 თებერვალი

**ჰერტა–ნიურნბერგი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ბრუკსი, ბაუმიოჰანი, ჩიგერჩი - მარკოს ანტონიო, ნილსონი, პოგატეცი, ბალიჩი, ჰასებე, შტარკი

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +3=1-2 | +1=4-1 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 31 თამაში: +13=5-13, (50:44)

**ბაიერნი–აინტრახტი 20:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ბადშტუბერი, შვაინშტაიგერი - ჩელოცი, ოჩიპკა, კიტელი, შტენდერა

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +6=0-0 | +2=2-2 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 85 თამაში: +44=20-21, (160:110)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 18 | 16 | 2 | 0 | 46-9 | 50 |
| 2. ლევერკუზენი | 18 | 12 | 1 | 5 | 34-19 | 37 |
| 3. დორტმუნდი | 18 | 10 | 3 | 5 | 40-22 | 33 |
| 4. გლადბახი | 18 | 10 | 3 | 5 | 35-21 | 33 |
| 5. შალკე | 18 | 9 | 4 | 5 | 35-28 | 31 |
| 6. ვოლფსბურგი | 18 | 9 | 3 | 6 | 29-22 | 30 |
| 7. ჰერტა | 18 | 8 | 4 | 6 | 27-21 | 28 |
| 8. მაინცი | 18 | 8 | 3 | 7 | 27-32 | 27 |
| 9. აუგსბურგი | 18 | 7 | 4 | 7 | 23-27 | 25 |
| 10. ჰანოვერი | 18 | 6 | 3 | 9 | 26-32 | 21 |
| 11. ვერდერი | 18 | 5 | 5 | 8 | 22-37 | 20 |
| 12. შტუტგარტი | 18 | 5 | 4 | 9 | 31-35 | 19 |
| 13. ჰოფენჰაიმი | 18 | 4 | 6 | 8 | 36-42 | 18 |
| 14. აინტრახტი | 18 | 4 | 6 | 8 | 21-29 | 18 |
| 15. ფრაიბურგი | 18 | 4 | 5 | 9 | 19-33 | 17 |
| 16. ჰამბურგი | 18 | 4 | 4 | 10 | 33-41 | 16 |
| 17. ნიურნბერგი | 18 | 1 | 11 | 6 | 21-33 | 14 |
| 18. ბრაუნშვაიგი | 18 | 3 | 3 | 12 | 10-32 | 12 |

ბომბარდირები: 11 - რობერტ ლევანდოვსკი (დორტმუნდი), ადრიან რამოსი (ჰერტა); 10 - მარიო მანჯუკიჩი (ბაიერნი).

**„შტუტგარტთან"** გადადებული მატჩი „ბაიერნმა" მოგებით შეავსო და მეორე ადგილზე მყოფ „ლევერკუზენს" უკვე 13 ქულით უსწრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მიუნხენური გრანდი ფაქტობრივად „დამკაშია გასული" - რეკორდმაისტერის ჩემპიონობას წყალი არ გაუვა. ჩვენ კი ინტრიგა გვჭირდება, რომელიც ახლა ევროტურნირების საგზურებისთვის და გადარჩენისთვის ბრძოლაში უნდა ვეძებოთ. ამ დროისთვის განსაკუთრებით დაძაბული ვითარება გადარჩენისთვის ბრძოლაშია, რადგან ეს ბრძოლა მეათე ადგილიდანვე იწყება. ყველაზე მძიმე მდგომარეობაში ამ დროისთვის აუტსაიდერი „ბრაუნშვაიგია", რომელიც პარასკევის მატჩში დორტმუნდის „ბორუსიას" მასპინძლობს.

თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ **იურგენ კლოპის** გუნდი აჭრილია, „ბრაუნშვაიგი" უშანსოდ ნამდვილად არ იქნება. თანაც, ამ გუნდს უკან დასახევი გზა ფაქტობრივად აღარ აქვს, უშუალოდ „დორტმუნდთან" მატჩში კი ბრაუნშვაიგელთა მიზანი მინიმუმ ერთი ქულის აღებაა. მეკარე **დავარი** ამბობს, ამ სეზონში უკვე რამდენჯერმე გავაოცეთ ხალხი და იმედი მაქვს, რომ ამას „დორტმუნდთან" თამაშითაც მოვახერხებთო. „ბორუსიაში" კი კრიზისია და თანაც, კლოპს **იაკუბ ბლაშჩიკოვსკიც** დაუშავდა - პოლონელისთვის ეს სეზონი უკვე დამთავრებულია.

### ჰუნტელაარმა შალკეს იმედის ნაპერწკალი გაუღვივა

ტურის ცენტრალური მატჩი უდავოდ „შალკესა" და „ვოლფსბურგის" დაპირისპირებაა, რადგან ორივე ძალიან ამბიციური გუნდია და, რაც მთავარია, ბოლო დროს ორივე კარგად თამაშობს. „შალკე" მე-17 ტურში, ჰამბურგში მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებით (3:0) გამოცოცხლდა, რაც მეტწილად გამოჯანმრთელებული **კლაას-იან ჰუნტელაარის** დამსახურება გახლდათ. სწორედ ჰოლანდიელი გოლეადორის იმედი აქვთ გელზენკირხენელებს „ვოლფსბურგთან" პრინციპულ დუელშიც, რომლის გამარჯვებული ჩემპიონთა ლიგის საგზურისკენ დიდ ნაბიჯს გადადგამს. იქ მოხვედრა ვოლფსბურგელებსაც ძალიან უნდათ და ამისათვის ფულსაც არ იშურებენ (გაიხსენეთ **დე ბრუინის** ტრანსფერი), მაგრამ „მგლებმა" მეორე წრე „ჰანოვერთან" წაგებით (1:3) დაიწყეს და ხასიათი წაუხდათ.

### ეშველება ლევერკუზენს?

„ლევერკუზენი" მეორე ადგილს კი ინარჩუნებს, მაგრამ **სამი ჰიიპიას** გუნდიც კრიზისშია - „ფარმაცევტებმა" ზედიზედ სამი მარცხი ივნიეს და მეორე პოზიციაზე მხოლოდ იმიტომ დარჩნენ, რომ კონკურენტებიც სცოდავდნენ. **შტეფან კისლინგი** და კომპანია ვითარების გამოსწორებას „შტუტგარტთან" შეხვედრაში გეგმავენ და იმედი აქვთ, რომ შვაბები „ბაიერნთან" გადატანილი ომის შემდეგ გადაღლილები იქნებიან. მიუხედავად იმისა, რომ შვაბების დამრიგებელ **თომას შნაიდერს** ამის გაგონებაც არ უნდა, თავად „შტუტგარტი" გადარჩენისთვის ბრძოლაშია ჩაბმული.

### ჰამბურგში ახალი არაფერია

სახელოვანი გუნდებიდან კი ყველაზე მეტად „ჰამბურგს" უჭირს, რომელიც ამ ტურში კიდევ ერთ „ბედოვლათს", „ჰოფენჰაიმს" ხვდება. წინა ტურში ორივე განადგურდა: „ჰოფემ" „ნიურნბერგთან" 0:4 წააგო, „ჰამბურგი" კი „შალკესთან" 0:3 დამარცხდა. ახლა ერთმანეთს ხვდებიან და ამ მატჩს ორივესთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. *„ჩვენ გადარჩენისთვის ვიბრძვით. ყველამ იცის, რასაც ნიშნავს მე-16 ადგილზე ყოფნა,"* - ეს „ჰამბურგის" მცველ ჰაიკო ვესტერმანის სიტყვებია.

### ბაიერნი კვირას, ფრანკფურტში

„ბაიერნი" კი კვირას, ტურის უკანასკნელ შეხვედრაში თამაშობს - ბავარიელები ფრანკფურტის „აინტრახტს" სტუმრობენ. „შტუტგარტთან" გამარჯვებით რეკორდმაისტერმა მორიგი რეკორდი დაამყარა: 18 ტურის შემდეგ 16 მოგება ბუნდესლიგაში აქამდე არავის ჰქონია და 18 ტურის შემდეგ 13-ქულიანი უპირატესობით პირველ ადგილზე აქამდე არავინ ყოფილა. გაგახსენებთ იმასაც, რომ „ბაიერნს" უკვე 43-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს.

სხვადასხვა გუნდებმა „ბაიერნის" წინააღმდეგ მატჩებში ფაქტობრივად ყველანაირ მეთოდს მიმართეს, მაგრამ არც ერთი რეცეპტი არ ამართლებს. შესაბამისად, „აინტრახტი" მხოლოდ იმის იმედად თუ იქნება, რომ თავად მიუნხენელები იქნებიან ცუდ ხასიათზე და იქნებ, ფრანკფურტელებს რამე დაუთმონ...

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები

### კვისტი ფულჰემში, მოლინარო პარმაში

როგორც მოსალოდნელი იყო, **ვილიამ კვისტმა** და **კრისტიან მოლინარომ** „შტუტგარტი" დატოვეს. დანიელი საყრდენი ნახევარმცველი იჯარით „ფულჰემში" გადავიდა, იტალიელმა მარცხენა მცველმა კი „პარმასთან" ნახევარწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

### გუარდადო ბრემენშია

ვალენსიელი **ანდრეს გუარდადო** სეზონის ბოლომდე იჯარით ლევერკუზენის „ბაიერში" ითამაშებს. მექსიკელმა გერმანულ კლუბში სამედიცინო შემოწმება გუშინ გაიარა. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „ლევერკუზენმა" მისი შესყიდვის უპირატესი უფლებაც მიიღო და თუ ლევერკუზენში გუარდადო მოეწონებათ, ზაფხულიდან მის ტრანსფერს გამოისყიდიან.

### ჯოჯიჩი დორტმუნდისკენ

„კიკერის" ინფორმაციით, ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ დორტმუნდის „ბორუსია" 21 წლის სერბ ფეხბურთელს, **მილოშ ჯოჯიჩს** გადაიბირებს. ეს უკანასკნელი ბუნდესლიგაში ბელგრადის „პარტიზანიდან" გადადის - როგორც ირკვევა, დორტმუნდელთა მთავარი მწვრთნელი **იურგენ კლოპი** ჯოჯიჩზე დიდ იმედებს ამყარებს.

### ჰანოვერმა რაიტორალი ინათხოვრა

„ჰანოვერი" პლზენის „ვიქტორიას" **ფრანტიშეკ რაიტორალის** იჯარაზე შეუთანხმდა. მარჯვენა მცველმა გუშინ გერმანულ კლუბში სამედიცინო შემოწმება წარმატებით გაიარა და ახალ თანაგუნდელებთან ერთადაც ივარჯიშა. ჩეხი „ჰანოვერში" მინიმუმ ზაფხულამდე დარჩება.

### ქორაი გიუნტერი გალათასარაიში

დორტმუნდის „ბორუსიას" ახალგაზრდა ფეხბურთელი **ქორაი გიუნტერი** „გალათასარაიში" გადაბარგდა. თურქეთის ჩემპიონმა 18 წლის ფეხბურთელში 2,5 მილიონი ევრო გადაიხადა. თუმცა, დორტმუნდელებმა გიუნტერის უკან დასაბრუნებელი გზა მაინც დაიტოვეს: კონტრაქტში ჩაიდო პუნქტი, რომლის მიხედვითაც, თუ „ბორუსიას" 2015/2016 წლების სეზონში მისი დაბრუნება მოუნდება, „გალათასარაი" იძულებული იქნება, გიუნტერი, რომელიც გერმანიის 19-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელია, 7 მილიონ ევროდ დათმოს.

**გოტფრიდ ლენცი**

### ამრაბატი მალაგაში

**ბერნდ შუსტერმა** საკუთარი გუნდის შემტევი პოტენციალი გააძლიერა და **ნორდინ ამრაბატი** შეიძინა. 26 წლის მაროკოელი, რომელიც ერთი პერიოდი **შოთა არველაძის** შეგირდი იყო („ქაისერიში"), ბოლოს „გალათასარაიში" ირიცხებოდა, სადაც წელს სულ 4 შეხვედრაში ითამაშა. ამრაბატი „მალაგაში" სეზონის ბოლომდე იჯარით ითამაშებს და იმედოვნებს, რომ ახალ კლუბში და ჩემპიონატში თავს კარგად წარმოაჩენს:

*„თამაში წინა ხაზის ყველა პოზიციაზე შემიძლია. ბომბარდირობაზე პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ 7-10 გოლის გატანის იმედი ნამდვილად მაქვს. მსურს, რომ გუნდს არა მხოლოდ გოლებით, არამედ საგოლე პასებითაც დავეხმარო და ჩვენ წინაშე დასახული მიზნების განხორციელებაში საკუთარი წვლილიც შევიტანო,"* - განაცხადა მაროკოელმა პრეზენტაციაზე.

### კეიტა ლა ლიგაში დაბრუნდა

„სევილიას" და „ბარსელონას" ყოფილი ნახევარმცველი **სეიდუ კეიტა** ესპანეთში ბრუნდება. 34 წლის მალელი ნახევარმცველი, რომელიც ბოლოს ჩინურ „დალიანში" თამაშობდა, „ვალენსიაში" თავისუფალი აგენტის სტატუსით გადადის, სადაც სეზონის ბოლომდე დარჩება, თუმცა კონტრაქტი ხელშეკრულების კიდევ ერთი წლით გახანგრძლივების პუნქტსაც შეიცავს.

შეგახსენებთ, რომ ესპანური კლუბების გარდა, კეიტას „მარსელში", „ლორიანსა" და „ლანსში" უთამაშია. სწორედ ამ უკანასკნელში გაითქვა მან სახელი და 2007 წელს „სევილიაში" გადაბარგდა, ერთი წლის შემდეგ კი ის „ბარსელონაში" აღმოჩნდა, სადაც 2012 წლამდე თამაშობდა.

### სკოკო სანდერლენდში

**იგნასიო სკოკო** კარიერას „სანდერლენდში" გააგრძელებს. 28 წლის ფორვარდი, რომელიც 2012/13 წლების სეზონში არგენტინის ორივე ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, ბრაზილიას და „ინტერნასიონალს" ვერ შეეწყო. „სანდერლენდმა" არგენტინელში 3 მილიონი ევრო გადაიხადა და ახალწვეულთან კონტრაქტი 2016 წლამდე გააფორმა.

### სიმეონეს თანამემამულეების შეძენა სურს

ესპანურ და არგენტინულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, **დიეგო სიმეონეს** „ატლეტიკოში" თანამემამულეების მიყვანა სურს. საუბარია „ვალენსიას" საყრდენ **ევერ ბანეგაზე** და „სან ლორენსოს" შემტევ **ანხელ კორეაზე**.

შეგახსენებთ, რომ ბანეგა „ატლეტიკოში" უკვე თამაშობდა. კერძოდ, 25 წლის ფეხბურთელმა მადრიდულ კლუბში 2008/09 წლების სეზონი გაატარა. „ვალენსიას" დამრიგებელ **ხუან ანტონიო პიცის** თანამემამულე დიდად გულზე არ ეხატება და მზადაა, ის მადრიდში გაუშვას, სიმეონეს კი ბანეგას დამატება ძალიან უნდა, მაგრამ ყველაფერი **გილავოგის** ტრანსფერზეა დამოკიდებული - თუ „ატლეტიკომ" ფრანგის გაშვება მოახერხა, მაშინ ბანეგასაც გადაიბირებს.

რაც შეეხება კორეას: მადრიდელებმა „სან ლორენსოს" 13 მილიონი ევრო შესთავაზეს. 18 წლის ფორვარდი არაორდინარული ტექნიკით და გადაწყვეტილებებით გამოირჩევა. თავისი კარგი და გამორჩეული დრიბლინგების გამო, კორეამ ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელის სახელი დაიმკვიდრა.

**ტატო ბაციკაძე**

ევერ ბანეგა (შუაში)



ევროპული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. XXIV ტურის წინ

# დერბი ცენტრალურ მატჩამდე

## 1 თებერვალი

**ნიუკასლი-სანდერლენდი 16:45**

**დისკვალიფიკაცია:** ლოიკ რემი -
**ტრავმა:** კოლოჩინი, სისე, გუფრანი, რ. ტეილორი - კუელიარი, კატერმოული

ბოლო 6 მატჩი
+2=1-3 | +3=2-1

ურთიერთშეხვედრები
სულ 115 თამაში: +44=35-36 (186-173)

**ვესტ ჰემი-სუონსი 16:45**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** დიამე, ჯ. კოული, ვას ტე - მონკი, მიჩუ, კანიასი

ბოლო 6 მატჩი
+1=2-3 | +1=1-4

ურთიერთშეხვედრები
სულ 7 თამაში: +4=2-1 (11-7)

**კარდიფი-ნორვიჩი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** - ბ. ჯონსონი
**ტრავმა:** ტეილორი - ტერნერი, ჰაუსონი, ბენეტი

ბოლო 6 მატჩი
+0=1-5 | +1=2-3

ურთიერთშეხვედრები
სულ 13 თამაში: +4=3-6 (13-17)

**ევერტონი-ასტონ ვილა 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ლუკაკუ, დისტენი, კონე, გიბსონი, ოვიედო - ნზოგბია, ჰერდი, ოკორე, კოზაკი

ბოლო 6 მატჩი
+2=2-2 | +2=2-2

ურთიერთშეხვედრები
სულ 172 თამაში: +59=49-64 (251-263)

**ფულჰემი-საუთჰემპტონი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** - ოსვალდო
**ტრავმა:** რიისე, ეტერიჯი, ბრიგსი - ლამბერტი, რამირესი, ლოვრენი

ბოლო 6 მატჩი
+2=0-4 | +2=2-2

ურთიერთშეხვედრები
სულ 15 თამაში: +4=7-4 (24-25)

**ჰალი-ტოტენჰემი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** მაკგრეგორი - როუზი
**ტრავმა:** ალუკო, ჩესტერი - ლამელა, ტაუნსენდი

ბოლო 6 მატჩი
+1=0-5 | +4=1-1

ურთიერთშეხვედრები
სულ 7 თამაში: +1=1-5 (5-13)

**სტოკი-იუნაიტედი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** ნზონზი - ვიდიჩი
**ტრავმა:** ეტერინგტონი, უილკინსონი - კერიკი, ნანი

ბოლო 6 მატჩი
+0=1-5 | +4=0-2

ურთიერთშეხვედრები
სულ 70 თამაში: +15=21-34 (73-119)

## 2 თებერვალი

**ბრომვიჩი-ლივერპული 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** მაკაული - ალენი, გ. ჯონსონი, ხ. ენრიკე, აგერი, სახო, ლეივა, კოატესი

ბოლო 6 მატჩი
+1=2-3 | +1=3-2

ურთიერთშეხვედრები
სულ 110 თამაში: +29=30-51 (123-168)

**არსენალი-პალასი 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** ფლამინი -
**ტრავმა:** როსიცკი, რემსი, სანოგო, დიაბი, უოლკოტი - პარი, ჰანტი, მარი

ბოლო 6 მატჩი
+1=2-3 | +3=1-2

ურთიერთშეხვედრები
სულ 27 თამაში: +17=8-2 (59-22)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სიტი | 23 | 17 | 2 | 4 | 68-26 | 53 |
| 2. არსენალი | 23 | 16 | 4 | 3 | 45-21 | 52 |
| 3. ჩელსი | 23 | 15 | 5 | 3 | 43-20 | 50 |
| 4. ლივერპული | 23 | 14 | 4 | 5 | 57-28 | 46 |
| 5. ტოტენჰემი | 23 | 13 | 4 | 6 | 30-31 | 43 |
| 6. ევერტონი | 23 | 11 | 9 | 3 | 35-24 | 42 |
| 7. იუნაიტედი | 23 | 12 | 4 | 7 | 38-27 | 40 |
| 8. ნიუკასლი | 23 | 11 | 4 | 8 | 32-28 | 37 |
| 9. საუთჰემპტონი | 23 | 8 | 8 | 7 | 31-27 | 32 |
| 10. ასტონ ვილა | 23 | 7 | 6 | 10 | 26-32 | 27 |
| 11. სუონსი | 23 | 6 | 6 | 11 | 29-33 | 24 |
| 12. ნორვიჩი | 23 | 6 | 6 | 11 | 18-35 | 24 |
| 13. ჰალი | 23 | 6 | 5 | 12 | 22-29 | 23 |
| 14. პალასი | 23 | 7 | 2 | 14 | 15-31 | 23 |
| 15. ბრომვიჩი | 23 | 4 | 10 | 9 | 27-33 | 22 |
| 16. სტოკი | 23 | 5 | 7 | 11 | 22-37 | 22 |
| 17. სანდერლენდი | 23 | 5 | 6 | 12 | 22-36 | 21 |
| 18. ვესტ ჰემი | 23 | 4 | 7 | 12 | 22-33 | 19 |
| 19. ფულჰემი | 23 | 6 | 1 | 16 | 22-50 | 19 |
| 20. კარდიფი | 23 | 4 | 6 | 13 | 17-40 | 18 |



არსენ ვენგერს ორშაბათამდე ისევ შეუძლია პირველ ადგილზე გადასვლა

**ბომბარდირები:** 23 - ლუის სუარესი (ლივერპული), 15 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი), 13 - დენიელ სტარიჯი (ლივერპული)

**პრემიერლიგის ყველაზე საინტერესო თამაშები უქმეებზე კვირას არის დანიშნული, ცენტრალური მატჩი კი სულაც ორშაბათს შედგება, რომელზეც რამდენიმე დღით ადრე მსჯელობა, ობიექტური მიზეზების გამო, საკმაოდ გვიძნელდება. შესაბამისად, ტურის წინა მიმოხილვაში სხვა დაპირისპირებებზე გავამახვილებთ ყურადღებას.**

### დერბი ლიდერების გარეშე

დავიწყოთ „ნიუკასლი"-"სანდერლენდის" ტაინსაიდური დერბით: **გუსტავო პოიეტის** გუნდი ნამდვილ სასწაულებს ახდენს და ნელ-ნელა, მაგრამ სტაბილურად ახერხებს ქულების დაგროვებას. ინგლისურ ფეხბურთში დერბის განსაკუთრებულ ხასიათზე ალარაფერს ვიტყვით, რადგან, დარწმუნებულები ვართ, გულშემატკივარს ისედაც მშვენივრად ესმის. სტუმართა კარგი სათამაშო ფორმის გარდა, „კაჭკაჭების" მდგომარეობას ნამყვანი ფეხბურთელების არყოფნაც ამძიმებს. „ნორვიჩთან" გაძევებულ **ლოიკ რემის** 3-მატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს. ასე რომ, საუკეთესო ბომბარდირი „ნიუკასლს" კიდევ დიდხანს ვერ დაეხმარება. ამ მხრივ პრაქტიკულად არ აქვთ დანაკლისი „შავ კატებს". „სენტ ჯეიმს პარკზე" უკანასკნელი შეხვედრა მასპინძელმა დიდი ანგარიშით (0:3) დათმო. შესაბამისად, **ალან პარდიუსა** და კომპანიას შურისძიების წყურვილმა მეტი ძალა უნდა მისცეს.

### შერყეული საფუძველი

„საუთჰემპტონთან" მატჩამდე „არსენალს" ბოლო თვე-ნახევრის განმავლობაში 8 თამაში ჰქონდა ჩატარებული, რომელთაგან ხუთში კარი მშრალად შეინახა, დანარჩენებში კი მხოლოდ თითო ბურთი გაუშვა. „წმინდანებთან" „მეთოფეთა" დაცვითი ხაზი მოირღვა. „სენტ მერიზე" **ვოიცეხ შჩესნის** ბრწყინვალედ თამაში რომ არა, რა მოხდებოდა, ვინ იცის. მცირე ლონდონურ დერბიში „კრისტალ პალასთან" „არსენალს" შეუძლია შელახული იმიჯის აღდგენა, თუმცა გარანტირებული არაფერია. **ტონი პულისის** ხელში ხომ ეს გუნდი იოლად გასალახი უკვე აღარავისთვის არის.

**3.02. მანჩესტერი ეტიჰადი 00:00**

**სიტი**

ბოლო 6 მატჩი
+6=0-0 | +4=2-0

ურთიერთშეხვედრები
სულ 133 თამაში: +44=36-53 (177-197)

**ჩელსი**

სავარაუდო შემადგენლობები




**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ნასრია, აგუერო - ტორესი, ვან გინკელი

ინგლისი. პრემიერლიგა. XXIII ტურის შეჯამება

# უცხოპლანეტელები?



„მანჩესტერ სიტი" უსაშველოდ ძლიერია. ოთხშაბათს „უაით ჰართ ლეინზე" ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა

### აგუერო ისევ თამაშგარეშია

ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ **სერხიო აგუერო** მოედანს დაუბრუნდა თუ არა, თითქოს არაფერი მომხდარაო, უცბად ათამაშდა. 25 წლის არგენტინელმა 5 არასრულ შეხვედრაში 7 გოლი გაიტანა და სამწუხაროდ, ამჯერად ბარძაყის კუნთი იტკინა. როდის შეძლებს თავდამსხმელი ვარჯიშის განახლებას, ეს დიაგნოზზეა დამოკიდებული. „ჩელსისთან" აგუეროს თამაშის შანსი მიზერულია. თავად სერხიო ამტკიცებს, რომ მწვრთნელმა ის მხოლოდ თავის დაზღვევის მიზნით შეცვალა. **მანუელ პელეგრინის** თქმით კი, ფეხბურთელს მყესი აქვს დაზიანებული, რაც ნაკლებად იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს. ჩილელი მხოლოდ იმედოვნებს, რომ დაზიანება სერიოზული არ აღმოჩნდება.

„ტოტენჰემთან" შეხვედრის შემდეგ ძნელია „სიტიზე" რაღაც ახლის თქმა. ის, რომ თამაშის ხარისხის მიხედვით, „ქალაქელები" ჩემპიონატის უპირველეს ფავორიტებად უნდა ჩავთვალოთ, ამაზე მსჯელობა ზედმეტი გვგონია. სტატისტიკაც კი ამას მოწმობს: XXIII ტურის შემდეგ გუნდმა 8-ჯერ შეძლო 4 და მეტი გოლის გატანა. „დეზების" თავკაცი **ტიმ შერვუდი** იმდენად იყო შეძრული მეტოქის ტოტალური უპირატესობით, რომ „სიტის" ფეხბურთელებს უცხოპლანეტელები უწოდა და მომავალ ჩემპიონად გამოაცხადა.

პელეგრინი კი მსგავს დამოკიდებულებას არ ეთანხმება. აი, რას ამბობს ის: *„წინ კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი თამაშია. შესაბამისად, წინასწარ დასკვნების გაკეთება ნაადრევი მგონია. თუკი ასევე გავაგრძელებთ თამაშს, შანსი ნამდვილად გვექნება, მაგრამ, მოდი, ამაზე მსჯელობა სამომავლოდ გადავდოთ".*

### დამნაშავე ვესტ ჰემი

„სტემფორდ ბრიჯზე" უგოლო ლონდონური დერბის შემდეგ **ჟოზე მოურინიო** გაწბილებული დარჩა. მისი გაგება შეიძლება, რადგან „სიტისთან" სტუმრად შეხვედრამდე მას უკეთესი „ჩელსის" ნახვა სურდა. კოლოსალური უპირატესობის მიუხედავად, მასპინძელი ბოლოს ვერას გახდა. პორტუგალიელმა მთავარი დამნაშავე მალევე იპოვა - მეტოქის უმსგავსო ტაქტიკა, რომელიც მხოლოდ შეტევების ჩაშლაზე იყო ორიენტირებული. *„ძნელია ითამაშო ფეხბურთი, როცა მოწინააღმდეგეს ამის სურვილი არ გააჩნია, რადგან ამისთვის ორმხრივი ნებაა საჭირო,"* - განაცხადა „განსაკუთრებულმა".

დიდხანს არც **სემ ელერდაისის** რეაქციამ დააყოვნა: *„სასიამოვნოა იმის ყურება, მეტოქე ფეხბურთელები როგორ ცდილობენ მსაჯის დაშინებას, რადგან მოედანზე არაფერი გამოსდით, მათი გაბრაზებული მწვრთნელი კი როგორ ხტუნაობს ტექნიკური ზონის სიახლოვეს. პასუხი იმაზე, თუ რატომ ავირჩიეთ ეს ტაქტიკა, ძალიან მარტივია: „ვესტ ჰემი" დასარჩენად იბრძვის და ვერ მისცემს საკუთარ თავს უფლებას, მეტოქეს თამაში გაუხსნას და სამი ბურთით დამარცხდეს".*

**სიმბოლური ნაკრები**




ამბები

### ვუჩინიჩი და დრაქსლერი არსენალში

იტალიური წყაროების მტკიცებით, „არსენალმა" „იუვენტუსთან" **მირკო ვუჩინიჩის** 6-თვიანი იჯარა შეათანხმა. 30 წლის ჩერნოგორიელს ლონდონში სამედიცინო შემოწმება წუხელ უნდა გაევლო. სეზონის დასრულების შემდეგ გამორიცხული არ არის, ჩრდილოლონდონელებმა ვეტერანი გამოისყიდონ კიდეც. „ტელეგრაფის" ინფორმაციით კი „მეთოფეებს" სულ ცოტა აშორებთ „შალკეს" 20 წლის გერმანელი ვარსკვლავის **იულიან დრაქსლერის** ტრანსფერთან. „ხუმარები" ლიდერს 36 მილიონ ფუნტად (43.6 მილიონი ევრო) აფასებენ. ეს იმდენივეა, რამდენიც „რეალმა" მიიღო **მესუთ იოზილის** სანაცვლოდ.



მირკო ვუჩინიჩი

### ფალკაოსკენ მიმავალი გზა

„ჩელსი" „მონაკოდან" **რადამელ ფალკაოს** ყიდვას ზაფხულზე აპირებს. 27 წლის კოლუმბიელი ძალიან ძვირია. ჟოზე მოურინიოს შანსი აქვს, რომან აბრამოვიჩის დახმარების გარეშე მოუყაროს თავი ამ თანხას. ამისთვის ის **რომელუ ლუკაკუს** გაყიდვას გეგმავს. 20 წლის ბელგიელი 20 მილიონი ფუნტი ღირს. ამას გარდა, გამორიცხული არ არის, ტრანსფერზე დადგეს „ატლეტიკოში" მოასპარეზე **ტიბო კურტუაც**. რა მოხდება ზაფხულში, ეს არავინ იცის, მით უფრო, რომ ახლა ფალკაოც დამტვრეულია და ლუკაკუც. მანამდე კი „ჩელსიმ" 15 მილიონად თითქმის მოაგვარა „სენტ ეტიენიდან" 19 წლის **კურტ ზუმას** შეძენის საქმე. ამბობენ, რომ ფეხბურთელს სამედიცინო შემოწმების გავლაღა დარჩა.

### აშკარა პროგრესი

„მანჩესტერ სიტიმ" 2012/03 წლების სეზონის აუდიტორული შემოწმების შედეგები გამოაქვეყნა. პროგრესი აშკარაა. ზარალი წინა წელთან შედარებით 98 მილიონიდან 52-მდე შემცირდა, შემოსავალმა მკვეთრად იმატა და 271 მილიონი შეადგინა, მათ შორის 36 მილიონითაა გაზრდილი სპონსორული კონტრაქტებიდან მიღებული თანხები. პარალელურად გაიზარდა სახელფასო ფონდიც, 202 მილიონიდან 233-მდე. ფინანსისტების ცნობით, 2008 წლის აგვისტოდან მოყოლებული, კლუბს მესაკუთრეთაგან 559 მილიონის დოტაცია დასჭირდა.

გვერდი მოამზადა **ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● იტალია. სერია A. XXII ტურის წინ

# დიდი დერბის ინტრიგა

## იუვე ფავორიტია, მაგრამ...

**1 თებერვალი**

**კალიარი–ფიორენტინა 21.00**

**დისკვალიფიკაცია:** კოსუ (კალიარი).
**ტრავმა:** ბორხა ვალერო, გომესი, ტომოვიჩი, პეგაზი, როსი (ფიორენტინა).

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 0-3-3 | 4-2-0 |

ურთიერთშეხვედრები
**სულ 31 თამაში: +16=8-7, (46-31)**

**ბოლონია–უდინეზე 21.00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ.
**ტრავმა:** ჩეხი - დომიცი.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 1-3-2 | 1-0-5 |

ურთიერთშეხვედრები
**სულ 29 თამაში: +9=9-11, (30-36)**

**მილანი–ტორინო 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** ბალოტელი - ჟილე.
**ტრავმა:** ელ შაარავი, სილვესტრი, საპატა, პეტანია, აბიატი, პოლი, ძაკარდო - ლარონდო, გაცი.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 3-1-2 | 4-1-1 |

ურთიერთშეხვედრები
**სულ 22 თამაში: +12=9-1, (40-14)**

**2 თებერვალი**

**ჯენოა–სამპდორია 15.30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ.
**ტრავმა:** სანტანა, კუჩკა, გამბერინი (ჯენოა).

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 2-2-2 | 2-2-2 |

ურთიერთშეხვედრები
**სულ 23 თამაში: +10=6-7, (27-21)**

**სასუოლო–ვერონა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ანტეი (სასუოლო).
**ტრავმა:** ტერანოვა, ალექსე, აჩერბი, მაზუჩი, მანიანელი - აგოსტინი, მაიეტა.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 1-0-5 | 2-1-3 |

ურთიერთშეხვედრები
**სულ 9 თამაში: +4=1-4, (12-9)**

**კიევო–ლაციო 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** მაური (კიევო).
**ტრავმა:** კალელო - რადუ, ალფარო, ედერსონი.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 0-3-3 | 3-2-1 |

ურთიერთშეხვედრები
**სულ 23 თამაში: +5=9-9, (22-28)**

**კატანია–ლივორნო 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** კოდა, გრეკო (ლივორნო).
**ტრავმა:** ალვარესი, მონძონი (კატანია).

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 1-2-3 | 1-0-5 |

ურთიერთშეხვედრები
**სულ 11 თამაში: +3=1-7, (12-22)**

**ატალანტა–ნაპოლი 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ბრივიო, კარმონა (ატალანტა).
**ტრავმა:** სკალონი, ბელინი - ცუნიგა, მესტო, ბერამი.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 2-1-3 | 3-3-0 |

ურთიერთშეხვედრები
**სულ 28 თამაში: +8=10-10, (26-33)**



დერბის ჯანლუიჯი ბუფონი (მარცხნივ) დააკლდება

**რომა–პარმა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ნაინგოლანი - ფელიპე.
**ტრავმა:** ბასტოსი, ბალცარეტი - პავარინი, ობი.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 4-1-1 | 4-2-0 |

ურთიერთშეხვედრები
**სულ 23 თამაში: +11=9-3, (37-15)**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 21 | 18 | 2 | 1 | 51-15 | 56 |
| 2. რომა | 21 | 15 | 5 | 1 | 45-11 | 50 |
| 3. ნაპოლი | 21 | 13 | 5 | 3 | 44-23 | 44 |
| 4. ფიორენტინა | 21 | 12 | 5 | 4 | 40-22 | 41 |
| 5. ინტერი | 21 | 8 | 9 | 4 | 38-24 | 33 |
| 6. ტორინო | 21 | 8 | 8 | 5 | 34-27 | 32 |
| 7. პარმა | 21 | 8 | 8 | 5 | 32-27 | 32 |
| 8. ვერონა | 21 | 10 | 2 | 9 | 35-34 | 32 |
| 9. მილანი | 21 | 7 | 7 | 7 | 34-31 | 28 |
| 10. ლაციო | 21 | 7 | 7 | 7 | 27-29 | 28 |
| 11. ჯენოა | 21 | 7 | 6 | 8 | 23-27 | 27 |
| 12. ატალანტა | 21 | 7 | 3 | 11 | 21-30 | 24 |
| 13. სამპდორია | 21 | 5 | 7 | 9 | 25-32 | 22 |
| 14. კალიარი | 21 | 4 | 9 | 8 | 20-31 | 21 |
| 15. უდინეზე | 21 | 6 | 2 | 13 | 20-32 | 20 |
| 16. კიევო | 21 | 4 | 6 | 11 | 16-27 | 18 |
| 17. ბოლონია | 21 | 3 | 9 | 9 | 20-36 | 18 |
| 18. სასუოლო | 21 | 4 | 5 | 12 | 22-46 | 17 |
| 19. ლივორნო | 21 | 4 | 4 | 12 | 19-37 | 16 |
| 20. კატანია | 21 | 3 | 5 | 13 | 13-37 | 14 |

**ბომბარდირები:** 14 - ჯუზეპე როსი (ფიორენტინა); 12 - დომენიკო ბერარდი (სასუოლო); 11 - კარლოს ტევესი (იუვენტუსი); 10 - როდრიგო პალასიო (ინტერი), გონსალო იგუაინი (ნაპოლი), ჩირო იმობილე (ტორინო), არტურო ვიდალი (იუვენტუსი), ალესიო ჩერჩი (ტორინო).

**22-ე ტურის ცენტრალური მატჩი ტურინში გაიმართება, სადაც „იუვენტუსი" „ინტერს" უმასპინძლებს. დიდ იტალიურ დერბიდ წოდებული დაპირისპირება უდიდეს ინტერესს იწვევს და ეს მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხანს, „ნერაძურიმ" მკვეთრად დათმო პოზიციები...**

### დიდი იტალიური დერბი

ფავორიტად „იუვენტუსია" მიჩნეული, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. „ინტერს" სჩვევია ასეთ შეხვედრებში გაბრწყინება და ნამდვილად არაა გამორიცხული, ტურინელთა შთამბეჭდავი წაუგებელი სერია დაასრულოს. ერთხელ იყო ასეთი პრეცედენტი, როდესაც სწორედ „ნერაძურიმ" შეაჩერა დაუმარცხებელი „ვეკია სენიორა". და მაინც, ფავორიტი „იუვენტუსია".

**ანტონიო კონტე** საყვარელ ტაქტიკას არ უღალატებს და გუნდს 3-5-2 სქემით განალაგებს. შეტევის წინა ხაზზე **კარლოს ტევესს** და **ფერნანდო ლორენტეს** ვიხილავთ, ნახევარდაცვის წამყვანი ექვსეულიდან კი სათადარიგოებში **კლაუდიო მარკიზიო** დარჩება. შესაბამისად, **ანდრეა პირლოს**, **შტეფან ლიხტშტაინერს**, **კვადვო ასამოას**, **არტურო ვიდალს** და **პოლ პოგბას** სასტარტოში ვიხილავთ. „იუვეს" ძირითადი მეკარე აკლია - დისკვალიფიცირებულ **ჯიჯი ბუფონს მარკო სტორარი** შეცვლის.

**ვალტერ მაცარი** ისევ ძიებაშია და ამჯერად, გუნდს 3-4-2-1 სქემით განალაგებს. წინ **დიეგო მილიტო** გაირჯება, უკნიდან კი მას **რიკარდო ალვარესი** და **როდრიგო პალასიო** მიეშველებიან. ისევ არ თამაშობს **ფრედი გუარინი**, არადა, კოლუმბიელი მილანელთათვის დიდი ძალა იყო. ზოგადად, „ინტერში" მთლად ჯანსაღი ვითარება არაა - გულშემატკივართა ერთი ნაწილი კლუბის მესვეურებს დაუპირისპირდა, ნაწილმა მწვრთნელ-ფეხბურთელებს შეუტია, ვალტერ მაცარიმ კი სულაც ტიფოზებზე გაილაშქრა და განაცხადა, ხანდახან მგონია, ცარიელი ტრიბუნების ფონზე ვატარებთ საშინაო მატჩებსო. „ნერაძურის" „იუვენტუსის" დამარცხება სულზე მოუსწრებდა, მაგრამ როგორი საქმეა?

**2.02. ტურინი.**
**იუვენტუს არენა** **23:45**

**იუვენტუსი**

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 5-1-0 | 1-2-3 |

ურთიერთშეხვედრები
**სულ 44 თამაში: +18=15-11, (54-43)**

**ინტერი**

**სავარაუდო შემადგენლობები**




**დისკვალიფიკაცია:** ბუფონი (იუვენტუსი).
**ტრავმა:** კიუუ, მარიგა, კამბიასო (ინტერი).

### სხვები

დიდმა იტალიურმა დერბიმ სხვა შეხვედრები გადაწონა, მაგრამ იმდენად არ დაუჩრდილავს, რომ ორიოდე სიტყვა არ ვთქვათ. საინტერესო მატჩი გაიმართება მარადიულ ქალაქში, სადაც „რომა" „პარმას" უმასპინძლებს. ემილიელები შესანიშნავად ასპარეზობენ და მაღალი ადგილებისთვის იბრძვიან, მაგრამ „ოლიმპიკოზე" რომ წარმატების მიღწევა გაუჭირდებათ, ცხადია. თანაც, წინა ტურში, „რომამ" „იუვესთან" ქულათა სხვაობა შეამცირა და საჩემპიონოდაა შემართული. მოკლედ, „ჯალოროსი" ფავორიტია, **რუდი გარსია** კი მიზნის მიღწევას შემდეგი შემტევი ტრიოთი აპირებს: **ჟერვინიო, მატია დესტრო, ადემ ლიაიჩი.**

„ნაპოლის" ცუდად წაუვიდა საქმეები და ჩავარდნის დასაძლევად ბერგამოში გამარჯვება სჭირდება. დიახ, **რაფაელ ბენიტესის** გუნდი „ატალანტას" ესტუმრება და თუ ჯერ კიდევ ფიქრობს სკუდეტოზე, აუცილებლად უნდა მოიგოს. მოკლედ, სამხრეთელებს უკანდასახევი გზა არ აქვთ და ბერგამოში უთუოდ შეუტევენ. ისევ თადარიგში მოიაზრება **ლორენცო ინსინიე**, სასტარტოში კი **გონსალო იგუაინს, მარეკ ჰამშიკს, ხოსე კალეხონს** და **დრის მერტენსს** ვიხილავთ.

„მილანი" „ტორინოს" **მარიო ბალოტელის** გარეშე დაუხვდება, რომელმაც წინა ტურში ყვითელი ბარათების ლიმიტი ამოწურა და ავტომატურად დისკვალიფიკაცია მიიღო. ამბობენ, რომ ლომბარდიელები „გრანატადან" **ალესიო ჩერჩის** გადაბირებას აპირებენ და ესეც ამ მატჩის დამატებითი ინტრიგაა. **კლარენს ზეედორფს** სერია A-ში მიჯრით ორი მოგება აქვს და ვნახოთ, გაგრძელდება თუ არა წარმატებული სერია.

**ლაშა ნიკლაური**

● იტალიის თასი. 1/4 ფინალი

# ნაპოლი ნახევარფინალშია

იტალიის თასის მეოთხედფინალური ეტაპის ბოლო მატჩი „სტადიო სან პაოლოზე" გაიმართა, სადაც „ნაპოლიმ" „ლაციოს" უმასპინძლა და მინიმალური ანგარიშით დაამარცხა მეტოქე - 1:0. ამრიგად, **რაფაელ ბენიტესის** გუნდი ნახევარფინალში გავიდა, სადაც „რომასთან" მოუწევს შეხვედრა. აღვნიშნოთ ისიც, რომ „ლაციოს" მარცხით დაიკარგა უნიკალური შანსი, რომ 8 დღის განმავლობაში ერთბაშად სამი რომაული დერბი გვეხილა - თასის ნახევარფინალური პაექრობები 5 და 12 თებერვალს გაიმართება, ჩემპიონატის ეგიდით კი რომაელები 9-ში შეასკდებიან ერთმანეთს.

ბენიტესი ძირითად ბირთვს დაეყრდნო, აი **ედუარდო რეიამ** კი მნიშვნელოვნად გადაახალისა შემადგენლობა და ბევრ ისეთ მოთამაშეს მისცა თავის გამოჩენის შანსი, ჩემპიონატში რომ ვერ ენდობა. შედეგად, მატჩი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით დასრულდა. ყველაზე აქტიური ნეაპოლელთა ახალწვეული **ჟორჟინიო ფრელო** გახლდათ, რომელმაც არაერთხელ გაიყვანა თანაგუნდელები დასარტყმელ პოზიციაზე და გატანა თვითონაც შეეძლო. ერთადერთი და გამარჯვების გოლი **გონსალო იგუაინის** ანგარიშზეა, თუმცა მასში არანაკლები წვლილი **ხოსე კალეხონს** მიუძღვის - 82-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც ესპანელმა შორი მანძილიდან დაარტყა, ბურთი გონსალოს მოხვდა და ნეაპოლელთათვის სასურველი მიმართულებით შეიცვალა ტრაექტორია. დარჩენილ დროში რომაელებმა სცადეს მატჩის გადარჩენა, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ.

**რაფაელ ბენიტესი** (ნაპოლი): *„მთლიანობაში, მძიმე და არცთუ სანახაობრივი მატჩი იყო, მაგრამ თუ ვინმემ დაიმსახურა გამარჯვება, ეს სწორედ „ნაპოლი" გახლდათ. სამ ფრონტზე ვაგრძელებთ ბრძოლას და ვეცდებით, რომ ყველა ტურნირზე წარმატებას მივაღწიოთ. კრიზისი? - იდეალურ ფორმაში არ ვართ, მაგრამ კრიზისზე ლაპარაკი გადამეტებულია".*

**ნაპოლი–ლაციო 1:0**

**გოლი:** იგუაინი (82).
**ნაპოლი (4-2-3-1):** რეინა - მაჯო, ფერნანდესი, რევეიერი, ალბიოლი - ინლერო, ფრელო (90. ჯემაილი) - ჰამშიკი (76. პანდევი), ინსინიე (69. მერტენსი), კალეხონი - იგუაინი.
**ლაციო (3-4-3):** ბერიშა - ნოვარეტი, დიასი (72. ბიავა), სიანი - კონკო (34. კავანდა), ლედესმა, ონაზი (46. გონსალესი), ლულიჩი - პერეა, კეიტა, ანდერსონი.

**1/2 ფინალი**

**რომა - ნაპოლი, უდინეზე - ფიორენტინა.**

**ლაშა ნიკლაური**

● ამბები

### ატირებული ერნანეში

**ერნანეშის** „ინტერში" გადასვლა როგორც ჩანს გადაწყვეტილი ამბავია. იტალიური პრესის ცნობით, „ლაციოს" პრეზიდენტი **კლაუდიო ლოტიტო** მზად იყო 28 წლის ბრაზილიელი 20-25 მილიონ ევროდ გაეყიდა და გუშინ იტალიის დედაქალაქს მილანელთა ახალი მფლობელ-პრეზიდენტი **ერიკ ტოჰირი** ეწვია. ამბობენ, ინდონეზიელმა რომაელ კოლეგასთან საბოლოო შეთანხმებას მიაღწია და თავად ერნანეშთანაც მოილაპარაკაო.

ყველაზე გულისამაჩუყებელი რამ კი მაშინ მოხდა, როდესაც ერნანეში ფორმელოს საწვრთნელ ბაზას ტოვებდა. მის მანქანასთან უმალვე „ლაციოს" რამდენიმე ფანი გაჩნდა და ერნანეშს სურათის გადაღებას სთხოვდნენ. იქამდე, ვარჯიშისას შეძახილებიც ყოფილა, გადაიფიქრე და დარჩიო, მაგრამ აქ მარტო ფეხბურთელზეც არ არის, კლუბის უფროსობამაც გადაწყვიტა მისი გაშვება. მოკლედ, თავიდან ნაძალადევად გაღიმებული ერნანეში იღებდა სურათებს, მაგრამ „ლაციოს" ფანების კომპლიმენტებსა და მათგან წამოსულ სითბოს ველარ გაუძლო და ცრემლი წასკდა. ატირდა ერთ-ერთი გულშემატკივარიც. ქომაგებმა ბრაზილიელი გაამხნევეს და სულ „ნუმერო უნო" ეძახეს. ერნანეშმა ერთ-ერთ მათგანს ერთობლივი ფოტოებისა და ავტოგრაფების გარდა, საკუთარი ბუცებიც უსახსოვრა და სევდიანმა დატოვა ტერიტორია. ამ ვიდეომ უკვე მოიარა მთელი საფეხბურთო სამყარო. ამბობენ, იგი უკვე თანაგუნდელებსაც გამოემშვიდობაო.

ასეა თუ ისე, ბრაზილიელი გამთამაშებლის ეს ემოცია ძალიან ბევრს ნიშნავს და ძალიან დასაფასებელია. იგი თითქოს უფრო ძლიერ და პერსპექტიულ გუნდში გადადის, სადაც ჯამაგირიც მეტი ექნება, მაგრამ გული მაინც აუჩუყდა და ცრემლები ღვარა. თანამედროვე ფეხბურთში ასეთი სენტიმენტები იშვიათია და სასიამოვნოა, რომ კიდევ არსებობენ მსგავსი ფეხბურთელები.

### ენრიკე ნეაპოლში ჩავიდა

იტალიურ „ნაპოლის" რამდენიმე ფეხბურთელის დამატება რომ არ გამოუვიდა, კარგად მოგეხსენებათ, მაგრამ უშენაძენოდ „სან პაოლოს" ბინადრები მაინც არ დარჩებიან. გუშინ ნეაპოლს სამედიცინო შემოწმების გასავლელად **ენრიკე** ეწვია. ბრაზილიის ნაკრებისა და „ბარსელონას" ყოფილ მცველში „ნაპოლი" 4 მილიონ ევროს გადაიხდის. ენრიკეს **ლუიშ ფელიპე სკოლარის** ნდობის მოპოვება და მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა სწადია, ამიტომაც თავის ახალ გუნდში კარგ თამაშს ორმაგი შემართებით ეცდება. ვთქვათ ისიც, რომ „ვეზუვიანის" სამედიცინო შემოწმების გასავლელად **ფაუზი გულამიც** ესტუმრა. ალჟირელში ნეაპოლიტანელები „სენტ ეტიენს" 3,5 მილიონს უხდიან.

### ტაარაბტი მილანში ჩაირიცხა

იტალიურმა „მილანმა" **ადელ ტაარაბტის** ტრანსფერი დაადასტურა. რამდენიმედღიანი მოლაპარაკებების შემდეგ, „როსონერი" „ქუინზ პარკ რეინჯერსს" მოურიგდა და მაროკოელი შემტევი სეზონის ბოლომდე ითამაშებს „როსონერიში". თუ იგი **კლარენს ზეედორფსა** და სხვებს თავს მოაწონებს, შესაძლოა მილანელებმა ბოლომდე გამოისყიდონ კიდეც. ტაარაბტის ნიჭიერებაში ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ ბოლომდე ეს ფეხბურთელი ვერაფრით გაიხსნა და ეგებ სწორედ „მილანში" შეძლოს ამის გაკეთება.

**გიორგი პაკაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუმარი
ემზარ ზენაიშვილი

# ოლიმპიური იდეების ერთგულები ვრჩებით

**დღეს „ლელოს“ სტუმარია საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი, რომელიც ამ ორგანიზაციის შექმნის ერთ-ერთი თანამონაწილეა. მასთან სასაუბროდ ბევრი თემა არსებობს - სოჭის მოახლოებული ოლიმპიადა; სეოკ-ის შექმნის მეოთხედსაუკუნოვანი იუბილე; მზადება „თბილისი-2015“-ის ფესტივალისთვის, დოპინგი და ქართული სპორტის სხვა საჭირბოროტო საკითხები... სტუმარი ჩვენს იდეასაც მიესალმა, 25-წლოვან თარიღთან დაკავშირებით ყოფილ გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობაზე გაკეთდეს მემორიალური დაფა იმის აღსანიშნავად, რომ აქ იწყებოდა დამოუკიდებელი ქართული ოლიმპიზმის ისტორია ჯერ კიდევ ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებამდე... ზენაიშვილთან საუბარიც ამ თემით დავიწყეთ.**

**- საინტერესოა, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, როგორ დაიწყო საქართველოში ოლიმპიური მოძრაობა.**

- უპირველესად, დიდი მადლობა მოწვევისთვის იმ გაზეთს, რომელმაც ქართულ სპორტთან ერთად იარა მთელი ეს გზა და მისი წარმატებების მემატიანე იყო და არის.

ოლიმპიური მოძრაობა საქართველოში „ლელომ“ და ლელოელებმა დაიწყეს იმხანად ჯერ კიდევ თითქოს გაუგებარი, აბსტრაქტული, გაფრენილი იდეების პრაქტიკული ხორცშესხმით, ხშირად პესიმისტური განწყობის ფონზე, მაგრამ საბოლოოდ იდეამ გაიმარჯვა. ამ იდეებმა მაშინ პირველად გაიკაფეს გზა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და მერე ბევრმაც მოგვბაძა. მინდა, მადლობა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, იმ საინიციატივო ჯგუფს, რომელმაც ეს გააკეთა - ამით წინ წავიგდეთ საქმე და ძალიან ბევრს გავუსწარით. სპორტს ყოველთვის ახასიათებს ეროვნულობა და ამ ტრადიციებს ოლიმპიურმა მოძრაობამაც აუბა მხარი, რის გამოც დღემდე შემოინახა თავდაპირველი ეროვნული მუხტი.

ცხადია, იმ პერიოდში ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ჩამოყალიბება ძალიან რთული იყო - ეს ხდებოდა 1989 წელს, ჯერ კიდევ კომუნიზმის ხანაში, როცა ჯერ ისევ არსებობდა საბჭოთა კავშირი, ცეკა, სხვადასხვა სტრუქტურა და „როგორ შეიძლება“ მენტალობა, მაგრამ სწორედ ამ ფონზე შევძელით ამის გაკეთება... თან ეს იყო ძიების პროცესი - არც გამოცდილება გვქონდა და არც ამდენი საკომუნიკაციო საშუალება არსებობდა - კომპიუტერი, მობილური ტელეფონები თუ სხვა. ამიტომ დავდიოდით სხვა ქვეყნებში, ვიკვლევდით და ვეძებდით საჭირო ინფორმაციებს. რასაც დღეს 10 წუთი სჭირდება, მაშინ ამისთვის უზარმაზარი მუშაობა გვიწევდა. ეს დიდი სამუშაო იყო, რომლის წარმოდგენაც დღევანდელ თაობას გაუჭირდება. ეს კეთდებოდა დიდი ძალისხმევის, ღამის თევის, ნერვიულობის და რისკის ხარჯზე. ოლიმპიური კომიტეტი წლეულს დაარსების 25 წლისთავს იზეიმებს და იქ კიდევ ერთხელ გავიხსენებთ ამ პერიპეტიებს.

**- რა პერსპექტივას ხედავდით მაშინ?**

- მაშინ უკვე იყო ლაპარაკი იმაზე, რომ საბჭოთა რესპუბლიკებმა უნდა იპოვონ საკუთარი ადგილი ოლიმპიურ მოძრაობაში. ეს საკავშირო მთავრობისგან დათმობის ერთ-ერთი თემა იყო.

**- საინტერესოა, ვის ეკუთვნის საბჭოთა კავშირის პერიოდში მოპოვებული ოლიმპიური მედლები?**

- ამ თემაზე გამოსულ ყველა სტატისტიკურ ცნობარში 1952-1992 წლებში მოპოვებული ოლიმპიური მედლები საბჭოთა კავშირისაა, თუმცა ბარსელონას თამაშების ჯილდოები უკვე გაერთიანებული გუნდის საკუთრებაა, 1994-ის ზამთრისა და 1996 წლის ზაფხულის ოლიმპიადებიდან მოყოლებული კი ცალკეულ რესპუბლიკებს ეთვლებათ. თუმცა საბჭოთა პერიოდში მედლები ქართული ტრადიციებით ნაკვებმა, ქართული გენით დაჯილდოებულმა ქართველმა სპორტსმენებმა მოიპოვეს. ამიტომ დამსახურებულად ვამაყობთ მათი მედლებით. შეიძლება მათ შორის რუსებიც იყვნენ, აფხაზებიც, ოსებიც,



სომხებიც, აზერბაიჯანელებიც, მაგრამ ყველანი ქართული სპორტის აღზრდილები იყვნენ. ოლიმპიური მედლების რაოდენობით საქართველო მსოფლიოს 25 ქვეყანას შორის მოიხსენიება, ხოლო თუ ამას ტერიტორიის ან მოსახლეობის რაოდენობით დავითვლით, ბევრად უფრო წინ ვიქნებით.

**- ბოლო წლებში ერთგვარი ვიწრო წრე შეიქმნა იმ სახეობებისა, რომლებიც ოლიმპიადის ლიცენზიებსა და მედლებს იღებენ. ახალი სახეობები თუ გამოჩნდნენ, რომლებმაც, შეიძლება, ანალოგიურ წარმატებას მიაღწიონ?**

- ჩვენთვის ყოველთვის საამაყო იყო ოლიმპიური მედლების ფართო გეოგრაფია - 21 სახეობაში მოგვიპოვებია, რაც ძალიან კარგი მაჩვენებელია. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გამოიკვეთა, რომ ჯილდოების მომტანი რამდენიმე სახეობაა. ძირითადად ესაა საჭიდაო სახეობები, რასაც პერიოდულად კიდევ რომელიმე ემატება.

პერსპექტიული სახეობებიდან ფარიკაობას დავასახელებ, სადაც კარგი თაობა მოდის. ვიმედოვნებ, ოლიმპიადაზე ისინიც მოხვდებიან, რაც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ არ მომხდარა. პერსპექტივას ვხედავ თანამედროვე ხუთჭიდსა და ტრიათლონში. გასაოცარია, რატომ არ ვითარდება ქალთა ჭიდაობა! მით უფრო, ოლიმპიადაზე მათ ორი წონა დაემატათ. ოლიმპიური კომიტეტის ერთ-ერთი დამსახურება ისაა, რომ თავის დროზე ძიუდოს ფედერაციასთან ინტენსიური მუშაობით მივაღწიეთ ქალთა ძიუდოს განვითარებას და უკვე შედეგებიც გვაქვს. ჭიდაობაშიც უნდა ავიღოთ ქალებზე აქცენტი. თუ ჭიდაობენ სომხეთში, აზერბაიჯანში, თურქეთში, რუსეთში, ჩრდილო კავკასიაში, რატომ არ უნდა იჭიდაონ ჩვენებმა? ან ძიუდოში, კარატეში და სხვაგან თუ არიან ქალები, რატომ არ უნდა გვყავდნენ ჭიდაობებში?

**- სოჭის ოლიმპიადა კარს მოგვადგა. ბოლო დღეებში რამე საინტერესო ინფორმაცია ხომ არ გაჟღერებულა უსაფრთხოების თუ სხვა საკითხებთან დაკავშირებით?**

- სოჭში წასვლის გადაწყვეტილება მთელმა ქართულმა სპორტულმა სამყარომ მიიღო - ამ საკითხს ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი. მეც მიმაჩნია, რომ ქართული სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობის ინტერესებიდან გამომდინარე, ეს სწორი გადაწყვეტილება იყო. თუმცა საზოგადოების ნაწილს მაინც აქვს კითხვები, რაც ბუნებრივია. ჩვენ შევეცადეთ, მათზე გვეპასუხა საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობაში ინტეგრირების კუთხით. ამ თამაშებს ატარებს სოკ-ი და არა რუსეთი - სოჭი მასპინძლად სწორედ სოკ-მა აირჩია. თავის დროზე, ჩვენმა წინა ხელისუფლებამ დაუჭირა მხარი სოჭში ოლიმპიადის ჩატარებას, იმდროინდელი პრეზიდენტი მიესალმა ამას, რაც ჩვენი მხრიდან გარკვეული ვალდებულებაცაა. მართალია, მერე აგვისტოს ომმა ბევრი რამე შეცვალა, თუმცა მას შემდეგ რუსეთში ყველა საერთაშორისო შეჯიბრებაზე ჩავდიოდით და ახლა რატომ ატყდა ასეთი ამბავი? გასაგებია, რომ ოლიმპიადა სხვა სიმაღლეა, მაგრამ ბოიკოტს არავინ მოგვიწონებდა და გარკვეულწილად, გარიყულები აღმოვჩნდებოდით.

**- რა მდგომარეობაა ბაზებთან დაკავშირებით, მოესწრება მათი აშენება-რემონტი?**

- თავის დროზე ოლიმპიური კომიტეტის მაშინდელი პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი მეც დამეკითხა ამაზე და ვუპასუხე, რომ ასეთი მასშტაბური ღონისძიების სამასპინძლოდ მზად არ ვიყავით. არც მქონდა იმედი, რომ იმ ბრძოლაში გავიმარჯვებდით, მაგრამ სწორი მუშაობით ნაცვლიშვილმა მაინც მოახერხა ეს, რისთვისაც მადლობა მას. ეს დიდ დივიდენდს მოუტანს ქართულ სპორტს - პროგრამაში შეტანილ მარტო ამ 9 სახეობაზე, სპორტსმენების, მწვრთნელების, ექიმების ხელფასებს თავი რომ დავანებოთ, წელიწადში მილიონ-ნახევარი ლარი იხარჯება. ფაქტობრივად, 4 წლის განმავლობაში ამ სახეობებზე დაახლოებით 6 მილიონი დაიხარჯება, რაც დიდი ფუფუნებაა. ამ მზადების ფარგლებში სპორტის ბევრი სახეობა „აფეთქდა“, რაც ასევე დიდი საქმეა. ფესტივალზე იქნებ მედლებში სათანადო შედეგს ვერ მივიღებთ, მაგრამ სხვა მხრივ გააჩნია დიდი პლუსები. მაგალითად, ხელბურთში მონაწილეობა იმ თაობას უწევს, რომელმაც 2017 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე უნდა იასპარეზოს.

ახლა მთავარი ამ ფესტივალის სათანადოდ ჩატარებაა, რაც ძალიან კარგი იქნება ქვეყნისთვის, თუმცა ამავდროულად, ძნელი საქმეცაა, ვინაიდან ინფრასტრუქტურა მზად არაა. თუმცა ეს თამაშები ბევრ კარგ ინფრასტრუქტურულ საქმეს „წამოიკიდებს“ - შენდება ოლიმპიური სოფელი, რომელსაც მერე ქალაქი გამოიყენებს; აშშ-ის საელჩოს ტერიტორიას შეემატება მინი-სპორტული ქალაქი; გვექნება მძლეოსნობის ახალი ბაზა, საცურაო აუზი, ფრენბურთის ორდარბაზიანი არენა, დაგეგმილია სასტუმროს მშენებლობაც. უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მიდამოებში შენდება ხელბურთის დარბაზი, თბილისის ზღვის ტერიტორიაზე იგეგმება მულტიფუნქციური კომპლექსის მშენებლობა, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად რემონტდება სპორტული ბაზები - დიდუბის მძლეოსნობის მანეჟი, ვერის ბაღის კალათბურთის სასახლე და სხვები. უკვე ცნობილია ყველა სახეობაში სატესტო ღონისძიებების თარიღები, 14-17 აპრილს კი მონიტორინგის მორიგი ჯგუფი გვეწვევა ევროპიდან, რომელსაც ჩამოჰყვება ფესტივალში მონაწილე ცხრავე სახეობის საერთაშორისო ფედერაციის ტექნიკური დამკვირვებელი, ისინი შეხვდებიან თავიანთ აქაურ კოლეგებს და დაიგეგმება ყველაფერი სპორტულ-ორგანიზაციულ ნაწილში.

**- დოპინგი სერიოზულ პრობლემად გვექცა... რამდენად მონაწილეობს სეოკ-ი მის პრევენციაში?**

- დოპინგი მხოლოდ ჩვენი კი არა, მსოფლიოს თავსატეხად იქცა. სამწუხაროდ, ჩვენთან სპორტული მედიცინა ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე - არაა ბაზა, რასაც ოლიმპიური გუნდის ექიმი ზურაბ კახაბრიშვილი 20 წელიწადია, გაჰყვირის. ამას სპორტსმენთა თვითნებობაც ემატება, რომელთათვისაც გაზრდილი საპრიზო ისეთი საცდურია, ექიმს არ უჯერებს და თვითნებურად იღებენ პრეპარატებს. გაუმართლებლად რისკავენ, რასაც ზოგჯერ მოაქვს შედეგი, მაგრამ უმეტესად - არა.

რაც შეგვიძლია, ყველანაირად ვეხმარებით სათანადო სტრუქტურებს ამ ბრძოლაში. მაგალითად, ჩვენ დავუთმეთ ოფისი საქართველოს ანტიდოპინგურ სააგენტოს, ვუტარებთ სემინარებს საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით, სპორტსმენებთან ვაფორმებთ ხელშეკრულებას, მაგრამ ეს არაა საკმარისი, ისევ ფედერაციებმა და მწვრთნელებმა უნდა იაქტიურონ. სპორტსმენები ახლა ისე დაისაჯნენ, იმედია, გამოფხიზლდებიან... პირადმა მწვრთნელებმაც მეტი სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ.

კატასტროფული ფაქტია: სოკ-მა ასე ადრიანად გამოგვიყო ოლიმპიური სტიპენდია ხუთ სპორტსმენზე და აქედან 2 დოპინგზე ჩავარდა. თან პირველად ერთს რომ აღმოუჩინეს, ვთხოვეთ და სხვა ათლეტით შევცვალეთ, მაგრამ ისიც ჩავარდა! სირცხვილია ასეთი ფაქტი. არადა, ორი კრიტერიუმიდან ერთი ის იყო, რომ მაქსიმალურად ყოფილიყო გამორიცხული დოპინგის შანსიც კი.

**- დასასრულ, ოლიმპიურ ხეივანზეც გკითხავთ, რომელიც აქამდეც უნდა გახსნილიყო...**

- კარგი შეკითხვაა... ეს საქმე 10 წლის წინათ დაიწყო, მაგრამ პოლიტიკური პრობლემების გამო პროექტი შეჩერდა. წლეულს სეოკ-ის ოფისში, მაჩაბლის ქუჩაზე ლევან ვარდოსანიძის ავტორობით გაკეთდება ოლიმპიურ ჩემპიონთა ვარსკვლავები, მაგრამ ხეივნის საკითხიც დავძარით. თუ მოხერხდა, გვინდა, 2015-ის ფესტივალის ფარგლებში მოესწროს ოლიმპიური პარკის გახსნა, რომელიც იქნება „ოდა ქართულ სპორტს“. იქ შეიძლება, მოეწყოს ოლიმპიელთა გაცილება, ფიცის დადება და ამგვარი ღონისძიებები. ვფიქრობ, მოესწრება ეს ფესტივალამდე.

აქვე გეტყვით, რომ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით პირველად გამოვა საბავშვო ოლიმპიური ენციკლოპედია.

**ირაკლი თავაძე**

● ხელბურთი

# უცხოელებიც დადებითად აფასებენ



ბოლო დროს საქართველოში ხელბურთი რომ გამოცოცხლდა, არახალია, რასაც არა მარტო სხვადასხვა ასაკში შიდა პირველობები, არამედ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საკმაოდ კარგი გამოსვლაც ადასტურებს. მთავარი ის არის, რომ ქართული ხელბურთის წინსვლას უცხოელი სპეციალისტებიც დადებითად აფასებენ. ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა სტატია, რომელიც გვამცნობს, რომ „ქართულ ხელბურთს წინ დიდი ამბები ელის: ქვეყანა უახლოეს მომავალში ორ დიდ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს - 2015 წელს თბილისში გაიმართება ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი, რომელშიც ხელბურთელებიც იასპარეზებენ, ორი წლის შემდეგ კი ქვეყანაში 19-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი ჩატარდება.

საქართველოში ბოლო წლებში ბევრი რამ გაუმჯობესდა. ამას ხელი შეუწყო ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის რამდენიმე პროექტმა ხელბურთის განვითარების ოთხწლიანი გეგმის შესაბამისად. ისინი ქვეყანაში მდგრადი სახელბურთო სტრუქტურების დაფუძნებას ითვალისწინებს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო ოლიმპიური სოლიდარობის პროგრამით თბილისში გამართული სამწვრთნელო კურსები, რომელსაც IHF-ის ლექტორი იგორ შესტაკოვი (ნორვეგია) ხელმძღვანელობდა. 5 დღის განმავლობაში თეორიულ, პრაქტიკულსა და სემინარულ მეცადინეობებში მონაწილეობდნენ მწვრთნელები მთელი ქვეყნიდან. თოთხმეტმა მათგანმა სათანადო სერტიფიკატებიც მიიღო. პრაქტიკულ ვარჯიშებში 13-15 წლის 50-მდე ხელბურთელიც ჩაება. კურსების თემატიკა საკმაოდ ვრცელი იყო და ნაყოფიერიც ინდივიდუალური საბაზისო ტექნიკით დაწყებული და დაცვასა და შეტევებში თამაშისას სათამაშო აზროვნებით დასრულებული. თეორიულს პრაქტიკული მეცადინეობები მოსდევდა ტაქტიკური სავარჯიშოებით. კურსის დამატებითი ნაწილი იყო სამწვრთნელო ფილოსოფია და ნიჭიერი ბავშვების სწორად შერჩევა. 2014 წელს საქართველო რინკის კონვენციას შეუერთდება, რის შემდეგაც ევროპულ სტანდარტებთან სრული შესაბამისობით მწვრთნელთა ლიცენზირების საკითხიც გადაწყდება".

**ვაჟა დანელია**

# მსხვილიძის გოლები ტრაბზონისთვის



თურქეთის სახელბურთო ჩემპიონატში მორიგი ტურის მატჩები გაიმართა. წარმატებით ითამაშა **გიგა ტორონჯაძისა** და **რატი მსხვილიძის** „ტრაბზონსფორმა", რომელმაც სტუმრად „გენჩლერბირლიგი" დაამარცხა - 30:24. გუნდის გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანა მსხვილიძემ - მეტოქეს მან ოთხი ბურთი გაუტანა. ყველაზე შედეგიანი კი აზერბაიჯანელი ოლეგ გეორგიევსკი იყო - 15 გოლი. მეკარე ტორონჯაძე განაცხადში არ ყოფილა.

თურქეთის ჩემპიონატზე 15 თამაშიდან 30 ქულით „ბეშიქთაში" მეწინავეობს. ლიდერის შემადგენლობაში საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის - ჯორჯე რაშიჩის ვაჟი - დავიდ რაშიჩი თამაშობს. მეორე-მესამე ადგილებზეა ანკარის ორი კლუბი - BB ანკარა და „ილ იოზელი", შესაბამისად, 22 და 21 ქულით, ხოლო „ნილუფერი", „ტრაბზონი" და „მერსინი" 18-18 ქულით მეოთხე-მეექვსე ადგილებს იყოფენ. „ტრაბზონსფორი" პირველ თებერვალს, სწორედ, „ნილუფერს" უმასპინძლებს. ორწრიანი ტურნირის შემდეგ თურქეთის ჩემპიონატის პლეი ოფში 8 გუნდი გადავა.

**ვაჟა დანელია**

● ჩოგბურთი

# გორგოძე ორ ფრონტზე



ეკატერინე გორგოძე

ქართველი ჩოგბურთელი **ეკატერინე გორგოძე** გუშინ ორჯერ გავიდა კორტზე და ორჯერვე გამარჯვებულმა დატოვა სარბიელი. ანტალიის ქალთა საერთაშორისო ტურნირის ძირითად ბადეში ჩვენებური მეორე ნომრადაა განთესილი. სტარტზე კვალიფიკაციიდან აღზევებულ ყაზახს - გულნაზ დოკეის დაუპირისპირდა. პირველი სეტი მშრალი ანგარიშით მოიგო - 6:0, მეორეში კი მხოლოდ სამი გეიმი დათმო - 6:3. გორგოძემ უფრო იოლად სძლია მელისა სეპოვიჩს (ბოსნია-ჰერცეგოვინა) - ორივე ხელში ერთნაირი ანგარიშით - 6:1, 6:1 აჯობა და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც ტურნირის მეშვიდე ნომერ ვანდა ლუკაშს (უნგრეთი) შეხვდება. საგულისხმოა, რომ ქართველ ჩოგბურთელს მადიართან ორჯერ მოუწევს კორტზე დაპირისპირება (ერთეულთა თანრიგში ლუკაშმა ზედიზედ დაამარცხა გერმანელი მიხაელა ერკენსი - 7:5, 6:1 და რუმინელი კრისტინა ადამესკუ - 6:3, 6:3) - როგორც ერთეულებში, ისე წყვილებში. გორგოძე თანამემამულე **სოფიო ქვაცაბაიასთანაა** შეამხანაგებული და სტარტზე, როგორც გაუწყეთ, ნაცუმი ჩიმურას (იაპონია) და მარიანა ნატალის (იტალია) დუეტს აჯობა, ხოლო ლუკაშმა რუმინელ თეოდორა ბერკარუსთან ერთად გულნაზ დოკეისა (ყაზახეთი) და მილანა ლისოვას (რუსეთი) ტანდემი დაჯაბნა - 4:6, 6:0, 10:5.

**ვაჟა დანელია**

## ბაქში ნაბიჯით წინ

ტუნისში წინსვლას განაგრძობს, ოღონდ წყვილებში, ახალგაზრდების საერთაშორისო ტურნირზე სერბ პეტარ კონკიჩთან ერთად მეორე ნომრად განთესილი თბილისელი **ალექსანდრე ბაკში**. გუშინ მან ლუის ტესა (საფრანგეთი) და ზაპატა მორალესი (ესპანეთი) ჩამოიშორა გზიდან - 6:2, 2:6, 10:8. ნახევარფინალში მესამე ნომერ ხორვატებს - ფილიპ კრალჯევიჩსა და ტომისლავ პოდვინსკის შეხვდება. საგულისხმოა, რომ ბაკში ერთეულთა თანრიგის სტარტზე სწორედ პოდვინსკისთან დამარცხდა და დღეს რევანშისთვის იბრძოლებს.

**ვაჟა დანელია**

საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფესიული კავშირი და ქართული ხალხური თამაშებისა და სპორტის ეროვნული სახეობების ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე ფედერაციის პრეზიდენტი,

**დიმიტრი (დიტო) დუნდუა**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ვაჟა და ვლადიმერ ნუცუბიძეები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ქართული ხალხური თამაშებისა და სპორტის ეროვნული სახეობების ასოციაციის პრეზიდენტის, ღვაწლმოსილი მუშაკისა და ბრწყინვალე პიროვნების

**დიმიტრი (დიტო) დუნდუას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

# გაზეთი მემატიანე

## დრო, მოვლენები და ფაქტები

პუბლიკაციები ეძღვნება გაზეთ „ლელოსა" და ქართული სპორტის თანაცხოვრების 80 წლის საიუბილეო თარიღს

### ოლიმპიური ათვლა

*დასაწყისი „ლელო" № 16, 17, 18.*

პირველი ქართული სპორტული გაზეთის ფურცლებიდანაც კარგად იგრძნობა, რომ სარედაქციო კოლექტივთან აქტიურად თანამშრომლობდნენ იმ პერიოდში საქართველოს სპორტის თავკაცები - **ალექსანდრე ჭელიძე** (1936) და **თედო სხირტლაძე** (1936-46), ქართული სპორტული სამყაროს სხვა ხელმძღვანელები თუ დარგის ცალკეული სპეციალისტები. როგორც ხედავთ, ქართულ სპორტს სრული 10 წელიწადი **თედო სხირტლაძე** ედგა სათავეში, გამოატარა ომის წლები. შემდეგ მოვიდა **ალექსანდრე ფარულავა** (1946-1952). ამ ადამიანმა გასწია, ფაქტობრივად, ფასდაუდებელი შრომა ჩვენთვის პირველ ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს სპორტსმენთა მოსამზადებლად და მონაწილეობის მისაღებად საბჭოთა სპორტსმენებთან ერთად. 1952-1954 წლების გარკვეულ პერიოდში სპორტს თავკაცობდა ყოფილი მოკრივე **ბორის კვინიხიძე**. 1954 წელს საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ **გიორგი სიხარულიძე** დაინიშნა. მან 1973 წლამდე ილვაწა ამ თანამდებობაზე და ღირსეულად დაიმკვიდრა ქართული სპორტის „ოქროს ხანის" წარმატებული შემოქმედის სახელი. კარგად იყო ცნობილი, რომ ორგანიზატორის საუკეთესო უნარ-თვისებები სატრანსპორტო სისტემაში მუშაობისას გამოავლინა ამ ადამიანმა, სპორტთან კი ახალგაზრდობის - დროინდელი ფეხბურთელობა აკავშირებდა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მოსალოდნელზე მეტად გაამართლა მისმა დანიშვნამ ახალ თანამდებობაზე. ქვემოთ კიდევ დავუბრუნდებით ამ პიროვნების დამსახურებას. ჯერ სპორტში იმ პერიოდის საერთო ვითარებაზე, გაზეთ „ლელოს" როლსა და დამსახურებაზე ვთქვათ.

როცა საბჭოთა ეპოქაზე ვლაპარაკობთ, განცალკევებით ქართულ სპორტს მხოლოდ პირობითად და სიმბოლურად თუ წარმოვიდგენთ და გავაცნობიერებთ. მართალია, ერთიანი საბჭოთა სპორტის შემადგენელი ნაწილი იყო ქართული სპორტი, მაგრამ მუდამ იდგა მის ავანგარდში. რომ არა ნაციონალურ პოლიტიკაში რუსეთის დომინირება, საქართველოს სპორტსმენების ადგილი ნაკრებ გუნდებში და, შესაბამისად, მაღალი სპორტული ჯილდოების მონაგარი, გაცილებით შთამბეჭდავი და უხვი იქნებოდა.

დასამალი დღეს არაფერია. ძალიან ძნელი იყო საბჭოთა ნაკრებში ადგილის დამკვიდრება. მით უფრო - მერე და მერე, როცა უკვე საბჭოთა სპორტის არნახული წინსვლის შედეგად სპორტის უმეტეს სახეობაში ერთ ადგილზე ერთიმეორეზე უკეთესი 5-7 რჩეული სპორტსმენი მაინც აცხადებდა ნაკრებში პირველობაზე პრეტენზიას. სხვა ეროვნების კონკურენტი რუსზე მინიმუმ ორჯერ ძლიერი მაინც უნდა ყოფილიყო, რომ რჩეულთა შორის მოხვედრილიყო. ოფიციალურად არადეკლარირებული, მაგრამ უთქმელად და უსიტყვოდ ყველასთვის გასაგები ეს მოთხოვნა, სხვების რა გითხრათ, ქართველი ათლეტებისთვის და მათი მწვრთნელებისთვის ნამდვილად იყო დამატებითი მოტივაცია ნაკრებში ადგილის მოსაპოვებლად.

**გიორგი სიხარულიძემ** შესანიშნავად იცოდა გაზეთ „ლელოს" მნიშვნელობა და ფასი, ამიტომაც მხარში ედგა ყოველთვის. იგრძნობოდა, რომ ამ გაზეთით ის ამაყობდა კიდეც. რედაქტორი, როგორც წესი, აუცილებლად უნდა ყოფილიყო სპორტის ხელმძღვანელი სახელმწიფო ორგანოს კოლეგიის წევრი.

„ლელოში" გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილებს მხოლოდ სპორტკომიტეტის კოლეგიის სხდომაზე როდი იხილავდნენ. ხშირად გამხდარა მსჯელობის საგანი პარტიის ცენტრალურ კომიტეტშიც.

**სიხარულიძე** საოცარი ხედვის და გუმანის ისეთი ხელმძღვანელი გახლდათ, რომ შეუძლებელი იყო, ვინმეს შეეყვანა შეცდომაში, ამას ვერც ვერავინ გაბედავდა, რადგან ზღვა ინფორმაციას ფლობდა. ნებისმიერ გადაწყვეტილებას იღებდა თავდაჯერებით და ეჭვი არავის შეჰქონდა მის კომპეტენტურობაში. კარგად მახსოვს სპორტის ღვაწლმოსილი ვეტერანი მუშაკებისადმი მისი გულისხმიერი დამოკიდებულება. ახალგაზრდებს კი ყველანაირად ხელს უწყობდა შესაძლებლობების გამოვლენაში, წაახალისებდა. ისეთი სისტემა დანერგა, საქმიანი ურთიერთობებით გადადიოდა ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები ვეტერანებიდან ახალგაზრდებში, იქმნებოდა მემკვიდრეობითობის უწყვეტობის მტკიცე კავშირი. ასეთი დამოკიდებულების შედეგიც იყო, რომ თვალსაჩინოდ და აშკარად იგრძნობოდა სისხლსავსე ცხოვრება ქართულ სპორტულ სამყაროში.



გიორგი სიხარულიძე ნონა გაფრინდაშვილთან და ომარ ფხაკაძესთან ერთად

**სიხარულიძის** პრინციპულობის ერთ მაგალითს მოვიტან, რომლის მონაწილე და მომსწრე, შეიძლება ითქვას, მიზეზიც კი, თავად ვარ. ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო ინსტიტუტში ერთხანს თავი იჩინა მისაღებ გამოცდებზე აბიტურიენტების შეფასების გაყალბებამ, - მავანთათვის ჩასარიცხად სასურველი აბიტურიენტის ნიშანი ბევრგან საგამოცდო უწყისში, ისე ოსტატურად იყო გადაკეთებული, რომ საბოლოოდ გამსვლელი ქულების ჯამს იძლეოდა. ეს ხდება 60-იანი წლების მეორე ნახევარში. ფაქტების შესწავლა არა კომისიას, არამედ ერთპიროვნულად მაშინ სრულიად ახალგაზრდა „ლელოს" კორესპონდენტს, - მე დამევალა. გაეცნო თუ არა, ასე ვთქვათ, ჩემ მიერ ჟურნალისტური გამოძიებით მოკვლეულ მასალებს, განკარგულება სიხარულიძემ იქვე გასცა - საკითხი შეეტანათ უახლოესი კოლეგიის სხდომის დღის წესრიგში. ეს არ ყოფილა პირველი შემთხვევა, როცა სპორტის სახელმწიფო კომიტეტი და პირადად **სიხარულიძე**, რედაქტორის რეკომენდაციით, „ლელოს" ახალგაზრდა ჟურნალისტებს დიდ ნდობას უცხადებდა.

„ლელო" სპორტკომიტეტისა და პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს ერთობლივი ორგანო იყო, მაგრამ პროფკავშირი ნაკლებად ან სულაც არ იხედებოდა გაზეთისკენ. სარედაქციო მუშაობაში მოუზომავად, მით უფრო - უხეშად, არც სპორტკომიტეტი ერეოდა, კეთილ რჩევებს კი არ იშურებდა. ყველა ვხედავდით და ვგრძნობდით, რომ საქართველოს სპორტულ მოძრაობას და მის ხელმძღვანელობას ესაჭიროებოდათ გაზეთის ავტორიტეტი და სპორტკომიტეტი მისი კრიტიკით ცუდ მაგალითს ვერ მისცემდა სხვა ხელმძღვანელ სპორტულ ორგანიზაციებს და უწყებებს. ობიექტური კრიტიკით განაწყენებულნი კი, რა დასამალია, ჩვენს გაზეთს საკმაოდ ჰყავდა.

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

*გაგრძელება იქნება*

# ადეიშვილი დაჭერილია!!!!!!!!!

**სათაურის წაკითხვისას არ იფიქროთ, სპორტულ გაზეთში პოლიტიკაზე წერა დავიწყეთ. თუმცა, ქვემოთ მოცემული პუბლიკაცია სუფთა სპორტული ხასიათისა მაინც არ არის. ჟანრს შინაარსის გაცნობისთანავე მიხვდებით, ჩვენი მხრივ კი დავძენთ, რომ ეს ისტორიული დოკუმენტი, რომლის სათაურია, ადეიშვილი დაჭერილია!!!!!!!!!**
**დღესაც საინტერესოდ იკითხება.**
**...ერთი რჩევა: ბოლოს აუცილებლად წაიკითხეთ ავტორის ვინაობა.**



„ტრიბუნები ხალხით გაიჭედა. რამდენიმე წუთიც და გაისმა მსაჯის სასტვენის ხმა...

...ბურთი აქვს ჩივაძეს, გადააწოდა ხინჩაგაშვილს, მან უფრო წინ დარასელიას, ამ უკანასკნელმა ჩამოიცილა ერთი მეტოქე და ბურთი საჯარიმო მოედანზე გაგზავნა. იქ ყველას დაასწრო შენგელიამ, ბურთი დაამუშავა, დარტყმა და ანგარიში გაიხსნა. აგუგუნდა 80 ათასი კაცი, აყვირდნენ ტელევიზორებს მიმსხდარი გულშემატკივრები...

და იმ დროს, როცა მილიონობით ფეხბურთის გულშემატკივარი ოსტატობას უქებდა რამაზ შენგელიას, რამდენიმე ნაძირალა მის ბინაში ტრიალებდა...

ცოტა მოგვიანებით ცნობილი გახდა ერთი არამზადის ვინაობა, ვინც პირველმა ითავა გაეტეხათ პოპულარული ფეხბურთელის ბინა - თ. ადეიშვილი. იგი 24 წლისაა, რამდენისაც რ. შენგელია, მაგრამ, აბა, რა დიდი სხვაობაა მათ შორის!

ადეიშვილმა სხვა ახალგაზრდებისგან განსხვავებით ის გზა აირჩია, რომელიც უფსკრულისკენ მიემართება. იგი იმდენად გათავხედდა, რომ ნაქურდალი ნივთები - ღამის ნათურა მადონასა და ბავშვის გამოსახულებით, საფერფლე, ფრანგული სუნამო საჩუქრად ნაცნობს მიართვა ქორწინების დღეს.

ამ გარეწარს არც ტ. აბაშიძე და დ. ქავთარაძე ჩამორჩნენ. ამ ორმა ახალგაზრდამ სხვა თანამზრახველებთან ერთად 1979 წლიდან რამდენიმე მოქალაქის ბინა გაქურდა. იმავე წლის აგვისტოში ტ. აბაშიძე თავის დამხმარეებთან ერთად დილმის მასივში მცხოვრებ ზურაბ წერეთლის ბინას მიადგა. მივიდა არა როგორც სპორტსმენის სტუმარი და მეგობარი, გადაძვრა სადარბაზოს საქარე სარკმლიდან აივანზე, მერე სახრახნით ამოილო ლოჯიის მინა და ოთახში შევიდა.

უცხოური წარმოების მაგნიტოფონი, მამაკაცის ნახმარი ფეხსაცმელები გადააწყო და სუვენირად შეძენილი საზღვარგარეთული სპორტული რეკლამაც გააყოლა ხელს. მეტიც, ვიმპელი, ჩვეულებრივი სპორტული ვიმპელი, გამარჯვებულ სპორტსმენებს რომ გადასცემენ ხოლმე, ისიც კი წაილო. როცა თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს საგამომძიებლო განყოფილების გამომძიებელმა დ. გათენაშვილმა ჰკითხა ეს ვიმპელი რაღად გინდოდაო, უპასუხა - არჩევანის დრო სად მქონდა, რაც ხელს მოჰყვა, ის წამოვიღეო.

ამ ოპერაციის შემდეგ აბაშიძე და ქავთარაძე ტელმანის ქუჩაზე შოთა ხინჩაგაშვილის ბინას მიადგნენ. აქაც ნაცადი ხერხით გადაძვრნენ ბინაში. მართალია, ბევრი არაფერი დახვედრიათ, მაგრამ რაც წაიღეს, პატრონისთვის ყველაფერი ძვირფასი და სამახსოვრო იყო. 11 მოპარული ნივთის ღირებულებამ 1.450 მანეთი შეადგინა. დაუკვირდით, მკითხველო, ამ თანხას ბევრი გულშემატკივარი ერთ საგზურში გადაიხდის, ოღონდაც თავის სათაყვანებელ გუნდს გაჰყვეს საზღვარგარეთ და იქ, უცხო ქვეყანაში გაამხნევოს იგივე რამაზ შენგელია, შოთა ხინჩაგაშვილი...

იმით გათამამებულებმა, რომ მილიციამ მათ კვალს ვერ მიაგნო, უფრო მონდომებით განაგრძეს ბნელი საქმე. 1980 წლის ნოემბრიდან თბილისში ერთად თუ ცალ-ცალკე 34 მოქალაქის ბინა „გაასუფთავეს". მრავალი ადამიანი გაამწარეს და ააფორიაქეს.

ახლა ისინი უკვე სასჯელს იხდიან. 3 მათგანს 5-5 წლით პატიმრობა შეეფარდა, ერთი კი 10 წლით ჩამოაშორეს საზოგადოებას".

**რ. ფერაძე**
**მილიციის კაპიტანი**
*გაზეთი „თბილისი". 19 ნოემბერი, 1981*

---

● ვარსკვლავთა მატჩი



# დერიუგინი VS დივაცი

დღეს,31 იანვარს სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში გაიმართება ვარსკვლავთა მატჩი, რომელშიც ლეგენდები მიიღებენ მონაწილეობას. გუნდები რეგიონული პრინციპითაა გაყოფილი - „აღმოსავლეთი" და „დასავლეთი". პირველში ძირითადად ექსიუგოსლაველი კალათბურთელები მოიყრიან თავს, მეორეში - პოსტსაბჭოელები. „აღმოსავლეთის" შემადგენლობაში ქართველი ლეგენდა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, ოლიმპიადის ბრინჯაოსმედალოსანი **ნიკოლოზ დერიუგინი** ითამაშებს.

ქვემოთ ორივე გუნდის შემადგენლობას გაგაცნობთ, აქ კი ერთს დავამატებთ: ლეგენდების თამაში საერთაშორისო სტუდენტური ლიგის ეგიდით გაიმართება. ვეტერანთა მატჩის გარდა ჩატარდება ამ ლიგის „ოლ სტარი", რომელშიც **რიჩარდ მათიაშვილიც** იყო მიწვეული (სტუდან), თუმცა სწორედ დღეს, რიჩარდს საქართველოს ჩემპიონატის მატჩი ელის და ბელგრადში ვერ გაემგზავრა.

აი, დაპირებული შემადგენლობები:

**იუგოსლავია:** ვლადე დივაცი, დრაგან კიჩანოვიჩი, დეიან ბოდიროგა, ჟარკო პასპალი, სრეჩკო იარიჩი, ზორან სლავიჩი, რაჩკო რადოვანოვიჩი, პრედაგ დანილოვიჩი, ტოჟა ზორკიჩი, მიშკო მარიჩი, დეიან ტომაშევიჩი, მიროსლავ ბერიჩი, მილენკო ტომიჩი, დრაგან ტარლაკი, ჟარკო ტაბაკი, ხრვოე პერინჩიჩი, დინო რადჟა, ამარის ნარლიჩი, დრაგან ივანოვიჩი.

**მწვრთნელები:** მირკო ნოვოსელი და რანკო ჟერავიჩა

**საბჭოთა კავშირი:** ნიკოლოზ დერიუგინი, ალექსანდრ ვოლკოვი, სერგეი პანოვი, იგორს მიგლინეკსი, ჰეინო ენდენი, იგორ კუდელინი, დიმიტრი დომანი, ანდრეი პერეგუდოვი, სერგეი კუშენკო, ივან ფილიპოვი, ზახარ პატუშინი, ანდრეი ვედიშევი, ალექსანდრ ნოვაკი, პაველ ასტახოვი, ანდრეი სპირიდონოვი.

**მწვრთნელები:** სტანისლავ ერიომინი, ივან ედეშკო, ბორის კაიუმოვი.

**ვაჟა სიმონიშვილი**

● კალათბურთი. სუპერლიგა

| | |
|---|---|
| **31 იანვარი** | |
| 17:00 | ბათუმი-ოლიმპი |
| 18:00 | ქუთაისი-სოხუმი |
| **1 თებერვალი** | |
| 14:00 | შსს აკადემია-მაქაბი |
| 14:00 | რუსთავი-არმია |

---

● ჭადრაკი

# სათავეში ოთხეული

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა 73-ე ეროვნულ ჩემპიონატში, რომელსაც თბილისის ჭადრაკის სასახლე მასპინძლობს, გუშინდელი მეხუთე ტურის შემდეგ სატურნირო მდგომარეობა ისევ დაიძაბა. წინა ოთხი ტურის შემდეგ ერთი ლიდერი თუ იყო, ამჯერად გათამაშების ცხრილის სათავეში ერთბაშად ოთხი მოჭადრაკე აღმოჩნდა. მე-5 ტურში მხოლოდ ორი პარტია დასრულდა ყაიმით — დაზავდნენ **ლუკა პაიჭაძე-თორნიკე სანიკიძე, კონსტანტინე შანავა-მიხეილ მჭედლიშვილი.** დანარჩენი ორთაბრძოლები შედეგიანი აღმოჩნდა: **ალექსანდრე ყაშაშვილი-დავით ჯოჯუა 0:1, ლევან ფანცულაია-ივერი ჭილლაძე 1:0, გაიოზ ნიგალიძე-დავით ბენიძე 1:0, მერაბ გაგუნაშვილი-სოფიო გვეტაძე 1:0.**

ხუთი ტურის შემდეგ: სანიკიძე, ნიგალიძე, ფანცულაია, გაგუნაშვილი-3,5-3,5, მჭედლიშვილი, პაიჭაძე-3-3, ყაშაშვილი, ჯოჯუა-2,5-2,5, შანავა-2, გვეტაძე-1,5, ბენიძე-1, ჭილლაძე-0,5 ქულა.

მე-6 ტურში ითამაშებენ: ჯოჯუა-გვეტაძე, ბენიძე-გაგუნაშვილი, ჭილლაძე-ნიგალიძე, მჭედლიშვილი-ფანცულაია, სანიკიძე-შანავა, ყაშაშვილი-პაიჭაძე.

**ვაჟა დანელია**



დავით ჯოჯუა

---

● ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ნაკრები



# ისევ სათადარიგოებით

გუშინ,ღამით ქართველ ბერძენ-რომაელთა ნაკრები **ჯემალ ბაკურიძისა და აკაკი ჩაჩუას** ხელმძღვანელობით სტამბოლში გაფრინდა, სადაც ამ უქმეებზე ვები ემრეს მემორიალში იჭიდავებს. წინა კვირის თეირანული ტურნირის მსგავსად, ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ბეგი დარჩიამ** იქაც სათადარიგოები გაგზავნა: **ნიკა ცეცხლაძე, ზვიად ოქრაძე** (ორივე - 59), **ანტონ მამაგეიშვილი** (66), **მინდია წულუკიძე, გიორგი ჯავახია, ამირან შავაძე** (სამივე - 71), **თორნიკე ძამაშვილი, გიორგი დათუნაშვილი** (ორივე - 80), **სოსო ჯაბიძე** (98), **გურამ ფერსელიძე** (130). მწვრთნელთა თავდაპირველი განზრახვით, თურქეთში **საჩინო დავითაია** (66) და **გოგა აფრიამაშვილიც** უნდა წასულიყვნენ, მაგრამ ავადმყოფობის გამო ვერ გაემგზავრნენ. მონაწილე არ გვეყოლება 85 კილოგრამში.

ეს ის ხალხია, ვისაც ჭიდაობის ფედერაცია აფინანსებს, თუმცა სტამბოლში ოთხი კაცი საკუთარი ხარჯითაც მიდის: **ქემალ ხარაბაძე** (59), **არჩილ თურმანიძე** (66), **მიხეილ ქაჯაია** და **ამირან ზარნაძე** (ორივე - 98). გუნდს მსაჯიც მიჰყვება - **გელა ჯანელიძე**. შაბათს 59, 71, 85 და 130 კილოგრამების ფალავნები იჭიდავებენ, დანარჩენები - კვირას.

გუნდის ლიდერები დარჩიას მეთვალყურეობით 8-9 თებერვალს პარიზში იჭიდავებენ „ოქროს დიდი პრიზის" პირველ ტურნირში, თუმცა იქ საქართველოს ჩემპიონებს ორიოდე წონაში სხვებიც ემატებიან. პარიზში **ლაშა გოგიტაძე, გოდერძი დავითაძე** (ორივე - 59), **რევაზ ლაშხი** (66), **მანუჩარ ცხადაია** (71), **ზურაბ დათუნაშვილი** (75), **გიორგი ცირეკიძე** (80), **რობერტ კობლიაშვილი, ვლადიმერ გეგეშიძე** (ორივე - 85), **ვასილ იმერლიშვილი** (98) და **იაკობ ქაჯაია** (130) იჭიდავებენ. პარიზიდან დაბრუნების შემდეგ გუნდი მინსკში გაფრინდება ერთობლივ შეკრებაზე, მისი დასრულების შემდეგ კი უნგრულ სომბათჰეიში გამოვა „ოქროს დიდი პრიზის" მეორე ტურნირზე, ოღონდ იქ წასაყვანი შემადგენლობა ამ შეჯიბრებების შემდეგ დაზუსტდება.

**ირაკლი თავაძე**

---

● თარიღები და მოვლენები

## 1-2 თებერვალი

**01. 1969.** დაიბადა **ნინო სალუქვაძე** - ტყვიით სროლა
**01. 1975.** დაიბადა **ლევან ქებაძე** - ფეხბურთი
**01. 2011. ოლიმპიზმი.** სეოკ-მა 2011 წლის საუკეთესო სპორტსმენად მშვილდოსანი **ქრისტინე ესებუა** დაასახელა
**01. 2011. კალათბურთი.** საქართველოს თასის ფინალში „არმიამ" 71:51 დაამარცხა შსს და პრესტიჟული ტიტული პირველად მოიპოვა
**02. 1922.** დაიბადა **ვანო ელერდაშვილი** - ჩოგბურთი. გარდაიცვალა 2012 წელს
**02. 1943.** დაიბადა **ომარ დვალი** - სპორტული ნარდი
**02. 1945.** დაიბადა **ჯემალ ხერხაძე** – ფეხბურთი
**02. 1952.** დაიბადა **პაატა შამუგია** - ტანვარჯიში
**02. 1954.** დაიბადა **თინათინ ლეკვეიშვილი** - ცურვა
**02. 1974.** დაიბადა **ხათუნა ნარიმანიძე** - მშვილდოსნობა
**02. 2011.**საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ წლის საუკეთესო სპორტსმენად მორაგბე **დავით ზირაქაშვილი** დაასახელა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთა თასი



ბელგია-საქართველო 2013 წელი

# ბორჯღალოსნების საბრძოლო რაზმი ცნობილია

**საქართველოს ნაკრები ერთა თასის წლევანდელ გათამაშებას, რომელიც იმავდროულად 2015 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ეტაპის მეორე წრეა, ბელგიის ნაკრებთან საშინაო დაპირისპირებით იწყებს. „ბორჯღალოსნები" პირველი წრის შემდეგ პირველ ადგილზე არიან და ყველაფერს ილონებენ, რათა ეს პოზიცია შეინარჩუნონ.**

საქართველოს ნაკრების ახალზელანდიელმა მთავარმა მწვრთნელმა **მილტონ ჰეიგმა** საბრძოლო რაზმი გააცხადა. ტრავმების მოშუშების შემდეგ გუნდის ძირითად შემადგენლობაში დაბრუნდნენ პირველხაზელი **ჯაბა ბრეგვაძე** (ტულუზი) და მესამეხაზელი **დიმიტრი ბასილაია** (ედინბურგი). ნაკრებს აშშ-ისა და სამოას ნაკრებებთან გამოტოვებული მატჩების შემდეგ დაუბრუნდა გუნდის კაპიტანი **ირაკლი მაჩხანელი** (არმაზი).

ჩვენმა გუნდმა ბელგიელებთან მატჩისთვის მზადება ორშაბათს „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე" დაიწყო და ხვალ ამავე ბაზაზე კაპიტნის ვარჯიშით დაასრულებს. სამწუხაროდ, ტრავმების გამო **დავით ზირაქაშვილი** (კლერმონი), **მამუკა გორგოძე** (მონპელიე) და **ვასილ კაკოვინი** (ტულუზი) დაგვაკლდნენ. დაშავებულია და ბელგიელებთან არ ითამაშებს შუამარბი **თედო ზიბზიბაძე** (პერიგო). ერთი კვირის თავზე პორტუგალიელებთან მატჩისთვის ის მწყობრში იქნება.

ბელგიელები თბილისში დღეს გამთენიას ჩამოვიდნენ და კაპიტნის ვარჯიშს 17 საათზე „ავჭალის სარაგბო სტადიონზე" გამართავენ. ბელგიის ნაკრებში 24 მორაგბიდან 13 ფრანგული კლუბების წარმომადგენელია. როგორც აღმოჩნდა, ისინი საკმაოდ სერიოზული გუნდების კვართებით ასპარეზობენ. ესენია: „პერპინიანი", „აჟენი", „მეტრო რასინგი", „ლილი", „კოლომიე" და „პო". შარშანდელი შემადგენლობიდან „შავ ეშმაკებს" დააკლდებათ **ტიბო ანდრე, კარლოს პიერო** და **ჩარლი ფურნო**, რომლებმაც სანაკრებო კარიერა დაასრულეს. აღსანიშნავია, რომ ბელგიელთა რიგებში გამოჩნდა ქართული წარმოშობის ახალგაზრდა გარემარბი **თორნიკე მეგრელიძე.**

სტუმრების მოტივაცია, ცხადია, იგივე იქნება, რაც ერთი წლის წინათ. ისინი ყველანაირად ეცდებიან ერთა თასის ფავორიტს და ლიდერს, საქართველოს ნაკრებს რაც შეიძლება მეტი პრობლემა შეუქმნან. ისინი არც პრემიალური ქულის მოპოვებით იქნებიან უკმაყოფილო, რომელიც დამარცხებულს შვიდი და ნაკლები ქულით წაგებისთვის ენიჭება.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს და ბელგიის ნაკრებების დაპირისპირება 1 თებერვალს „ავჭალის სარაგბო სტადიონზე" 15 საათზე დაიწყება.

### საქართველოს ნაკრები

15. მერაბ კვირიკაშვილი, 14. ირაკლი მაჩხანელი, 13. დავით კაჭარავა, 12. მერაბ შარიქაძე, 11. გიორგი შკინინი, 10. ლაშა ხმალაძე, 9. გიორგი ბეგაძე. 1. მიხეილ ნარიაშვილი, 2. ჯაბა ბრეგვაძე, 3. დავით ქუბრიაშვილი, 4. კონსტანტინე მიქაუტაძე, 5. ლევან დათუნაშვილი, 6. გიორგი თხილაიშვილი, 7. გიორგი ჩხაიძე, 8. დიმიტრი ბასილაია.

16. შალვა მამუკაშვილი, 17. ზურაბ ჟვანია, 18. ლევან ჩილაჩავა, 19. გიორგი ნემსაძე 20. ვიქტორ კოლელიშვილი, 21. ვაჟა ხუციშვილი, 22. ლაშა მალაღურაძე, 23. ბექა წიკლაური.

### ბელგიის ნაკრები

**პირველი ხაზი:** ალექსის კუფოლო (კარკასონი), ტომას დინსტი (ლილი), მაქსიმ ჟადო (პო), ჟულიენ მასიმი (ოსერი), ალაინ მირიალაკისი (ვორათაზი), ბასტიან ვერმეილენი (ბუატსფორტი).

**მეორე ხაზი:** კირილ ნანაი ნჟილემი (ანდერლეხტი), ბრიუს ფრატორი (ლა უპლე), პიერ ჰედრიქსი (ბუატსფორტი).

**მესამე ხაზი:** ჟულიენ მორელი (ბასტია), დენის ეპე, მაიკლ დე მოლდერი (ორივე-ბუატსფორტი), ტომას დე მოლდერი (პო).

**№:9:** ჰებდრიკ ბრაუერი (მეტრო რასინგი), სებასტიან გუნსი (ბუატსფორტი).

**№10:** კრისტოფერ ბრაუნი (სენ რაფაელი), ფლორენ დებატი (სუაგნისი).

**№12-13:** იენს ტორფსი (პერპინიანი), გილემ პირონი (კოლომიე), გილემ ბრებანტი (ბუატსფორტი).

**№11-14:** თორნიკე მეგრელიძე (სუაგნისი), მარკ ჩაენგი (პერპინიანი).

**№15:** ალან ვილიამსი (კონიაკი), სილვიან როსი (აჟენი).

### სატურნირო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 5 | 4 | 1 | 0 | +74 | 19 |
| 2. რუმინეთი | 5 | 4 | 1 | 0 | +49 | 19 |
| 3. რუსეთი | 5 | 3 | 0 | 2 | -6 | 14 |
| 4. პორტუგალია | 5 | 1 | 1 | 3 | -21 | 7 |
| 5. ბელგია | 5 | 0 | 1 | 4 | -39 | 5 |
| 6. ესპანეთი | 5 | 0 | 2 | 3 | -57 | 5 |

### ერთა თასი

**1 თებერვალი**

საქართველო-ბელგია

**8 თებერვალი**

პორტუგალია-საქართველო

**22 თებერვალი**

საქართველო-რუსეთი

**8 მარტი**

ესპანეთი-საქართველო

**15 მარტი**

საქართველო-რუმინეთი

ბესიკ ჯანგავაძე

ზერაგბი

# ვარსკვლავები ბრუნდებიან

**2013 წლის სარაგბო სეზონი საკმაოდ ტრავმიანი გამოდგა და არაერთ სახელოვან მორაგბეს მოუწია უქმობამ. თუმცა, ახალი წლის დადგომასთან ერთად მონატრებული რაგბის ვარსკვლავები ბრუნდებიან მწვანე მინდორზე, რომელთაც ასე ელის ერთგული გულშემატკივარი.**



## ვიქტორ მეტფილდი
### (სამხრეთ აფრიკა)

სამხრეთაფრიკელი ლეგენდარული მოთამაშე **ვიქტორ მეტფილდი** 37 წლის ასაკში ბრუნდება პროფესიონალურ რაგბიში. 200 სმ-ის სიმაღლის მეორეხაზელმა ორიოდე წლის წინ დაასრულა აქტიური მოთამაშის კარიერა და სამწვრთნელო სკამზე გადაინაცვლა. თუმცა, 2014 წლის დადგომასთან ერთად მთელი მსოფლიო დიდი მოლოდინით ელის მის სახელოვან დაბრუნებას ჯერ „ბლუ ბულზის", ხოლო შემდეგ „სპრინგბოქსისის" რიგებში.

## შარლ ბურხერი
### (სამხრეთ აფრიკა)

2004 წლის საუკეთესო მორაგბე - სამხრეთ აფრიკის და „სტორმერსის" ქერათმიანი მღლეტავი **შარლ ბურხერი** ორწლიანი უქმობის შემდეგ მწვანე მინდორს უბრუნდება. უკანასკნელი სეზონების განმავლობაში მას სხვადასხვა სახის ტრავმები ტანჯავდა. სავარაუდოდ, უმეტესობა სპორტსმენებისა ასეთი მდგომარეობის შემდეგ „პენსიაზე" გავიდოდა, თუმცა „შალა" არასდროს ნებდება.

## დევიდ ფოქოქი
### (ავსტრალია)

**დევიდ ფოქოქი** ლეგენდარული **რიჩი მაქოას** მთავარი კონკურენტია. ახალგაზრდა ავსტრალიელი ტალანტი აოცებს მთელ სარაგბო მსოფლიოს როგორც ფიზიკური მონაცემებით, ასევე სათამაშო ინტელექტით. დევიდი გასული სეზონის სტარტზე „ბრამბიზში" გადავიდა, თუმცა სამი მატჩის ჩატარების შემდეგ მძიმე ტრავმა მიიღო, რამაც მას აღარ მისცა საშუალება, ეასპარეზა ეროვნული გუნდის მაისურით. მან გამოტოვა „ბრიტანელ ლომებთან" დაპირისპირება და ზე რაგბის მთლიანი სეზონი. თუმცა ფოქოქი ბრუნდება 2014 წლის დადგომასთან ერთად.

## რიჩი მაქოა
### (ახალი ზელანდია)

დიდი რიჩი 2013 წელს ისვენებდა. მან საკლუბო დონეზე რამდენიმე მატჩის ჩატარება მოასწრო და მხოლოდ ნოემბრის ტესტებზეღა მიეხმარა ეროვნულ გუნდს. ტრავმებით გამოწვეული ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მაქოას დაბრუნება შედგა „ოლ ბლექსში". ახლა ყველა გაფაციცებით ელოდება მის ასპარეზობას „კრუზეიდერსის" მაისურით.

## ჯერომ კაინო
### (ახალი ზელანდია)

იაპონიის ჩემპიონატში რამდენიმეწლიანი ასპარეზობის შემდეგ მშობლიურ ქვეყანას და კლუბს უბრუნდება კიდევ ერთი ახალზელანდიელი - **ჯერომ კაინო**, რომელმაც 2011 წელს მსოფლიოს თასი მოიგო.

„ბლუზში" დაბრუნების შემდეგ ოკლენდურ კლუბს სეზონის წინ ვარსკვლავური მესამე ხაზი ეყოლება კაინოსა და **სტივ ლუატუას** სახით. თუ ეს უკანასკნელი მღლეტავი იქნება, მაშინ ჯერმოს რვა ნომრის პოზიციაზეც მშვენივრად შეუძლია გარჯა.

## ლეჩი ტერნერი
### (ავსტრალია)

ავსტრალიის ნაკრების ყოფილი მოთამაშე **ლეჩი ტერნერი** სატრანსფერო ფანჯრის პერიოდში „ვორათაზიდან" „რედსში" გადავიდა, სადაც მას ძირითად შემადგენლობაში ისეთი დონის მოთამაშეებთან ერთად მოუწევს ასპარეზობა, როგორებიც **ვილი გენია** და **ქუადე კუპერი** არიან. უკანასკნელი 2 სეზონი ლეჩს მძიმე ტრავმების გამო გაუცდა. 2012 წელს მუხლის მყესები დაიწყვიტა, 2013-ში კი ფეხი მოიტეხა, რამაც რეალურად ძალიან შეაყოვნა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი გარემარბის კარიერული განვითარება. ვინ იცის, სოლიდურად ჩატარებული სასტარტო მატჩების შემდეგ შესაძლოა ტერნერი კვლავ დააბრუნონ ეროვნულ გუნდში, თუნდაც ევროპაში სათამაშოდ წასული **დიგბი იოანეს** სანაცვლოდ.

## კორი ჯეინი
### (ახალი ზელანდია)

კიდევ ერთი უსწრაფესი მორაგბის დაბრუნება მოხდება ზე რაგბის 2014 წლის სეზონის სტარტთან ერთად. **კორი ჯეინი** ველინგტონის „ჰარიქენზის" კვართს თითქმის ერთწლიანი პაუზის შემდეგ მოირგებს. 2013 წლის იანვარში მიღებულმა სერიოზულმა ტრავმამ უნიჭიერესი გარემარბი ზე რაგბის, ოთხი ერის გათამაშებისა და შემოდგომის ტესტმატჩების ბორტს მიღმა დატოვა. ჯეინმა უკვე მოასწრო რეაბილიტაციის სრული კურსის გავლა და ITM CUP-ზე იასპარეზა კიდეც, თუმცა მისი ოფიციალური დებიუტი დიდ ინტერესს იწვევს „ჰარიქენზის" რიგებში, სადაც მასთან ერთად უკანა ხაზს აკომპლექტებენ **ბოდენ ბარეტი** და **კონრად სმიტი**.

## მილს მულიანა
### (ახალი ზელანდია)

როგორ უნდა გააძლიეროს ზე რაგბის ორგზის გამარჯვებულმა „ჩიფსმა" საკუთარი შემადგენლობა? მოიწვიოს ისეთი გამოცდილი მოთამაშე, რომელსაც კარიერის განმავლობაში ზე რაგბის ტურნირზე 100-ზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული, ისევე როგორც ახალი ზელანდიის ნაკრებში. დიახ, იაპონიის ლიგაში გატარებული 2 წლის შემდეგ **მილს მულიაინა** ბრუნდება მშობლიურ კლუბში. უგამოცდილესი მოთამაშე უნივერსალიზმითაც არის დაჯილდოებული, რადგან მას ერთნაირად წარმატებით შეუძლია თამაში გარემარბის, შუამარბისა და ფულბეკის პოზიციებზე.

## ლუკ ბარჯესი
### (ავსტრალია)

ლუკ ბარჯესი უნიჭიერესი მორაგბეა, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში ფრანგული „ტულუზის" რიგებში ასპარეზობდა და „ჰაინეკენის თასზე" 50 მატჩზე მეტის ჩატარება მოასწრო. 2014 წლის სეზონიდან იგი „მელბურნ რებლზის" უპირობო ლიდერი უნდა გახდეს და წარმატებული თამაშის შემთხვევაში, გამორიცხული არაა, მისი ავსტრალიის ნაკრებში დაბრუნებაც. **ლუკ ბურჯესს** 2008-2011 წლებში „ვოლაბების" რიგებში 37 კეპი აქვს მოხვეჭილი.

გიორგი ბარბაქაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# კევინ დურანტმა ჩემპიონებსაც გადაუარა

მაიამიში „დიდი ტრიოს" შექმნის დღიდან პირველად, „ჰიტმა" წააგო მატჩი, რომელშიც 18-ქულიანი უპირატესობა ჰქონდა. **კევინ დურანტმა** და კომპანიამ ფანტასტიკური მატჩი ითამაშეს და უშანსოდ მოუგეს მოქმედ ჩემპიონს. **რასელ უესტბრუკის** გარეშე „ოკლაჰომას" მოგებათა სერია უკვე 9 მატჩს უდრის, დურანტმა კი ზედიზედ მე-12 მატჩში დააგროვა მინიმუმ 30 ქულა. თუმცა გუშინდელი სუპერმატჩის პირველ მეოთხედში ვერავინ წარმოიდგენდა, რომ „ჰიტი" ამ მატჩში განადგურდებოდა. ფლორიდელებს ძალიან დამაჯერებელი დასაწყისი გამოუვიდათ: კარგად ათამაშებდნენ ბურთს, თითქმის იდეალური სიზუსტე ჰქონდათ და ტემპითაც და ტაქტიკურადაც სჯობდნენ მეტოქეს. „თანდერის" პირველ ორ ქულას „მაიამიმ" ზედიზედ 18-ით უპასუხა. როცა ანგარიში 15:2 გახდა, **სკოტ ბრუქსმა** სათადარიგოთა სკამზე დასვა მოუხერხებელი პერკინსი და მოედანზე სურათი კარდინალურად შეიცვალა.

პირველი გარდატეხა მატჩში მეორე მეოთხედის დასაწყისში მოხდა, როცა **ლემბმა** ორი სამქულიანი მოათავსა კალათში, ცოტა ხანში კი მას **ფიშერმა** მიჰბაძა. რეზერვისტების ამ წყვილმა 11-დან ცხრა სამქულიანი ჩააგდო და ჯამში 33 ქულა დააგროვა. სულ სტუმრებმა 16 შორეული ტყორცნა მოათავსეს კალათში, თუმცა „ჰიტს" მხოლოდ ამის გამო არ წაუგია. მაგალითად, მეორე მეოთხედში შვიდმა შეცდომამ მთლიანად აურია თამაში მასპინძლებს, რომელიც ზედიზედ აფუჭებდა შეტევებს. ამ მხრივ, შესანიშნავად იმუშავა სეფოლოშამ - შვეიცარიელის ანგარიშზე 6 ჩაჭრა მოდის.

მატჩის დებიუტში მოპოვებული უპირატესობისგან არაფერი დარჩა. შეცდომები მესამე მეოთხედშიც გაგრძელდა - „ჰიტმა" ექვსჯერ დაკარგა ბურთი. მართალია, „თანდერმა" აქედან მხოლოდ ოთხი ქულა გამოადნო, მაგრამ ჯეიმსისა და თანაგუნდელების მოქმედებაში დამაჯერებლობა აღარ იგრძნობოდა, სტუმრები კი აგრძელებდნენ შორი დისტანციიდან მეტოქის ფარის დაბომბვას და მესამე 12-წუთეულში ექვსი შორეული ტყორცნა გამოიყენეს. როგორც კი „მაიამი" ინტრიგას უბრუნებდა შეხვედრას, მაშინვე ამ შანსს კევინ დურანტი სპობდა.

„ოკლაჰომამ" შესანიშნავი კალათბურთი აჩვენა 36 წუთის განმავლობაში - დააგდო მეტოქის ტემპი ჩაჭრებით (სულ მატჩში 14), ისარგებლა დაცვაში „ჰიტის" სუსტი თამაშით და, რა თქმა უნდა, კევინ დურანტმა მორიგი ნაბიჯი გადადგა სეზონის საუკეთესო მოთამაშის ტიტულისკენ. ამ მატჩის შემდეგ, მისი შანსები MVP-ის ჯილდოზე კიდევ უფრო გაიზარდა.

■ ■ ■

პირველად 1997 წლის შემდეგ, „ჰიუსტონმა" ორი დღის განმავლობაში დაამარცხა თანაშტატელები - „სან ანტონიო" და „დალასი". და ეს იმის მიუხედავად, რომ „რაკეტებს" ვერ ეხმარება **ჯეიმს ჰარდენი**. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ „მავერიქსთან" წარმატება ბეწვზე ეკიდა. „ჰიუსტონი" სირენამდე 1.37 წუთით ადრე 12 ქულით იგებდა, მაგრამ **კარლაილის** შეგირდებმა ხელები არ ჩამოუშვეს და 11:1 გაქცევა მოახერხეს. ამან ისე დააბნია **მაკჰეილის** გუნდი, რომ ბურთის შემოტანისას შეცდომა დაუშვა. შესაბამისად, „დალასმა" ბოლო შეტევაში მინიმუმ ოვერტაიმში გადასვლის შანსი მიიღო. რა თქმა უნდა, ბურთი ნოვიცკის მისცეს, რომელსაც რამდენიმე მეტოქე მიეჭრა და გერმანელმა ბურთი კალდერონს მიაწოდა. ესპანელმა კი პირველი ტყორცნაც ააცილა და შეტევაში მოხსნის შემდეგ ნასროლიც.

■ ■ ■

„სან ანტონიომ" სეზონი 39 მატჩში 31 მოგებით დაიწყო, მაგრამ ბოლო შვიდ შეხვედრაში მეხუთედ დამარცხდა და სამმატჩიანი წაგებათა სერია აქვს. „სპურსს" ძალიან დაეტყო სასტარტო ხუთეულის სამი წევრის ტრავმა, რასაც **მანუ ჯინობილის** დაზიანებაც დაემატა. გუშინ გახდა ცნობილი, რომ არგენტინელი ერთი თვე ვერ შეძლებს თამაშს. ამიტომაც, „ბულზთან" მატჩში ტეხასელებს შანსი არ ჰქონდათ. „ჩიკაგოს" შვიდივე მოთამაშემ, რომელმაც მოედანზე რვა წუთზე მეტი გაატარა, მინიმუმ 10 ქულა დააგროვა, სულ კი სტუმრებმა მხოლოდ შვიდი შეცდომა დაუშვეს.

**მაიამი–ოკლაჰომა 95:112**

30:21, 20:34, 25:36, 20:21

**მ:** ჯეიმსი (34), ბოში (18+9 მოხსნა), უეიდი (15).

**ო:** დურანტი (33), იბაკა (22), ლემბი (18), ფიშერი (15).

**მილუოკი–ფინიქსი 117:126**

19:28, 31:34, 34:29, 33:35

**მ:** ილიასოვა (27), ნაითი (24+8 პასი), მიდლტონი (17), სანდერსი (14), უოლტერსი (11).

**ფ:** დრაგიჩი (30), გრინი (23), მარკუს მორისი (16), ფრაი (13), მარკიფ მორისი (13), ლენი (7+10 მოხსნა).

**ტორონტო–ორლანდო 98:83**

33:20, 22:20, 25:25, 18:18

**ტ:** ლოური (33+11 პასი), ჯონსონი (22+11 მოხსნა), ვალანჩუნასი (14+15 მოხსნა), როსი (12).

**ო:** ვუჩევიჩი (16+10 მოხსნა), ნელსონი (13), ოლადიპო (12), აფლალო (10), ჰარისი (9+11 მოხსნა).

**ბოსტონი–ფილადელფია 94:95**

26:23, 21:30, 24:21, 23:21

**ბ:** სალინჯერი (24+17 მოხსნა), გრინი (18), ჰემფრიზი (13+9 მოხსნა), ბასი (11), ბეილესი (10).

**ფ:** ჰოიესი (20), ტერნერი (16+8 პასი), ტ. იანგი (16), ანდერსონი (13), კარტერ-უილიამსი (10).

**მინესოტა–ნ. ორლეანი 88:77**

23:16, 24:19, 20:27, 21:15

**მ:** ლავი (30+14 მოხსნა), მარტინი (18), კანინგემი (12), ბარეა (10).

**ნ-ო:** ამინუ (18+12 მოხსნა), გორდონი (14), ტ. ევანსი (11), სტიმსმა (3+12 მოხსნა).

**დალასი–ჰიუსტონი 115:117**

30:32, 27:31, 28:28, 30:26

**დ:** ნოვიცკი (38+17 მოხსნა), კარტერი (22), ჰარისი (14), ბლერი (13).

**ჰ:** პარსონსი (26), ჰოვარდი (21), ლინი (18), ჯონსი (16), მოტეიუნასი (12+13 მოხსნა), ბევერლი (11), ბრუქსი (11).

**დენვერი–შარლოტი 98:101**

21:32, 31:21, 23:22, 23:26

**დ:** ფოიე (33), ფურნიე (19), მოზგოვი (15+14 მოხსნა).

**შ:** ჯეფერსონი (35+11 მოხსნა), ჰენდერსონი (16), სეშენსი (16).

**სან ანტონიო–ჩიკაგო 86:96**

15:21, 21:19, 25:28, 25:28

**ს-ა:** პარკერი (20), დანკანი (17+12 მოხსნა), მილსი (12), ბელინელი (11).

**ჩ:** ბატლერი (19), ბუზერი (16+12 მოხსნა), ოგასტინი (15), გიბსონი (15), ჰაინრიხი (11), ნოა (10+10 მოხსნა+8 პასი+4 დაფარება), დანლივი (10).

**საკრამენტო–მემფისი 89:99**

24:25, 22:23, 17:21, 26:30

**ს:** ტომასი (24), გეი (23).

**მ:** კონლი (27+10 პასი), რენდოლფი (18+4 ჩაჭრა), გასოლი (12), მილერი (11).

**კლიპერსი–ვაშინგტონი 110:103**

30:31, 32:20, 19:23, 29:29

**კ:** გრიფინი (29), კროუფორდი (21), რედიკი (20), კოლისონი (16+9 პასი), ჯორდანი (14+17 მოხსნა).

**ვ:** ბილი (20), უოლი (19+11 პასი), ნენე (14), არიზა (13), სერაფინი (10).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



დურანტი ლებრონს უტევს



სკოტ ბრუქსი

# დასავლეთს ბრუქსი გაწვრთნის

გაირკვა „ყველა ვარსკვლავის მატჩში" დასავლეთი კონფერენციის მწვრთნელის ვინაობა. ეს არის „ოკლაჰომა-სიტის" დამრიგებელი **სკოტ ბრუქსი**, რადგან ამ მომენტისთვის, სწორედ მისი გუნდია დასავლეთში ლიდერი. ბრუქსის ერთადერთი კონკურენტი შეიძლებოდა ყოფილიყო „სან ანტონიოს" დამრიგებელი **გრეგ პოპოვიჩი**, მაგრამ ის შარშან ხელმძღვანელობდა კონფერენციის ნაკრებს და წელს ასეთ შესაძლებლობას ვერ მიიღებდა.

შეგახსენებთ, რომ 2010 წელს ბრუქსი სეზონის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს, 2012 წელს კი „ოლ სტარზე" დასავლეთს წვრთნიდა და მას სამი ქულით დაამარცხებინა აღმოსავლეთის ნაკრები.

წელს, „ყველა ვარსკვლავის მატჩი" 16 თებერვალს, ნიუ ორლეანში გაიმართება. როგორც იცით, აღმოსავლეთის დამრიგებელი იქნება „ინდიანას" მთავარი მწვრთნელი **ფრენკ ფოგელი**.

# ბენეტი ისტორიაში

## დრაფტის პირველი ნომერი ოლ სტარზე არ მიიწვიეს

ამასობაში, NBA-მ დაასახელა „ყველა ვარსკვლავის უქმეებზე" დებიუტანტებისა და „მეორეწლიანების" ტრადიციული მატჩის მონაწილეები, რის შემდეგაც ისტორიაში შევიდა „კლივლენდის" ფორვარდი **ენტონი ბენეტი**. ის გახდა დრაფტის პირველ ნომრად არჩეული მეორე კალათბურთელი ისტორიაში, ვინც ამ შეხვედრაში ვერ ითამაშებს. პირველი შემთხვევა 2001 წელს დაფიქსირდა, როცა „ვაშინგტონის" მიერ პირველ ნომრად არჩეული **კვამე ბრაუნი** ვერ მოხვდა „ოლ სტარის" უქმეებზე.



ენტონი ბენეტი

წლევანდელ სეზონში ბენეტმა 33 მატჩი ჩაატარა „კლივლენდის" შემადგენლობაში და მხოლოდ 2.8 ქულა დააგროვა.

დებიუტანტებისა და „მეორეწლიანების" მატჩისთვის არჩეული კალათბურთელების სია კი ასე გამოიყურება:

**სტივენ ადამსი** (ოკლაჰომა), **პერო ანტიჩი** (ატლანტა), **იანის ადეტოკუნბო** (მილუოკი), **ჰარისონ ბარნსი** (გოლდენ სტეიტი), **ბრედლი ბილი** (ვაშინგტონი), **ტრეი ბერკი** (იუტა), **მაიკლ კარტერ-უილიამსი** (ფილადელფია), **ენტონი დევისი** (ნიუ ორლეანი), **ანდრე დრამონდი** (დეტროიტი), **ტიმ ჰარდუეი** (ნიუ იორკი), **ტერენს ჯონსი** (ჰიუსტონი), **დამიენ ლილარდი** (პორტლენდი), **ვიქტორ ოლადიპო** (ორლანდო), **კელი ოლინიკი** (ბოსტონი), **მეისონ პლამლი** (ბრუკლინი), **ჯარედ სალინჯერი** (ბოსტონი), **იონას ვალანჩუნასი** (ტორონტო), **დიონ უეიტერსი** (კლივლენდი).

აღვნიშნავთ ახალბედების მატჩში 31 წლის მაკედონიელის **პერო ანტიჩის** მონაწილეობას. ის ერთ-ერთი ყველაზე ხანდაზმული მოთამაშე იქნება ამგვარი შეხვედრის 20-წლიან ისტორიაში.

## ამბები

**ჩოგბურთი**

### ვოზნიაცკი უმწვრთნელოდ დარჩა

დანიელმა ჩოგბურთელმა **კაროლინ ვოზნიაცკიმ** ოფიციალურად გამოაცხადა შვედ მწვრთნელთან **ტომას ჰოგსტედტთან** ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ.

ამ გადაწყვეტილების ძირითადი მიზეზი გახდა ის, რომ შვედი შვებულებაში გაემგზავრა იმის ნაცვლად, რომ დანიელთან ერთად გაევლო საწვრთნელი შეკრება არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, - წერს Tennis.com.

შეგახსენებთ, რომ ჰოგსტედტმა ვოზნიაცკისთან თანამშრომლობა 2013 წლის ნოემბრიდან დაიწყო. მანამდე ის მუშაობდა **მარია შარაპოვასთან, ტომი ჰაასთან** და **ნა ლისთან**.

ვოზნიაცკის ახალი მწვრთნელის ვინაობა მოგვიანებით გახდება ცნობილი.

**დოპინგი**

### რუსების დანაკლისი სოჭის წინ

ბიატლონში რუსეთის ოლიმპიური ნაკრების წევრმა **ირინა სტარიხმა** შეტყობინება მიიღო ბიატლონის საერთაშორისო კავშირისგან დადებითი დოპინგსინჯის შესახებ. სპორტსმენმა ეს ამბავი რუსეთის ბიატლონისტთა კავშირს აცნობა და ოლიმპიური გუნდის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო. ასე რომ, სტარიხი მონაწილეობას ვერ მიიღებს სოჭის ოლიმპიადაში.

*„რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდი და აუცილებლობად მიმაჩნია შეგატყობინოთ ჩემი გადაწყვეტილების შესახებ - დავტოვო ნაკრები გაურკვეველი ვადით. მივიღე ოფიციალური შეტყობინება ბიატლონის საერთაშორისო კავშირისგან, რომელშიც წერია, რომ ჩემმა ერთ-ერთმა დოპინგსინჯმა დადებითი შედეგი აჩვენა. ეს ახალი ამბავი დიდი მოულოდნელობა იყო ჩემთვის. ძალიან ვწუხვარ იმის გამო, რომ ეს ისტორია ჩემს სახელს უკავშირდება"*, - წერს ოფიციალურ წერილში **ირინა სტარიხი**.

## ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/8 ფინალი. 31 იანვარი-2 თებერვალი

**ჩეხეთი–ჰოლანდია**

**ჩეხეთი:** ტომაშ ბერდიხი, ლუკაშ როსოლი, რადეკ შტეპანეკი, ირჟი ვესელი;
**ჰოლანდია:** რობინ ჰაასე, იგორ სისლინგი, ტიემო დე ბაკერი, ჟან-ჟულიენ როჟერი.

**იაპონია–კანადა**

**იაპონია:** კეი ნიშიკორი, გო სოედა, თუიჩი სუგიტა, იასუტაკა უჩიამა;
**კანადა:** ვაშეკ პოსპიშილი, ფრენკ დანჩევიჩი, პეტერ პოლანსკი, დანიელ ნესტორი.

**გერმანია–ესპანეთი**

**გერმანია:** ტომი ჰაასი, ფილიპ კოლშრაიბერი, ფლორიან მაიერი, დანიელ ბრანდსი;
**ესპანეთი:** ფელისიანო ლოპესი, ფერნანდო ვერდასკო, რობერტო ბაუტისტა-აგუტი, დავიდ მარერო.

**საფრანგეთი–ავსტრალია**

**საფრანგეთი:** რიშარ გასკე, ჟო-ვილფრიდ ცონგა, გაელ მონფილსი, ჟულიან ბენეტო;
**ავსტრალია:** ლეიტონ ჰიუიტი, ნიკ კირგიოსი, კრის გუჩიონე, ტანასი კოკინაკისი.

**აშშ–ბრიტანეთი**

**აშშ:** ჯონ ისნერი, სემ კუერი, ბობ ბრაიანი, მაიკ ბრაიანი;
**ბრიტანეთი:** ენდი მარეი, ჯეიმს უორდი, კაილ ედმუნდი, კოლინ ფლემინგი.

**არგენტინა–იტალია**

**არგენტინა:** კარლოს ბერლოკი, ხუან მონაკო, ორასიო სებალიოსი, ედუარდო შვანკი;
**იტალია:** ფაბიო ფონინი; ანდრეას სეპი, ფილიპო ვოლანდრი, სიმონე ბოლელი.

**ყაზახეთი–ბელგია**

**ყაზახეთი:** მიხაილ კუკუშკინი, ანდრეი გოლუბევი, ევგენი კოროლიოვი, დენის იევსეევი;
**ბელგია:** დავიდ გოფენი, რუბენ ბემელმანსი, ოლივიე როხუსი, კიმერ კოპეიანსი.

**სერბეთი–შვეიცარია**

**სერბეთი:** დუშან ლაიოვიჩი, ფილიპ კრაიანოვიჩი, ილია ბოჟოლიაკი, ნენად ზიმონჟიჩი;
**შვეიცარია:** როჯერ ფედერერი, სტანისლას ვავრინკა, მარკო ჩიუდინელი, მიხაელ ლამერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# 10 რეკორდი, რომელიც დიადს არ ეკუთვნის

ჰოკეის ეროვნული ლიგის ისტორიაში უდიადესი ჰოკეისტი **უეინ გრეტცკი** NHL-ის თითქმის ყველა რეკორდის მფლობელია, მაგრამ ზოგიერთი შედეგი მისთვის მიუღწეველი აღმოჩნდა...

## თამაშების რაოდენობა კარიერაში

**რეკორდი:** 1767 - გორდი ჰოუ

**გრეტცკი:** 1487

**ჰოუმ** საკუთარი კარიერა 52 წლამდე გააგრძელა და მასთან გაჯიბრება შეუძლებელია, თუმცა გორდის დროს რეგულარული ჩემპიონატი 10-15 მატჩით მოკლე იყო. გრეტცკიმ მხოლოდ ერთხელ ჩაატარა რეგულარულში 60-მატჩზე ნაკლები (1992-93), მაგრამ 1994 წელს ლოკაუტიც რომ აეცილებინათ თავიდან, ლიდერთან მიახლოებას მაინც ვერ შეძლებდა. მეორე მხრივ, ჰოუს მთავარი რეკორდი - ქულების რაოდენობა კარიერაში - გრეტცკიმ უკვე 28 წლის ასაკში დაამხო.

## გამარჯვებების რაოდენობა სტენლის თასზე

**რეკორდი:** 11 - ანრი რიშარი

**გრეტცკი:** 4

**რიშარმა** შვიდი საჩემპიონო ბეჭედი იმ დროს მოიგო, როცა ლიგაში მხოლოდ ექვსი კლუბი თამაშობდა და მის კლუბთან - „მონრეალთან" კონკურენცია არავის შეეძლო. მაგრამ, თუ არ გავითვალისწინებთ „კანადიენსის" მაშინდელი თაობის წარმომადგენლებს, უეინი პირველი მაინც არ იქნებოდა. NHL-ში გუნდების რაოდენობის გაზრდის შემდეგ, რვაჯერ მოიპოვა სტენლის თასი **ჟაკ ლემერმა**, შვიდჯერ - **სერჟ სავარმა**. გრეტცკის თანაგუნდელებს - **გლენ ანდერსონსა** და **მარკ მესიეს** 6-6 ტიტული აქვთ

რომ არა „ლოს ანჯელესში" ტრეიდი, უეინი თავის ოთხ გამარჯვებას კიდევ 2-3 სტენლის თასს დაუმატებდა, მაგრამ რიშარის რეკორდს მაინც ვერ გააუმჯობესებდა, რადგან ლიგაში კლუბების გაზრდილი რიცხვის პირობებში, ამის გაკეთება შეუძლებელია.

## გოლების რაოდენობა პლეი ოფის ერთ გათამაშებაში

**რეკორდი:** 19 - იარი კური, რეჯი ლიჩი

**გრეტცკი:** 17

1975-76 წლების სეზონი კარიერის პიკი იყო ფილადელფიელი **ლიჩისთვის**. ის რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი გახდა 61 გოლით, მოიგო „კონ სმიტ ტროფი" ფინალში ნაგების მიუხედავად, აგრეთვე დაამხო **ივან კურნუაიეს** რეკორდი პლეი ოფში გატანილი გოლების რაოდენობით. **იარი კურის** ამ რეკორდის გაუმჯობესების ბრწყინვალე შანსი ჰქონდა. „ჩიკაგოსთან" ნახევარფინალის შემდეგ, მის ანგარიშზე 18 შაიბა იყო და წინ ელოდა ფინალური სერია, მაგრამ ფინელი ვერ გაუმკლავდა ზეწოლას და მხოლოდ გაიმეორა რეკორდი.

მაშინ გრეტცკიმ ფინალურ სერიაში 7 გოლი გაიტანა და „ოქროს მატჩში" რვა დარტყმა შეასრულა, მაგრამ საჭირო რაოდენობის შაიბა მაინც ვერ დააგროვა. მაგრამ მას სრული უფლება აქვს თანარეკორდსმენად მიიჩნიოს თავი. იმ პლეი ოფში კურიმ გოლების სამი მეოთხედი გრეტცკის პასებით გაიტანა. 1993 წელს, უეინს „მონრეალთან" ფინალური სერიის მესამე მატჩის შემდეგ 15 შაიბა ჰქონდა, მაგრამ სერია მალე დასრულდა.

## გოლების რაოდენობა ერთ მატჩში

**რეკორდი:** 7 - ჯო მელოუნი

**გრეტცკი:** 5 (ოთხჯერ)

„ედმონტონის" ვარსკვლავმა არაერთხელ მიიტანა იერიში „ბულდოგების" სნაიპერის მიერ 1920 წელს დამყარებულ რეკორდზე, მაგრამ, ყოველ ჯერზე, ხუთი შაიბით შემოიფარგლა. ყველაზე ახლოს წარმატებასთან 1984 წლის დეკემბერში იყო. „სენტ ლუისთან" მატჩში, გრეტცკის ხუთი გოლი მესამე პერიოდის მეექვსე წუთისთვის ჰქონდა გატანილი და მაინც ვერ შეძლო **მელოუნის** რეკორდის თუნდაც გამეორება.

## ქულების რაოდენობა ერთ მატჩში

**რეკორდი:** 10 - დერილ სიტლერი

**გრეტცკი:** 8 (ორჯერ)

იგივე სიტუაციაა ამ რეკორდთან დაკავშირებით. 1976 წლის 7 თებერვალს, **დერილ სიტლერმა** გაიტანა ყველაფერი, რაც კი შესაძლებელი იყო - გამოიყენა 10-დან ექვსი დარტყმა და ოთხი საგოლე პასი შეასრულა. მის „ტორონტოს" გაუმართლა, რადგან „ბოსტონს", რომელმაც 4:10 წააგო, კარში ახალბედა **დეივ რისი** ედგა. ამის შემდეგ, ეს გოლკიპერი NHL-ში ალარ გამოჩენილა. გრეტცკი რვა ქულაზე შორს არასოდეს წასულა. 1984 წლის იანვარში, გენიალურმა კანადელმა „მინესოტასთან" მატჩის 38-ე წუთისთვის ჰოკერი გაიფორმა და ოთხი შედეგიანი პასიც შეასრულა, მაგრამ მესამე პერიოდში ქულაც ვერ აიღო.

## ქულებისა და გოლების რაოდენობა პლეი ოფის მატჩში

**რეკორდი:** 5 და 8 - მარიო ლემიე

**გრეტცკი:** 4 და 7

ერთ სათასო შეხვედრაში ხუთი გოლი 1919 წელს გაიტანეს და უკვე შემდეგ გაიმეორეს **ნიუსი ლალონდის** რეკორდი **მორის რიშარმა**, სიტლერმა, ლიჩმა და **მარიო ლემიემ**. 1987 წელს, გრეტცკიმ 7 ქულა (1+6) ქულა დააგროვა „ლოს ანჯელესთან" (13:3) მატჩში, მაგრამ ეს რეკორდი დიდხანს არ ყოფილა ძალაში. ერთი წლის შემდეგ, ერთი ქულით მეტი აიღო ვაშინგტონელმა **პატრიკ სუნდსტრიომმა**, 1989 წელს კი „სუპერმარიომ" ხუთი გოლი გაიტანა და სამი საგოლე პასი შეასრულა „ფილადელფიასთან" გიჟურ მატჩში.

## ყველაზე მეტი გოლი სეზონში დებიუტანტისთვის

**რეკორდი:** 76 - ტეემუ სელიანე

**გრეტცკი:** 51

NHL-ში ჩატარებულ პირველ სეზონში გრეტცკიმ 51 გოლი გაიტანა და 137 ქულა დააგროვა, მაგრამ იმის გამო, რომ მანამდე WHA-ში თამაშობდა, 19 წლის ფორვარდს ოფიციალურად დებიუტანტის სტატუსი არ მიანიჭეს. მაგრამ ახალბედაც რომ ყოფილიყო, **მაიკ ბოსის** რეკორდი (53 შაიბა) მისთვის მაინც მიუღწეველი იქნებოდა. 90-იანი წლების დასაწყისში კი ამ დუეტს დიდი მანძილით გაუსწრო **სელიანემ**. ფინელმა რეკორდი სეზონში რიგით 63-ე მატჩში დაამხო, ჩემპიონატის ბოლომდე კი გოლების ფანტასტიკური რაოდენობა შეაგროვა - 76.

## გამარჯვების გოლების რაოდენობა სეზონში და კარიერაში

**რეკორდი:** 16 - ფილ ესპოზიტო, 122 - იარომირ იაგრი

**გრეტცკი:** 12 და 91

„ედმონტონში", რომელიც მეტოქეებს 10:6 ან 8:5-ის მსგავსი ანგარიშებით უგებდა, გამარჯვების შაიბის გატანა ნებისმიერს შეეძლო - ანდერსონს (85 ასეთი გოლი), კურის (72), **პოლ კოფის** (44) ან **მარკ მესიეს** (92). გრეტცკის პოზიციები 90-იანი წლების დასაწყისში შეირყა, როცა ხუთი სეზონის განმავლობაში მხოლოდ 7 გადამწყვეტი შაიბა გაიტანა. „დიადმა" **ფილ ესპოზიტომდე** მისვლა ვერ შეძლო, შემდეგ კი მას გაუსწრეს **რეკიმ, მოდანომ, ფიოდოროვმა, აიზერმანმა, ჰალმა** და **იაგრმა**.

გრეტცკის 10 რეკორდი, რომელთა გაუმჯობესება შეუძლებელია:

2857 ქულა რეგულარულ ჩეპიონატში (მოქმედ ჰოკეისტებს შორის საუკეთესოა იარომირ იაგრი - 1730)

894 გოლი რეგულარულ ჩემპიონატში (იარომირ იაგრი - 697)

92 გოლი ერთ ჩემპიონატში (გრეტცკის შემდეგ მეორე შედეგი ბრეტ ჰალს აქვს - 86)

215 ქულა ერთ ჩემპიონატში (მეორე შედეგი გრეტცკის შემდეგ: მარიო ლემიე - 199)

51 მატჩი მინიმუმ ერთი ქულით

163 პასი ერთ ჩემპიონატში (მეორე შედეგი გრეტცკის შემდეგ: მარია ლემიე - 114)

50 მატჩში შესრულებული ჰეთ-თრიკი

382 ქულა პლეი ოფში (მოქმედ ჰოკეისტებს შორის საუკეთესოა იარომირ იაგრი - 199)

122 გოლი პლეი ოფში (იარომირ იაგრი - 78)

47 ქულა პლეი ოფის ერთ გათამაშებაში (მეორე შედეგი გრეტცკის შემდეგ: მარია ლემიე - 44)

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

**ჩემპიონშიპი**

| | |
|---|---|
| ნოტინგემი-უოტფორდი | 4:2 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| კოპენჰაგენი-ბრონშოი | 0:0 |
| რუსენბორგი-აიკ | 5:2 |
| ცსკა-მეტალისტი | 0:0 პენ. 4:2 |
| გიოტებორგი-სტიაუა | 0:0 |
| ზანდჰაუზენი-ფიურტი | 0:1 |
| შახტარი-ზენიტი | 2:1 |

**იტალია**

**სერია C1/B**

| | |
|---|---|
| ვიარეჯო-პონტედერა | 0:0 |

**ესპანეთის თასი**

**1/4 ფინალი. II მატჩები**

| | |
|---|---|
| რასინგი-სოსიედადი | 0:0 შეწყდა (1:3) |

**ფინეთი**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ჰიკ-როვანიემი | 2:0 |

**საბერძნეთის თასი**

**1/4 ფინალი. I მატჩები**

| | |
|---|---|
| პაოკ-აპოლონი | 3:0 |

**თურქეთის თასი**

| | |
|---|---|
| ახისარი-შივასი | 1:0 |

**კალათბურთი**

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| ბაიერნი-ცსკა | 61:86 |
| ოლიმპიაკოსი-უნიკახა | 73:55 |
| მილანი-ფენერბაჰჩე | 90:85 |
| რეალი-მაკაბი | 74:68 |

**ჰოკეი**

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ზნოიმო-ზალცბურგი | 3:0 |
| ალბა-ოლიმპია | 2:8 |
| დორნბირნი-კლაგენფიურტი | 3:2 (ო) |
| ინსბრუკი-გრაცი | 1:4 |
| ლინცი-ვენა | 0:3 |
| ბოლცანო-ფილახი | 6:2 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| ლილეჰამერი-რუსენბორგი | 4:1 |
| ლორენსკოგი-ტონსბერგი | 7:0 |
| სტორჰამარი-სპარტა | 2:1 (ო) |
| სტიერნენი-ვოლერენგა | 0:1 |
| ფრისკ ასკერი-სტავანგერი | 0:4 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| საიპა-ლუკო | 1:4 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| დავოსი-ლოზანა | 3:0 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| აიკ-შელეფტეო | 1:4 |
| ლულეა-ბრინასი | 3:1 |
| ორებრო-ვექსიო | 3:6 |

**ჩოგბურთი**

**WTA. პარიზი**

| | |
|---|---|
| სვიტოლინა-ვოსკობოევა | 6:1, 6:2 |
| მოისბურგერი-**ფლიპკენსი** | 1:6, 3:6 |
| მლადენოვიჩი-**პეტკოვიჩი** | 4:6, 2:6 |
| კნაპი-**ერანი** | 4:6, 3:6 |

**WTA. პატაია**

| | |
|---|---|
| მაიერიჩი-**დატე** | 6:7, 3:6 |
| **ვესნინა**-ლერტპიტაკსინჩაი | 6:3, 6:3 |
| დულგერუ-**პენგი** | 3:6, 4:6 |

TV პროგრამა

**31 იანვარი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ჩემპიონთა ლიგა. რეალი-კოპენჰაგენი.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. XVIII ტური. აინტრახტი-ჰერტა.
**14:00** ჩემპიონთა ლიგა. მარსელი-ნაპოლი.
**16:00** გერმანიის ჩემპიონატი. XVIII ტური. დორტმუნდი-აუგსბურგი.
**18:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XX ტურის მიმოხილვა.
**19:00** ჩემპიონთა ლიგა. შალკე-ჩელსი.
**21:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**22:30** სპორტი ქუსლებზე.
**23:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXI ტური. ფეიენოორდი-ვიტესი (LIVE).
**01:00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ბაიერნი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. რეალი-მაკაბი.
**14:30** საჩოგბურთო მიმოხილვა.
**15:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ალკმაარი.
**17:00** რაგბი-ლიგა. მსოფლიო თასი. ახალი ზელანდია-პაპუა ახალი გვინეა.
**19:00** სპორტ-NEWS.
**19:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**20:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ლონდონი. ბრიტანეთი.
**22:30** მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ჩიკაგო ბულზი.
**23:30** კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. პანათინაიკოსი-ბარსელონა (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. საჩვენებელი ტურნირი. აბუ დაბი. საამიროები.
**13:45** სპორტ-NEWS.
**14:15** ჩოგბურთი. საჩვენებელი ტურნირი. აბუ დაბი. საამიროები.
**16:05** სპორტ-NEWS.
**16:30** ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/8 ფინალი. საფრანგეთი-ავსტრალია (LIVE).
**22:30** კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. რეალი-მაკაბი

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 0 | 9 | (თოვლი) |
| ქუთაისი | 1 | 3 | (თოვლი) |
| ბათუმი | 3 | 5 | (თოვლჭყაპი) |
| ფოთი | 2 | 4 | (თოვლჭყაპი) |
| ზუგდიდი | 1 | 3 | (თოვლი) |
| გორი | -2 | -2 | (თოვლი) |
| თელავი | -3 | -2 | (თოვლი) |
| სიღნაღი | -3 | -3 | (თოვლი) |
| გუდაური | -10 | -7 | (თოვლი) |
| ბაკურიანი | -6 | -5 | (თოვლი) |
| ბორჯომი | -2 | -1 | (თოვლი) |
| მესტია | -8 | -5 | (თოვლი) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.4225 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.7819 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.9309 |
| 100 რუსული რუბლი | 5.0558 |



ბენ სკრივენსი

# რეკორდი ედმონტონში

„ედმონტონ ოილერზის" მეკარემ **ბენ სკრივენსმა** NHL-ის რეკორდი დაამხო ერთ მატჩში მოგერიებული დარტყმების რაოდენობით. ლაპარაკია რეკორდზე ისეთ მატჩებში, რომელშიც გამარჯვებულ გუნდს შაიბა არ გაუშვია. „სან ხოსესთან" შეხვედრაში, კანადელმა მეკარემ 59 დარტყმა მოიგერია. შეხვედრა „ოილერზის" გამარჯვებით დასრულდა - 3:0.

წინა რეკორდი ეკუთვნოდა „ფინიქსის" მეკარეს, **მაიკ სმიტს**. 2012 წლის 2 აპრილს, „კოლამბუსის" წინააღმდეგ მან 54 დარტყმა მოიგერია და თავის გუნდს 2:0 მოაგებინა.

რეგულარული ჩემპიონატის ერთ მატჩში მოგერიებული დარტყმების რეკორდი კი **სემ ლოპრესტის** ეკუთვნის, რომელიც გასული საუკუნის 40-იან წლებში „ჩიკაგო ბლეკჰოქსში" თამაშობდა. 1941 წლის 4 მარტს, „ბოსტონ ბრუინზთან" მატჩში ამერიკელმა 80 დარტყმა მოიგერია, თუმცა მისმა გუნდმა მაინც წააგო - 2:3.

ბენ სკრივენსი „ედმონტონში" 2014 წლის იანვრიდან გამოდის. „სან ხოსესთან" მატჩი მეოთხე იყო მისთვის „ოილერზის" ფორმით. ადრე, სკრივენსი „ლოს ანჯელესსა" და „ტორონტოში" თამაშობდა.

■ ■ ■

„ფინიქს კოიოტზი" მომავალი სეზონიდან ოფიციალურად შეიცვლის სახელს და „არიზონა კოიოტზს" დაირქმევს.

*„სახელის გადარქმევას აქვს აზრი, რადგან, ახლა, გლენდეილში ვთამაშობთ და ეს ქალაქი ჩვენი დიდი პარტნიორია,* - განაცხადა „კოიოტების" ერთ-ერთმა თანამფლობელმა **ენტონი ლებლანმა**. - *ჩვენ აგრეთვე გვინდა, რომ „კოიოტზი" ითვლებოდეს არა გლენდეილის ან ფინიქსის, არამედ მთლიანად არიზონას შტატის გუნდად".*

კლუბი „ფინიქს კოიოტზი" 1996 წელს ჩამოყალიბდა „ვინიპეგ ჯეტსის" ბაზაზე. 2003 წლამდე ეს გუნდი ფინიქსში თამაშობდა, შემდეგ კი მისი ახალი სახლი გახდა „Jobing.com-არენა", რომელიც გლენდეილში მდებარეობს.

**აილენდერსი-რეინჯერსი 1:2**

**0:0, 1:1, 0:1**

**გოლები:** 1:0 ნელსონი-10 (დონოვანი-6, კლატერბეკი-4), 1:1 პულიო-9 (ბრასარი-21, ცუკარელო-23), 1:2 კარჩილო-3 (მური-7, ბ. ბოილი-9).

**ედმონტონი-სან ხოსე 3:0**

**1:0, 0:0, 2:0**

**გოლები:** 1:0 ჯ. შულცი-7 (ნ. შულცი-4, ტ. ჰოლი-34), 2:0 ტ. ჰოლი-19 (ებერლე-26, ნიუჯენტ-ჰოპკინსი-26), 3:0 ებერლე-19 (ნიუჯენტ-ჰოპკინსი-27, ტ. ჰოლი-35).

**ვანკუვერი-ჩიკაგო 2:5**

**1:0, 1:4: 0:1**

**გოლები:** 1:0 ჰიგინსი-15 (კესლერი-16, ედლერი-9), 2:0 სესტიტო-5 (სტენტონი-12, კასიანი-6), 2:1 მარიან ჰოსა-24 (ვერსტიგი-17, საადი-22), 2:2 საადი-16 (ბრუკბანკი-3, ჰანძუში-7), 2:3 ტეივზი-18 (სიბრუკი-28, შარპი-27), 2:4 შარპი-27 (ტეივზი-34, კიტი-45), 2:5 საადი-17 (მარიან ჰოსა-23).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1. ზამთრის ტესტები. III დღე

# რედ ბული ჯერ ვერ დადის

წინასასეზონო ტესტების მესამე დღეს, ბევრ გუნდში შეიცვალა შემადგენლობა. დებიუტი ჰქონდა „უილიამსში" **ფელიპე მასას, კევინ მაგნუსენმა ჯენსონ ბატონის** ადგილი დაიკავა „მაკლარენში", **ფერნანდო ალონსომ** კი „ფერარიში" გააგრძელა **კიმი რაიკონენის** დაწყებული სამუშაო. ტრიბუნებზე ხალხმრავლობა იყო - ესპანელი გულშემატკივრები ალონსოს მხარდასაჭერად მივიდნენ.

მესამე დღეს, გუნდები გრძელ დისტანციაზე მუშაობას შეუდგნენ, მაგრამ ეს არ ეხება „რენოს" ძრავებით აღჭურვილ საჯინიბოებს - პრობლემები, რომელსაც პირველ ორ დღეს ჰქონდა ადგილი, ახლაც განმეორდა. „რედ ბულმა" კვლავ ვადაზე ადრე დაასრულა პროგრამა - **სებასტიან ფეტელის** შემცვლელმა **დანიელ რიკარდომ** მხოლოდ სამი წრე გაიარა და დრო არ დაუფიქსირებია. ასე რომ, სამი დღის განმავლობაში, „რედ ბულის" ანგარიშზე მხოლოდ 14 წრე იყო - ძალიან წარუმატებელი დასაწყისია.

ავსტრიულმა საჯინიბომ სესიის დასრულებამდე ორი საათით ადრე გამოაცხადა პროგრამის შეწყვეტის შესახებ. **კრისტიან ჰორნერმა** და **ედრიან ნიუიმ** დატოვეს ავტოდრომი, ტექნიკურმა კოორდინატორმა **ენდი დამერუნმა** კი განაცხადა, რომ მიღებულმა ზომებმა მხოლოდ ნაწილობრივ მოაგვარეს წარმოქმნილი პრობლემები.

„მერსედესისა" და „ფერარის" კლიენტებსაც ჰქონდათ მცირე პრობლემები, მაგრამ ისინი თანდათან გადავიდნენ აეროდინამიკული გადაწყვეტილებების ტესტირებაზე. მანქანები ტრასაზე სპეციალური მოწყობილობითა და მწვანე აეროდინამიკული სალებავით გადიოდნენ - ინჟინრები აგროვებდნენ ინფორმაციას, რომელიც მნიშვნელოვანი იქნება ბაჰრეინის ტესტებისთვის მოსამზადებლად.

გუშინდელი სესია რამდენჯერმე შეწყდა წითელი დროშებით. დილით ტრასაზე გაჩერდა ალონსო, შემდეგ ბოლი აუვიდა რიკარდოს მანქანას, დღისით, საჭირო გახდა **ნიკო ჰიულკენბერგის** „ფორს ინდიას" ევაკუირება, **ადრიან სუტილის** „ზაუბერს" დაკიდება დაუზიანდა, „ტორო როსოს" პრობლემების გამო კი ორჯერააფრიალეს წითელი დროშები.

დებიუტი ჰქონდა ტესტებზე „მარუსიას", თუმცა ბოლიდმა დიდი დრო დაჰყო ბოქსებში და **მაქს ჩილტონი** მხოლოდ სალამოს გავიდა ტრასაზე რამდენიმე საინსტალაციო წრის დასაფიქსირებლად.

ყველაზე გრძელი დისტანცია „მაკლარენმა" გაიარა - 92 წრე, ოქმს კი სათავეში ჩაუდგა ამ გუნდის 21 წლის დებიუტანტი კევინ მაგნუსენი. მისი დრო საუკეთესოა სამი დღის შედეგების მიხედვით.

| III დღე | |
|---|---|
| 1. მაგნუსენი (McLaren) | 1:23.276 (52 წრე) |
| 2. მასა (Williams) | +0.424 (47) |
| 3. ჰემილტონი (Mercedes) | +0.676 (62) |
| 4. ბატონი (McLaren) | +1.754 (40) |
| 5. ალონსო (Ferrari) | +2.219 (58) |
| 6. ჰიულკენბერგი (Force India) | +2.820 (17) |
| 7. ვერნი (Toro Rosso) | +6.639 (30) |
| 8. სუტილი (Sauber) | +6.885 (34) |
| 9. ფრაიანსი (Caterham) | დროის გარეშე (10) |
| 10. რიკარდო (Red Bull) | დროის გარეშე (3) |
| 11. ჩილტონი (Marussia) | დროის გარეშე (5) |


რიკარდოს ბოლიდის დატოვებამ მოუწია


საბინე კემი

# კომიდან გამოყვანა დაწყებულია

გუშინ **მიხაელ შუმახერის** პრესმდივანმა **საბინე კემმა** ოფიციალური განცხადებით მიმართა გულშემატკივრებს და დაადასტურა წინადღეს, ფრანგული პრესის მიერ გავრცელებული ახალი ამბავი - ექიმებმა დაიწყეს გერმანელი პილოტის ხელოვნური კომის მდგომარეობიდან გამოყვანა.

*„მიხაელ შუმახერის ოჯახი ისევ მოგმართავთ თხოვნით - პატივი სცეთ პირად ცხოვრებას, სამედიცინო საიდუმლოებას და არ შეაწუხოთ მიხაელის მკურნალი ექიმები, რათა მათ მშვიდად გააგრძელონ მუშაობა. ამავდროულად, ოჯახი დიდ მადლიერებას გამოხატავს მხარდაჭერისთვის.*

*შემცირდა იმ პრეპარატების რაოდენობა, რომელსაც მიხაელი იღებს. ეს ხდება ხელოვნური კომიდან გამოყვანის პროცესის დასაწყებად, რამაც შეიძლება ძალიან დიდი დრო წაიღოს. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ამასთან დაკავშირებით შემდგომი განცხადებები აღარ იქნება",* - განაცხადა კემმა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

# ფეტელი: მეხუთე ტიტული შესაძლებელია

**ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, ფორმულა 1-ში დომინირებდა „რედ ბული", მაგრამ ახალ ტექნიკურ რეგლამენტზე გადასვლამ, შესაძლოა, სიტუაცია რადიკალურად შეცვალოს. ხერესის ტესტების წინ, ავსტრიული საჯინიბოს ლიდერმა სებასტიან ფეტელმა ილაპარაკა სეზონისთვის მზადებაზე, ახალი მანქანისა და ახალი პარტნიორისგან მოლოდინზე...**

**- ბოლო ოთხი წელია ჩემპიონის ტიტულს არავის უთმობდით, მაგრამ წელს ყველაფერი სუფთა ფურცლიდან დაიწყება. ახალი წესების გამო აღელვება ხომ არ გეტყობათ?**

- ახალ ძრავებზე გადასვლა - სერიოზული გამოწვევაა ყველა გუნდისთვის, მათ შორის, ჩვენთვის. გასულ წელს ყოველთვის ვიცოდით, რა გველოდა, მაგრამ სიტუაცია შეიცვალა, ასე რომ, რაიმეს პროგნოზირება რთულია. ჩვენთვის მთავარია - გავერკვეთ მანქანაში, გავიგოთ რა სჭირდება ახალ ტექნიკას. ჯერჯერობით არ ვიცით, რას უნდა ველოდოთ, მაგრამ როგორც კი გავერკვევით და მივხვდებით, რომ კარგი მანქანა გვყავს, იმედია, ისევე კარგად გამოვალთ, როგორც ბოლო ოთხ წელიწადში.

**- ახალი წესები აიძულებს პილოტებს მართვის სტილის შეცვლას? არსებობს მანქანისადმი მიდგომის სხვა ხერხები?**

- დიახ, პილოტებს მოუწევთ მართვის სტილთან ადაპტირება. საჭირო იქნება მანქანის დაზოგვა და საწვავის ხარჯისთვის თვალის მიდევნება, ასე რომ, განსხვავებულ რბოლებს ვიხილავთ. რა თქმა უნდა, ყველაფერი დალაგდება, მაგრამ ამისთვის დროა საჭირო. თუ სარბოლო უქმეებს მთლიანობაში შევხედავთ, პილოტები უნდა შევეჩვიოთ ახალ ტაქტიკას. კვალიფიკაციაში მაქსიმალურად დახარჯვა იქნება საჭირო, რბოლაში კი უნდა იმოქმედო საკუთარი პოზიციიდან და მეტოქეებიდან გამომდინარე - დაზოგო საწვავი თუ მთელი რესურსი გამოიყენო...

**- რა დრო დასჭირდება სიტუაციის სტაბილიზაციას?**

- რაც უფრო სერიოზულია გარდაქმნები, მით უფრო მეტი დრო სჭირდებათ პილოტებს ადაპტაციისთვის. იგივე ითქმის ინჟინრებზე, ბაზის თანამშრომლებზე. შესაძლოა, რბოლებიდან გამოვარდნა უფრო მეტი იქნეს, ვიდრე წინა წლებში. ადრე მანქანა კარგად გვესმოდა, ახლა ყველაფერი ახალია, შეცდომებისგან კი დაზღვეული არავინაა. ლაპარაკია იმაზე, ვის ექნება ნაკლები შეცდომა. გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ ვინ აიცილებს თავიდან შეცდომების გამეორებას. ბევრი რამ გვაქვს სასწავლი.

**- მიხაელ შუმახერმა ზედიზედ ხუთი ტიტული მოიგო, მაგრამ ეს მაშინ მოხდა, როცა რეგლამენტი თითქმის არ იცვლებოდა. შეძლებთ მისი მიღწევის გამეორებას?**

- ჩემი აზრით, ყველაფერი შესაძლებელია. დაუჯერებელ შედეგებს მივაღწიეთ და ვეცდებით, მაქსიმალურად დავიხარჯოთ იმისთვის, რომ მეხუთე ტიტული მოვიგოთ. თუმცა დღეს განსაკუთრებული მოლოდინი არ გვაქვს. ყველაფერი ნულიდან იწყება და ვნახოთ.

**- როგორ იმოქმედებს თქვენზე ახალ მეწყვილესთან მუშაობა?**

- ბევრი არაფერი შეცვლილა. დიახ, გუნდში გამოჩნდა უცნობი ადამიანი, ახალი სახელი, მაგრამ მიჩვეული ვარ სხვადასხვა პილოტთან მუშაობას. პირველი სეზონი, შესაძლოა, რთული იყოს მისთვის და გუნდისთვის, მაგრამ საჭიროა ერთმანეთის უკეთ გაცნობა. არ არის გამორიცხული, ამან ჩემს გამოსვლაზე დადებითად იმოქმედოს. მაგრამ, რიკარდო - ჭკვიანი და ნიჭიერი ბიჭია, სწრაფად ადაპტირების უნარი აქვს და გუნდიც მაქსიმალურად დაეხმარება მას. ასე რომ, ისევ გვეყოლება პილოტების ძლიერი წყვილი.

**- ალბათ, საინტერესო სანახავია თქვენი მანქანის შექმნის პროცესი?**

- ბაზაზე არდადეგების შემდეგ დავბრუნდი, ყველას მივესალმე და ახალი მანქანა ვნახე. ის სერიოზულად განსხვავდება წინამორბედებისგან - მისი შექმნისთვის რთული ტექნოლოგიები გამოიყენეს. ინჟინრებსაც კი უჭირთ გარკვევა, რადგან ყველაფერი ერთმანეთთან არის დაკავშირებული. მოკლედ, სეზონის დაწყებამდე მექანიკოსებს ბევრი სამუშაო ექნებათ. ეს ნამდვილი გამოცდაა, ამიტომაც რთულია პროგნოზების გაკეთება. ვნახოთ, როგორ დასრულდება პირველი რბოლა.



სებასტიან ფეტელი

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (595 09 03 28), **გია ტუხაშვილი** (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).
*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: contact@pallitra.ge;* მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:45 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტელეფონი: 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; *leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge* ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608